# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი 1998 №176 (711) ფასი 50 თეთრი



აიაქსი — პორტო. შოთა არველაძე პორტუელ სეკრეტარიუს გასცდა

# თევზი თავიდან ყარს

## არა შეჯდა მწყერი ხესა

აჰა, მარადი ჩემპიონიც დაგვიპანღურეს ევროსარბიელიდან და მორჩა, დამთავრდა ქართული კლუბების ფაფხური შუაგულ ევროპაში. გაისამდე თავი დაგვიკრეს თასებმა და ხალისიც ხომ წლითიწლობით გვეკარგება და გვეკარგება.

წინ „დინამოს" ევროთასებზე მოღვაწეობის ოცდაშვიდწლიანი დოსიე მიდევს და სტატისტიკურ მონაცემებში ჩაღრმავებული ჩვენი, აწ უკვე ყოფილი სიამაყის, მსგავსი შერცხვენის მაგალითს ვეძებ. კი, დიდ „დინამოსაც" წაუგია დიდი ანგარიშებით, მეტიც, ჩავარდნაც ჰქონია, მაგრამ ასეთი და ამგვარი სირცხვილი ჯერ არ მოსწრებია ქართულ ფეხბურთს. ტიროლელი მთიელების საფუძველჩაყრილ წაგებათა ციკლს წერტილი ჯერჯერობით ვილემ II-მ დაუსვა და თუ გაისადაც გავბედავთ „იქ" გასვლას, უცილოა, გამამწარებელიც გამოგვიჩნდება ვინმე („ვლაჟნია" — „ტილბურგები" დაელევა ევროპულ ფეხბურთს თუ...)

არა, მართლა გვარიანად ჩამოვრჩენილვართ ფეხბურთში. აკი გადაგვიკრა კიდეც ნიგუზალივით შავმა აიტო სესაიმ ამის შესახებ — მარტივ ფეხბურთს თამაშობთ, თქვენი ყველა პასი და შეტევა ერთი მიმართულებით მიდისო. ჰაი-ჰაი, რომ არაფერი გვჭირდა ქართველებს ხიდან გუშინწინ ჩამომხტარი სესაის დასაცინი, მაგრამ საქართველოში ციხე ხომ მუდამ შიგნიდან ტყდებოდა და ტყდება, დამნაშავეც ისევ ჩვენს ფეხბურთში უნდა ვეძებოთ. იმგვარს კი, აიტომ რომ გვაკადრა, სხვებიც ბევრჯერ გვაკადრებენ, ასე თუ გავაგრძელეთ.

სათვალავი კარგა ხანია აგვერია... ვინ იცის, მერამდენე ჭმუნვა დაგვცდა დაზაფრულთ, მაგრამ ერთი ცუდი მხარეც ახლავს მუდმივ გოდებას. ვაი-ვიშს, ისევე, როგორც სიხარულს, როგორღაც ადვილად ეგუება ადამიანი და ეტყობა, ქართულ ფეხბურთში მოღვაწე ხალხიც მიეჩვია ლანძღვა-გინებას. ეგ არაფერი, მალე „კოკა-კოლას" ბოთლებისა და ქვების სროლაც გაუტკბებათ. აკი „აიტანეს" კიდეც ერთი-ორჯერ (ჩვენი გუნდების გადამკიდეს წაგებები ნამდვილად არ მოგვენტარება და, ალბათ არც „კოკა-კოლა" შეწყვეტს ბოთლების გამოშვებას).

იხილეთ მეორე გვერდი

# წყალტუბო ყელამდე წყალში და ვალში

„სამგურალის" სატურნირო გასაჭირს ფინანსურიც დაემატა. კლუბის ხელმძღვანელობას ფეხბურთელების სამი თვის ვალი დაუგროვდა. გასტუმრებას კი საშველი არ დაადგა. უფულობამ „სამგურალის" ფეხბურთელები წყალტუბოს მერამდე მირზა ქორქაშვილამდე მიიყვანა. მათი გუშინდელი საუბარი იმით დასრულდა, რომ 14-მა ფეხბურთელმა გუნდიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა. გუშინვე „სამგურალის" პრეზიდენტ გრიგოლ ქათამაძეს შევეხმიანეთ. საგანგაშო არაფერი მომხდარა, ეს გაუგებრობაა, სად უნდა წავიდნენ, ან ვინ გაათავისუფლებს მათ გუნდიდან, ადრე თუ გვიან ვალს ყველას გავუსტუმრებთ — დაგვამშვიდა პრეზიდენტმა. წყალტუბოს მერი გუნდს კვლავაც ჰპირდება დახმარებას.

იუზა ქაციტაძე

# ფოთი მარტო პორტი არ არის

## ფოთი კრივის ქალაქია

## კობა გოგოლაძე კი მსოფლიოში პირველია!

ევროპული კრივის მამებმა, მსოფლიოსაზე ნაკლებნი რითი ვართო და, კონტინენტური თასის გათამაშება ინებეს. ეს პატივი პირველს ელადის მიწას მიაგეს და ათენმაც საკადრისად უმასპინძლა სხვადასხვა ქვეყნის მოკრივეებს. ჩვენებურები რომ ჩინებულად გამოვიდნენ საბერძნეთში, ეს უკვე გაუწყეთ. ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი, ორი ბრინჯაო მართლაც ჩინებული შედეგია. ევროპის თასის მომგები კობა გოგოლაძე კი ახლახან აიბა-ს მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში 60 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიოს მოყვარულ მოკრივეთა საუკეთესო ათეულის თავში მოექცა.

იხილეთ მეცხრე გვერდი



კობა გოგოლაძე ევროპის თასით

**საქართველოს ჩემპიონატი — 1 ტური**

1 ოქტომბერი, ხუთშაბათი

კოლხა — აზოტი

დინამო — შევარდენი

2 ოქტომბერი, პარასკევი

სდასუ — სტუ

თსუ — მაქაბი

# მეორე ტურის ჩვენია

ელისტის საჭადრაკო ოლიმპიადაზე გუშინ მეორე ტურის პარტიები გაიმართა. კვლავ გაგვახარეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა. ქალებმა ლიტვას 2,5:0,5 მოუგეს: მაია ჩიბურდანიძემ ყაიმით დაასრულა პარტია, ნანა იოსელიანმა და ქეთევან არახამიამ კი გაიმარჯვეს. ვაჟებმა კუბის საკმაოდ ძლიერი გუნდი 3:1 დაამარცხეს. ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ზურაბ სტურუამ გამარჯვება იზეიმეს. გია გორგაძე და ლაშა ჯანელავა კი ყაიმს დასჯერდნენ.

### A ჯგუფი

**აიაქსი 2:1 პორტუ**

1:0 რუდი (57), 1:1 ზაჰოვიჩი (69), 2:1 ლიტმანენი (86პ)

აიასი: ვან დერ სარი, ტობიასენი, ოლისე, რუდი, ფ. დე ბური, რ. დე ბური, ლიტმანენი, ვიჩხე (დანი 64), ბაბანგიდა (გრონკიაერი 90), არველაძე (სიბონი 79), ჰუქსტრა

პორტუ: კორეია, სეკრეტარიუ, კოშტა, ალვესი, ვენდესი (ჩიპო 45), ჟუნიორი, პაულინიო სანტოსი, კაპუჩო (არტური 67), ზაჰოვიჩი, დრულოვიჩი (რუი ბარუში 83), ჟარდელი

**ოლიმპიაკოსი 2:0 კროაცია**

1:0 ალექსანდრისი (22), 2:0 გოჯიჩი (81)

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი (ანტზასი 75), პურსანიდისი, ჯანაკოპულოსი, გოჯიჩი, ჯორჯევიჩი, მავროგენიდისი, კარაპიალისი (ნინიადისი 72), ალექსანდრისი (დე სოუზა 89), ანატოლაკისი

კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, მარიჩი, იურიჩი, ვიდუკა (ი.სიმიჩი 81), მუიჩინი (საბიჩი 46), რუკავინა, დ. სიმიჩი, ცვიტანოვიჩი, იელიჩიჩი (სოკოტა 74), იურჩიჩი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| აიაქსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| კროაცია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

### B ჯგუფი

**რუსენბორგი 1:1 იუვენტუსი**

0:1 ინძაგი (27), 1:1 სკამელსრუდი (90პ)

რუსენბორგი: იამტფალი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი (ვინსენსი 83), სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი (ჰაერნესი 54), რუშფელდტი (დალუმი 61), იაკობსენი

იუვენტუსი: რამპულა, ბირინდელი, ტუდორი, მონტერო, მიროკოვიჩი (პესოტო 67), დავიდსი, დეშამპი, ტაკინარდი, ზიდანი (ზალაიეტა 78), ინძაგი (ფონსეკა 60), დელ პიერო

**გალათასარაი 2:1 ატლეტიკი**

1:0 ბურუქი (15), 1:1 ურსაისი (16), 2:1 ჰაჯი (90)

გალათასარაი: ტაფარელი, უმითი (არიფი 69), ვედათი (ბულენთი 75), პოპესკუ, უნსალი, ბურუქი, ფილიპესკუ (ფათიჰი 32), თუგაი, ჰასანი, ჰაქან შუქური, ჰაჯი

ატლეტიკი: ი. ეჩებერია, ლარასაბალი, გარსია, რიოსი, ალკორტა, ალკისა, იმასი, ურსაისი (ლაკრუსი 79), ხ. ეჩებერია (ხავი 70), ურუტია, ესკერო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| იუვენტუსი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ატლეტიკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### C ჯგუფი

**ინტერი 1:0 შტურმი**

1:0 ჯორკაეფი (90)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, გალანტე, ძანეტი, სიმეონე, კოე (სამორანო 64), ვინტერი, მორიერო (პირლო 72), ჯორკაეფი, ვენტოლა, სილვესტრი

შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, მილანიჩი (ანგიბო 79), ფოდა, პოში, მალიხი, რაინმაიერი (მინავანდი 90), შოპი (პოპოვიჩი 58), შუპი, ვასტიჩი, ჰაასი

**სპარტაკი 2:1 რეალი**

0:1 რაული (64), 1:1 ციმბალარი (71), 2:1 ტიტოვი (78)

სპარტაკი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, ანანკო, ბარანოვი, ტიტოვი, ტიხონოვი, პარფიონოვი, ციმბალარი, რობსონი (ბუზნიკინი 85), პისარევი

რეალი: ილგენრი, პანუჩი, იერო, სანჩისი, რობერტო კარლოსი, ზეედორფი, რედონდო, კარემბუ (მორიენტესი 79), რაული, მიატოვიჩი, სავიო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| შტურმი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

### D ჯგუფი

**ბარსელონა 2:0 ბრონდბიუ**

1:0, 2:0 სონი ანდერსონი (42, 85)

ბარსელონა: ჰესპი, სერხი, აბელარდო, როჯერი, ოკუნოვო (ზენდენი 76), კოკუ (რაიციგერი 65), ჯოვანი (ხავი ერნანდესი 45), ფიგუ, ლუის ენრიკე, რივალდო, სონი ანდერსონი

ბრონდბიუ: მ. კროგი, სკარბალიუსი, რასმუსენი, ნილსენი, ბ. ენსენი, ბიური (ს. კროგი 76), რავნი (მ. იენსენი 45), ჯ.-ფ. იენსენი, დაუგაარდი, ლინდრუპი (ჰანსენი 64), სანდი

**ბაიერნი 2:2 მანჩესტერი**

1:0 ელბერი (11), 1:1 იორკი (30), 1:2 სქოულზი (49), 2:2 ელბერი (90)

ბაიერნი: კანი, მათეუსი, ბაბელი, ლინკე, შტრუნცი, ლიზარაზუ, იერემისი (ფინკი 82), ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი (გოქთანი 63), ელბერი, იანკერი (დაეი 63)

მანჩესტერი: შმაიხელი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, სტამი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი, ბლომკვისტი (ჯორდი 69), შერინგემი, იორკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ბრონდბიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მანჩესტერი | 2 | 0 | 2 | 0 | 5:5 | 2 |
| ბაიერნი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |

### E ჯგუფი

**არსენალი 2:1 პანათინაიკოსი**

1:0 ადამსი (65), 2:0 კიოუნი (73), 2:1 მაურო (88)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ვინტერბერნი, ვიეირა, ადამსი, ანელკა, ბერხკამპი, ოვერმარსი, კიოუნი, პეტი, გარდი (ვივასი 79)

პანათინაიკოსი: ვანძიკი, აპოსტოლაკისი, მილოიევიჩი, ასანოვიჩი, გუმასი, ლაგონიკაკისი, მიუკლანდი, სტანდლი (სიტნიევსკი 79), კოსტანტინიდისი, ლიბეროპულოსი (მაურო 79), კიასოსი (კოლა 71)

**დინამო 1:1 ლანსი**

1:0 შევჩენკო (61), 1:1 ვერელი (62)

დინამო: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (კირიუხინი 83), კალაძე, გუსინი, კოსოვსკი, გერასიმენკო (კალიტვინცევი 78), შევჩენკო, რებროვი

ლანსი: ვარმუზი, ობენი, მაგნიე, დეუ, მერიდი, როლი, დებევი (მორეირა 73), ნიარკო, დალმატი, შმიცერი (ელუა 81), ვერელი (ნუმა 66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| პანათინაიკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლანსი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

### F ჯგუფი

**ბენფიკა 2:1 ეინდჰოვენი**

1:0 გომეში (47), 1:1 რომენდალი (70), 2:1 ჟოაო პინტუ (77)

ბენფიკა: პრიუდომი, თომასი (კანდაუროვი 60), სოუზა, ანდრადე, გიარა, ბასტო, პობორსკი (დინი 78), ლეალი, პემბრიჯი, ჟოაო პინტუ, გომეში (პრინგლე 77)

ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ლუკიუსი, სავიერი, ფაბერი, ხოხლოვი, კოლკა, დე ბილდე (ნილისი 63), ვან ნისტელროი, მარკოსი, ივანი (რომედალი 63), დოელენი (ბრუგინკი 80)

**ჰიკ 0:0 კაიზერსლაუტერნი**

ჰიკ: ვიანდერი, ილოლა, ნილუნდი, საასტომოინენი, ტიჰინენი, ვისი, კანერვა, რიჰილაჰტი, ლეკოსუო, პირაცაია, კუქი (ანტონიო 75)

კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, იბრაჰიმი, ბუკი, რაიხი, ოიგვე, სფორცა, რიედლი (კოხი 39), ვაგნერი, მარშალი, ხრისტოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაუტერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ეინდჰოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰიკ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

# ქართული ფეხბურთი მომკვდარა

## არ მჯერა, არა, არაო!..

ჩვენ იცით ვის ვგავართ? სკამზე შემდგარი ბავშვი რომ ლექსს ამბობდა: ძია ლენინი მომკვდარა, არ მჯერა არა არაო... პასუხი, მგონი, ყველას მოეხსენება — ვისაც გჯერა გაგვატარეთო.

არა. სად უნდა გაგვატაროთ. ამას იქით გზა აღარ არის. ამის იქით სხვა რა გზა დაგვრჩენია, ქართულ ფეხბურთს ყველამ ერთად უნდა ვუჭირისუფლოდ, რადგან, ისე, რომ არც გაგვიგია, მომკვდარა.

წლევანდელ ევროთასებზე ქართულმა კლუბებმა არნახულ შედეგს მიაღწიეს. ამაზე უარესი სამიოდ წლის წინ იყო — „დინამო" და „სამტრედია" პირველივე ეტაპიდან ორ-ორი წაგებით რომ გამოამჟვეს, „ობილიჩის" მძლეველი „ბათუმი" კი „სელტიკთან" ორჯერვე დამარცხდა.

წლეულს კი რაღა? წლეულს „კოლხეთი" ორი მატჩის ჯამში წითელ ვარსკვლავებთან 0:11 გაგვითახსირდა. „ტორპედომ" სტუმრად მოგება ვერ შეიშნოვა და საშინაო წაგებით გამოვარდა. „ბათუმი" მთელი სოფელ-ქვეყნის დასანახად ბალკანელ პარტიზანებს შემოელახა. „დინამო" კი „ვლაჟნიასთან" სტუმართა დაუდევრობით გაძვრა და („ატლეტიკზე" ცალკე ვთქვათ) ჰოლანდიურ „ტილბურგთან" სტუმრად თუ შინ დიდი ანგარიშით დამარცხდა.

და ჩვენი უბედურება არა იმდენად იმაშია, რომ ორ მატჩში შეგვიძლია თერთმეტი უპასუხო გოლი გავუშვათ. უბედურება ისაა, რომ „კოლხეთს" კვლავაც ასე სამარცხვინოდ წაგების ერთ-ერთი მიზეზი სოსო ფილია უდგას სათავეში. უბედურებაა ისიც, რომ „კოლხეთი" ფილიას კი შეელეოდა, მაგრამ უკეთესი მწვრთნელი ვერ მოიძია. უბედურებაა ისიც, რომ ასეთი საშინელება მისმა გუნდმა შეიმთხვია, ვინც შარშან ერთ-ერთი (რა მნიშვნელობა აქვს რომელი) ვერსიით წლის საუკეთესო მწვრთნელად შეირაცხა.

„ტორპედოს" რაღა მოუვიდა, ევროთასებზე სადებიუტო გასვლა მშვენივრად რომ დაიწყო? „ერებუნისთან" მოგება, აბა, რა სახსენებელია. ასეთი გუნდი ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატშიც კი ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელია. „ლომელთან" ნაჭამ სირცხვილზე ვთქვათ, მის მიზეზზე. ამ წაგებას ბევრი მიზეზი გააჩნია. აქეთ გამოუცდელობაო, იქეთ ფინანსური შეფერხებაო, მეკარის სუსტი თამაში თუ ფატალური უიღბლობაო. მაგრამ ასეთი თამაშის წაგება ყოველთვის მწვრთნელს ბრალდება, ახლაც ასეა და აი, რატომ.

ქუთათურები რომ ბელგიას ეწვივნენ, მათ არავინ იცნობდა. ისედაც შესუსტებული მეტოქე მთლად დაიბნა აღარ იცოდა რა ექნა. მიტომ იყო, რომ „ტორპედოს" დაეჩაგრინა და ქუთათურებს სწორედ ამაში გაუმართლათ, აკი, ერთადერთი გოლით კიდეც მოიგეს. მაგრამ ერთ კვირაში ბელგიელებმა ჩვენების თამაში კარგად შეისწავლეს (იმერლებს კი ბელგიაში ვიდეოოპერატორი არც ხლებიათ) და აქ, ქუთაისში საკუთარი შანსი გამოიყენეს. არადა, „ტორპედოს" შინ ფრეც ყოფნიდა, მაგრამ სოსო ფრუიძემ და მისმა გუნდმა ეს ვერ მოახერხა.

ესეც უბედურებაა, რომ ფრუიძე ამ მარცხისთვის კი არ მოხსნეს, არამედ მოგვიანებით და აგერ, ახლახანს ათკაციან „ბათუმთან" ვერმოგებისთვის.

თავად „ბათუმს" რაც შეეხება, მასზე ბევრის თქმა არც ღირს. ასე უსუსურნი ზღვისპირელები არასდროს ყოფილან, არც მაშინ, როცა „სელტიკს" დაეჩაგრინენ, არც „ეინდჰოვენთან". „არარატს" ხომ სულაც ორჯერვე გადაუარეს და მხოლოდ ჩვენი ფედერაციის ბედოვლათობით გამოვარდნენ.

„პარტიზანთან", ბელგრადში კი „ბათუმი" ისევე (უარესადაც) უსუსური ჩანდა, როგორც „ბათუმთან" ჩანან ხოლმე „გურია", „სამგურალი" თუ სხვა აუტსაიდერები. და მეორე მატჩი? ბოროტი ენები ამბობენ ეს მატჩი გარიგებული იყოო. ასე მართლაც ხდება ხოლმე, სუსტი ძლიერს განსაკუთრებულის სირცხვილისჭამისგან გადარჩენას თხოვს და ეგებ იმარჯვოს კიდეც, მაგრამ მომდევნო ეტაპზე მაინც ძლიერი გადის. ძნელი სათქმელია აქაც მართლა ასე მოხდა თუ არა, მაგრამ ის ძლევამოსილი „პარტიზანი" კი ბათუმში (ასეთი რა სიცხე იყო) ძლივს დალოლავდა და თამაშის დამატებით დრომდე მისაყვანად მაინც და მაინც არც ჩვენები იკლავდნენ თავს.

ბიჭები დაეჩვივნენ, რომ საზოგადოება წაგებისას პასუხს მწვრთნელს სთხოვდა. მიტომაა ახლა რომ უკვირთ ალბანელებს რომ ვერ ვუგებდით რატომ გვისტვინეთო. მწვრთნელს თავისი მოეკითხება, მაგრამ ახლა უკვე ხშირად ნათლად ჩანს, ფეხბურთელებიც რომ ძლიერ სცოდავენ.

თამაშის წინ რომ დაიკვეხნი ესაა და ამ მეტოქეს ძნელად თუ იოლად გავუსწორდებითო, მერე ორჯერ 0:3 აღარ უნდა წააგო. და თუ ასე ხდება, რა გასაკვირია, რომ მათ სიტყვას ფასი დაეკარგოს. ხალხს „ატლეტიკთან" „დინამოს" ჭიდილიც კი დადგმული სპექტაკლი ჰგონია. არა, ყველაფერზე ასე ფიქრი, ცხადია, ცნობიერების გადაგვარების ნიშანია. მაგრამ ესეც ვთქვათ, ნდობა ისეა გამქრალი და ამდენ შინაურ მიცემ-მოცემით ეჭვები გამძაფრებული — ბევრს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალიც კი ჩაწყობილი ეჩვენება.



„დინამოს" წილი ტაში ქართველმა გულშემატკივრებმა ტილბურგელებს არგუნეს

მამუკა კილაძის ფოტო

თქმაზე და სიტყვის ფასზე ერთხელაც. კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო. ტილბურგში გამგზავრების წინ „დინამოს" თავდამსხმელმა მიხეილ აშვეთიამ რომ თქვა, სტუმრად მინიმალური სხვაობით წაგებაზეც ყაბულს ვარო, ამას აბა, ვინ მოუწონებდა. არადა, ამ ბიჭს სხვა რამეში (რომ ვერ გაიტანა) მეტად რომ შესცოდა, მაშინდელი სიტუაცია რეალურად შეუფასებია.

მართალი ვთქვათ, „დინამომ" „ატლეტიკთან" იბრძოლა და ბევრი არაფერი, შინ მოგებით დაგვანახა, რომ თუ მეტად მოინდომებს იმ ერთი ნაბიჯის გადადგამაც შეუძლია, ჩემპიონთა ლიგამდე რომ დააკლდა. თბილისელებმა ბილბაოში 0:1 წააგეს და ორი მატჩის ჯამში ფრედაც ითამაშეს, მაგრამ ბასკებს სტუმრად გატანილმა უშველათ. შინ დაბრუნებულმა ქართველებმა კი სავსებით სერიოზულად განაცხადეს ხალხი გავახარეთო. დიახ, ხალხის გახარებას, ისინი ბილბაოში მხოლოდ 0:1 წაგებას ეძახიან და არა ლიგაში შეღწევას. მათ თავიანთი საზომი აქვთ და თამაშსაც საკუთარ თავს ამ საზომის შესაბამისად სთხოვენ.

„ატლეტიკს" არ ჩამოვრჩითო. ალბანელებს კი ვერ ვაჯობეთ. ლამის იყო, მათ თავკაც ჰუსეინ დედიას დანაქადნები ავასრულებინეთ — ტირანიდან შკოდერში ფეხით ჩავიყვანეთ. მაშ რით დავჩაგრეთ „ვლაჟნია"? უბრალოდ, ჩვენ შეცვლის უფრო სწორად (იურიდიულად და არა ტაქტიკურად) გაკეთება ვისწავლეთ. ესეც მიღწევაა...

ზოგი გუნდის მწვრთნელის თანაშემწეც ნელ-ნელა ეჩვევა, რომ მატჩზე წასვლისას მოთამაშეთა პასპორტები სასტუმროში არ დარჩეს. ჩვენი ელჩებიც ნათლდებიან, რომ საკლუბო ტურნირებში ორი ქვეყნის ჰიმნს არ აგუგუნებენ.

ქართულ ფეხბურთს ასეთი ფედერაციის, ქართულ კლუბებს ასეთ მესვეურთა ხელში აღარაფერი ეშველებათ. საშველი მანამ არ იქნება, სანამ „დინამოს" მწვრთნელი მერკანტული მიზეზით შეირჩევა, ანაც საამისოდ სერიოზული ეჭვი იარსებებს. ყოველ შემთხვევაში, ბევრი ფიქრობს „დინამომ" მურთაზ ხურცილავა მიტომ მიიწვია, რომ ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ჩამოეცილებინაო.

ჰო, ამას იქით გზა აღარ არის. ამის იქით სხვა რა დაგვრჩენია, ყველამ ერთად უნდა ვუჭირისუფლოდ, რადგან, ისე, რომ არც გაგვიგია, ქართული ფეხბურთი მომკვდარა.

არა, ჩვენში ფეხბურთი აწი ხელახლად თუ დაიბადება, თორემ, ცხადია, აღარ გაცოცხლდება. ჩვენ აწი ჩვენზედ მკვდრებს თუ ვაჯობებებთ, თორემ ვეღარასდროს — ცოცხლებს.

და როგორ უნდა იშვას ხელახლა ქართული ფეხბურთი? ჩანასახს, ბავშვთა ფეხბურთს თავს უნდა ვევლებოდეთ, სწორად უნდა გამო[illegible], და არა, ასე მახინჯად, ამას დღეს რომ ჩავდივართ.

იცით, ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ფეხბურთელის თასზე მეზობელი ქალაქის გუნდი სამაგიეროს როგორ უხდის პირველ მატჩში მის მძლეველ მეტოქეს? მეტოქეს, რომელმაც გამარჯვებას სტადიონის გვერდითა საცხობიდან მოხმობილი ხაბაზ-თანამსაჯის დახმარებით მიაღწია. ჩაგრულს მჩაგვრელისთვის პირველივე წუთზე ერთი ხუთმეტრიანი თამაშგარიდან გააქვს და ასე თუ უამისოდ საბოლოო, კატასტროფული ანგარიშით იყრის ჯავრს.

და განა ეს ნორმალურია. ასეთი შურისძიება როგორ შეიძლება აზრად მოგვივიდეს. და თან ეს ბავშვთა ფეხბურთში ხდება. ხომ ნათელია, რომ აქაც ფეხბურთი ჩანასახშივე მკვდარია.

ესეც ვთქვათ, იქ სადაც ადრე ვარსკვლავები იბადებოდნენ, დღეს ფეხბურთს ვინ თამაშობს. თბილისში ამის გაჭირვება შედარებით ნაკლებადაა, მაგრამ პერიფერიაშიც ხომ საფეხბურთო სკოლები ძირითადად ფასიანია. და თუ ასე არ ხდება, მაშინ ის თამაშობს ვისი შეძლებული მშობელიც ვარჯიშზე ბურთს მიიტანს.

აბა რომელ კონკურენციაზე შეიძლება ლაპარაკი. ხომ ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში კონკურენცია იმთავითვე არაჯანსაღია. ფეხბურთში და სპორტში კი სუბიექტურობა იმაზე მეტადაც დამღუპველია, ვიდრე ცხოვრების სხვა სფეროში.

ერთი მაგალითიც მოვიხმოთ ჩვენში გაბატონებული განუკითხაობა რომ თვალნათლივ დაგვანახოს. იყო შარშან საქართველოს თასის გათამაშებაში ერთი ჩვეულებრივი მატჩი. სტუმარი საპასუხოდ სათამაშოდ ისე ჩავიდა, გასარკვევი გარკვეული ჰქონდა. მაინც კი, მასპინძელთა ერთი ახალგაზრდა მოთამაშე არ ისვენებდა, მეტოქეებს ეუხეშებოდა, სხვებზე მეტად პატივდებულ მსაჯსაც უმიზეზოდ არაერთხელ აგინა. მაგრამ ცხადია, მაინც ფავორიტმა იმარჯვა, და იმ ახალგაზრდის უსაქციელობა, რაკი მსაჯთაგან დაუსჯელი დარჩა, „სარბიელში" შენიშვნის სახით მოხვდა.

გავიდა სამი-ოთხი თვე და ის ფეხბურთელი სრულიად შემთხვევით გამოტყდა, ერთხელ დოპინგმიღებული ვთამაშობდიო. არც მიკითხავს ისე თქვა, ეს ამა და ამ შეხვედრაში იყოო და სწორედ ის მატჩი დაასახელა. თამაშისას ხომ გიჟად ვიყავი და მთელი ღამეც არ მეძინაო — დააყოლა. და ეს ბიჭი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ძალიან ტრაფარეტულად რომ ვთქვათ ჩვენი ფეხბურთის მომავლიდან და მისი საძირკვლის ნალებიდანაა.

მკვდარია ქართული ფეხბურთი, აბა, რა? მაინც არ გჯერათ? მაშ ვისაც გჯერა, გაგვატარეთ, თუმცა სად უნდა გაგვატაროთ, ამის იქით აღარაფერია...

**ვახტანგ ბზიკაძე**

---

# თევზი თავიდან ყარს

### უკანამა თუ წინამო, ყველამ გასრისა „დინამო"!

ზემოთ სტატისტიკა ვახსენეთ. ამ თაობის ხელში წაგება, აბა, რად გაგვიკვირდება, მაგრამ ავად იყო თუ კარგად, პაიჭაძეზე „დინამოს" დიდი ანგარიშით მხოლოდ ერთხელ, შორეულ 1976-77 წლების სეზონში წაეგო — ბუდაპეშტის მტკ-მ 4:1 მოგვიგო. მას მერე იყო წვრილი და მსხვილი წაგებები, გულიც არაერთხელ დაგვწყვეტია, მაგრამ 29 სექტემბერს გული კი არ დაგვწყვიტეს, გული მოგვიკლეს დინამოელებმა. ისტორიას ხომ ფაქტები ქმნიან. მოდით, ერთხელაც ჩამოვაწიკწიკოთ ჩვენი მარადი ჩემპიონის „საქმენი საგმირონი" (ეროვნული ჩემპიონატის „ეპოქა" გვაინტერესებს). მაშ, ასე:

1994-95 წლები
„ტიროლი" (ავსტრია) 1:0; 1:5
(პირველი იმედგაცრუება)
1995-96 წლები
„ბოტევი" (ბულგარეთი) 0:1; 0:1
(ეეჰ!)
1996-97 წლები
„ბოავიშტა" (პორტუგალია) 1:0; 0:5
(ფუჰ! ჩვენც ფეხბურთს ვთამაშობთ, რაღა...)
1997-98 წლები
„ბაიერი" (გერმანია) 1:6; 1:0
(კარი გავიჯახუნეთ?!)
იმავე წელს
„ბრაგა" (პორტუგალია) 0:4; 0:1
(კარი ვეღარ გავიჯახუნეთ)
1998-99 წლები
„ვილემ II" (ჰოლანდია) 0:3; 0:3
(აი, სტაბილური გუნდი შინ და გარეთ)

ერთხელაც გადაავლებს დაინტერესებული კაცი თვალს ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს (უფრო „დინამოს" ნეკროლოგს რომ გვახსენებს) და მომკვდარხართ, ცოცხლებში აღარ წერიხართო, ამას იტყვის. არადა, ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ „ტიროლი", „ბოტევი", „ბოავიშტა", „ბრაგა" ან „ვილემ II" გრანდები არიან და მათთან თუ მოგება არა, თანაბრად თამაში არ შეიძლება. ამათ რომ მოვუგოთ, წლები გვჭირდებაო, ისიც თქვეს ერთი-ორჯერ. არა გვგონია, მხოლოდ დროში „იწვებოდნენ" ჩვენი „ტრიუმფატორები", ამ ტემპით და მონდომებით ათასი წელი ვერ შეძლებენ ვერანაირი გუნდის დამარცხებას, ათასი წელი მოგვიგებს ყველა, ვისაც კი სირბილი და თამაში არ ეზარება.

„ატლეტიკს" მოვუგეთო, გაგახარეთო — ამას გვამადლიან და, ალბათ, კარგა ხანსაც იბაქიბუქებენ ბასკებთან გამარჯვებით. ჯერ ერთი, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის (ბასკებმა გაიცინეს) და მეორეც, თაობა, რომელსაც ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო ტურნირში შედარებით ღირსეული თამაში გახდომია საკვეხრად, უბრალოდ, არავის სჭირდება. არავის სჭირდება, რადგან მისი ამბიციები მეტად და მეტად მოკრძალებულია და მომავალ თაობასაც მუხრუჭადღა თუ დაუხვდება წინამორბედთა მუცლით მეზღაპრეობა.

ასე რომ, გზა, გზა სხვებს. უფრო ამბიციურთ, მებრძოლთ და იმათ, ვისაც შუბლის ძარღვი ჯერაც არ გაწყვეტია. ადრე „ღირსეული წაგებებით" მაინც ვიმშვიდებდით გულს, ახლა კი ღირსებას ვინ ჩივის...

ვინა ხართ, ხალხო, საიდან მოხვედით, სად მიდიხართ, არც გულშემატკივრის გრცხვენიათ, არც სინდისის, არც კაცის, არც ღმერთის?! ლანძღვა-გინება არ მოგკლებიათ, გიღირთ კი ასე ცხოვრება? ისევ 29 სექტემბრის მატჩისშემდგომი პერიპეტიები არ შორდება თვალსა და ყურს. გამწარებული მაყურებელი „დინამოს" (აწ უკვე ყოფილ სიამაყეს) ეტაკა, ავტობუსს მინები დაუბზარა და ამ დროს ვიღაცა — ეს რა გვიყვეს, თითო შუშა შვიდასი დოლარი ღირსო — ამას წუხდა. ეეჰ! ვისთვის ცეცხლი და ვისთვის ცერცვიო — ბურთი დარბაისლურად აგორონ ჩვენმა ფეხბურთელებმა და ავტობუსის შუშები რა ბედენაა, თვითონ მათ შეინახავს შუშაში ხალხი, ცივ ნიავსაც არ მიაკარებს. ასე ხდებოდა საქართველოში და ასეც მოხდება.

იმათ კი, ვისაც ფეხბურთის ნორმალურად თამაში არ შეუძლიათ... სხვა საქმე უნდა აკეთონ.

თორემ ვისაც არ ეზარება და ვისაც სურს, ყველა ჩვენ გვიგებს.

### ცემა გვმართებს გამზრდელისა...

ახლა ორიოდ სიტყვით ქართველ მწვრთნელებსაც შევეხოთ...

არ ახალია, „სარბიელი" საგანგებო გამოკითხვას ატარებს ფეხბურთის მოყვარულთა შორის, იკვლევს ვინ მიაჩნიათ საქართველოში სხვაზე უკეთეს ფეხბურთელად, მწვრთნელად და ასე შემდეგ... რახან სიტყვა მწვრთნელებზე ჩამოვაგდეთ, ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ ქართველობა ძირითადად ანდრო ჟორდანიას, ნოდარ ახალკაცის და ანტოლი ნორაკიძის პროფესიონალიზმს უხდის ხარკს. თუმცა არც სხვები ავიწყდება მავანს და მავანს. იქამდე მიხეილ ბუტუსოვიც კი გაიხსენა გულშემატკივარმა... ერთი კანონზომიერებაც ახლავს თან ქართველ მწვრთნელთა იერარქიის დადგენას — თითქმის არსად, არცერთ ანკეტაში არ ფიგურირებს თანამედროვე ქართველი გამწვრთნელების გვარი, აქა-იქ თუ გაიელვებს რეზო ძოძუაშვილის პიროვნება. „მიხიჩა" კი კარგა ხანია ლატვიელებს უამებს ახლახან გაღვიძებულ საფეხბურთო პატივმოყვარეობას. არადა, უკვე მეათე სეზონია, დამოუკიდებლად ვაგორებთ ბურთს (ჩვენივე წვენში ვიხარშებით) და ათი სეზონი განა საკმაო არ უნდა ყოფილიყო, რათა ერთი-ორი ნორმალური კაცი გამოჩენილიყო ჩვენს ფეხბურთში?!

მწვრთნელები ხეზე არ იკრიფებიან, არც ციდან ცვივიან, მათაც არანაკლები. მუშაობა სჭირდებათ თავის თავზე, ვიდრე, ვთქვათ, ფეხბურთელებს. მსოფლიო ფეხბურთი ვითარდება. ვითარდება არა ცალმხრივად, არამედ კომპლექსურად — სპორტულ, პროფესიონალურ, ტაქტიკურ, სამედიცინო ასპექტებში და ყოველივეს ფეხის აწყობა უნდა. არც წელიწადში ერთხელ რის ვაივაგლახით მწვრთნელთა სემინარზე კაცის მივლინება ხსნის სამწვრთნელო პრობლემებს ჩვენში. ამადაცაა, კარგა ხანია არ გვინახავს ქართველი მწვრთნელის მოგებული მეორე ტაიმი (ესეც შენი ყბადაღებული პირველი გოლის სინდრომი), არ გვინახავს გამართული, „დაყენებული" შემადგენლობა და საერთოდ ქართულ კლუბს მწვრთნელის ხელი ეტყობოდეს — ეს არ გვინახავს. ჩვენი დამრიგებლების მთელი ტაქტიკური არსენალი იპოლიტე ხვიჩიას კინოპერსონაჟსღა გვახსენებს „ფეოლადან" — გოლი მინდა, თანაც ორიო — მიკნავებული ხმით რომ ეაჯება საკუთარ ფეხბურთელებს. ასე კი შორს ვერ გავფრინდებით (აკი ვერც „ფეოლა" გაფრინდა პარიზში, ხვედელიძესა და კომპანიას სხვა დამრიგებელი აახლეს საფრანგეთში).

ამიტომ, როცა მწვრთნელი თავისი გუნდის უნიათობას აბრალებს ცალკეულ ფეხბურთელებს, უფულობას, ქვეყანაში მდგომარეობას და ათას სხვა რამეს... უბრალოდ დამნაშავეა. დამნაშავეა, რადგან თუკი გუნდის დამრიგებელს პირობები არ შეუქმნეს, იგი უნდა წავიდეს და არა იწუწუნოს. წუწუნი ცუდი ტონია (განსაკუთრებით მამაკაცთათვის) და ათასი მაგალითის მოყვანაც შეგვიძლია, როცა უფრო ცუდ პირობებში უკეთებიათ საქმე მართლაც რომ ჩინებულ მწვრთნელებს.

უნიათოდ მოთამაშე გუნდს ის კი არ უნდა უძახო წამდაუწუმ — ნიჭიერი ხარ, სხვაგან რომ იყო, ვარსკვლავებს მოწყვეტდიო — ფეხბურთის სწორად თამაში უნდა ასწავლო და ის უნდა აუხსნა, რომ მინი და დიდ ფეხბურთს შორის მართლაც რომ დიდი სხვაობაა და ადგილზე ბზრიალი თუ მეტოქისთვის ზურგის ჩვენება უკვე კარგა ხანია დაავიწყდათ „სხვაგან." მოძრაობა, ტემპი, ჯგუფურად ბურთის ართმევა და უნივერსალიზმია თანამედროვე ფეხბურთის სავიზიტო ბარათი და ის, რომ ზოგიერთ ქართველ ფეხბურთელს (მცველს) მთელი კარიერის მანძილზე მეტოქის კარში არ დაურტყამს და თავდამსხმელს კი ერთი „პადკატი" რაა, ისიც არ გაუკეთებია, ყველაზე ნაკლებად ქართველ დამრიგებელთა წისქვილზე ასხამს წყალს.

ისიც ხომ საფეხბურთო აქსიომაა, რომ წაგებით უფრო ხშირად მწვრთნელი აგებს. ამიტომაც თუ ინებებენ წერილის წაკითხვას, ამ ქვეთავის სათაურს დააკვირდნენ ქართველი მწვრთნელები.

კეისარს კეისრისაო...

და მაინც ყველაფრის თავი და ბოლო, მიზეზთა შორის უპირველესი, ჩვენს ფეხბურთში მოღვაწე „ელიტაა," ანუ ხალხი, ვინც ფეხბურთში ამინდს ქმნის.

მათაც, მათაც უნდა ეთქვათ სათქმელი, მოვა დრო და მათაც მისწვდება მაყურებელი. მალე გულშემატკივარი (და ყველა) მიხვდება, რომ:

თევზი თავიდან ყარს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# მიხეილ ფოცხვერია: იარემჩენკო აღარ თვალთმაქცობს

*ფეხბურთელებმა, მეტადრე ჩვენებურებმა, ხშირად იციან მწვრთნელზე გადაბრალება: ქართველები არ უყვარს, გუნდში ამორჩეული ფეხბურთელები ჰყავს და მიუხედავად იმისა, რომ მათ ვჯობივარ, მაინც არ მათამაშებსო. ვინც მიხეილ ფოცხვერიას იცნობს, ან მისი თამაში მაინც უნახავს, ამას ნამდვილად არ იფიქრებს. მიშას რამდენჯერაც მიეცა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის საშუალება, იმდენჯერ აღგვაფრთოვანა ტრიბუნაზე შეკრებილნი თავისი საუკეთესო თვისებების დემონსტრირებით. ზუსტად ასევე მოსწონთ მიხეილ ფოცხვერია დონეცკის „შახტიორის" გულშემატკივრებსა და უკრაინელ ჟურნალისტებს, რომლებთანაც ამ თემაზე არაერთხელ მისაუბრია. ერთი ეგ არის, ქართველმა ფეხბურთელმა „შახტიორის" მწვრთნელის, ვალერი იარემჩენკოს ურჯუკი გული ვერაფრით მოალბო. მიზეზი ტრივიალურია: იარემჩენკო, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული არ დარჩა, ფოცხვერიამ რომ განუცხადა, უკრაინის ნაკრებში არ ვითამაშებო, ხოლო შემდეგ მისმა ჩვენი ეროვნული გუნდის უკლებლივ ყველა შეკრებაზე გამოცხადებამ და საქართველოს ინტერესების „შახტიორისაზე" უფრო მაღლა დაყენებამ ხომ საერთოდ გადარია. თუმცა თავად იარემჩენკო ამას, ცხადია, არ აღიარებს.*

*დონეცკში, შახტიორის ბაზაზე მიხეილ ფოცხვერიას დანახვისთანავე ერთი რამ მენიშნა, მიშა რაღაც არაბუნებრივად დადიოდა. ვიფიქრე, ალბათ მცირე ტრავმა მიიღომეთქი, მაგრამ საქმე თურმე სულ სხვაგვარად ყოფილა.*

— სამი კვირის წინ მუხლის ოპერაცია გავიკეთე და ახლა ძალიან მიჭირს სიარული. სულ რამდენიმე დღეა, რაც ყავარჯნები გადავაგდე, ასე რომ, ყველაფერს ახლიდან ვეჩვევი.

**— რა გჭირდა, მენისკი ხომ არ იყო?**

— თავიდან მუხლმა რომ შემაწუხა, მეც მენისკი მეგონა, მაგრამ შემდეგ ექიმებს სულ სხვა რამ აღმოაჩინეს — მუხლში რაღაც ხორცმეტი მქონია და მისი ამოჭრაც აუცილებელი გახდა.

**— ოპერაცია მძიმე იყო? როგორ ჩაიარა?**

— როგორც ექიმებმა ამიხსნეს, ჩემი ოპერაცია ურთულესთა კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნებოდა, მაგრამ თავადაც მოგეხსენებათ, ოპერაცია მაინც ოპერაციაა. თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა და სარეაბილიტაციო პერიოდიც ნორმალურად მიდის. ექიმი მეუბნება, მალე ყველაფერი წესრიგში იქნებაო.

**— ვარჯიში უკვე დაიწყე?**

—აბა, როგორ, ხომ ხედავ, გადაადგილებაც კი მიჭირს. როცა ვიგრძნობ, რომ ვარჯიშს შევძლებ, ექიმს კიდევ ერთხელ გავესინჯები და დასტურს თუ მომცემს, საქმესაც შევუდგები.

**— ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოს ნაკრებს ალბათ ვერ დაეხმარები. ოქტომბრის თვეში ხომ ორი თამაში გვიწევს, შენ კი დისკვალიფიკაცია გითავდება?**

— ვერაფერს გეტყვით. მოვახერხებ კი სამი კვირის განმავლობაში ვარჯიშის დაწყებას და ფორმის აღდგენას? მიჭირს დანამდვილებით პასუხის გაცემა.

**— მოდი, შენს საკლუბო საქმეებზეც ვისაუბროთ. ეს საკითხი საქართველოში ნაკლებ როდი აღელვებთ. რამე ახალი თუ არის მწვრთნელ ვალერი იარემჩენკოსთან ურთიერთობაში?**

— გარკვეული უკეთესობა შეიმჩნევა.

**— ეს როგორ გავიგოთ. შენს გაშვებაზე თანახმაა?**

— არა, საქმე აქამდე არ მისულა. მე იმას ვგულისხმობდი, რომ ჩვენი ურთიერთობა სტაბილური გახდა და, როგორც ამბობენ, უკეთესობის მაჩვენებელია. ის მე არ მეხება, მე - მას და ვართ ასე ჩვენთვის.

**— ადრე ძირითად შემადგენლობაში ხშირად არ გაყენებდა, ახლა როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

— ახლა ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ოპერაცია ახალი გადატანილი მაქვს და სულ რომ მეხვეწოს გადი და ითამაშეო, მაინც ვერ შევძლებ. ოპერაციამდე კი, მაშინ, როცა უკრაინის საფეხბურთო სეზონი ახალი დაწყებული იყო, რამდენიმე მატჩში ვითამაშე, თუმცა ეს ის არ არის, რაც მე მინდა და მჭირდება. ხან მიწევდა მოედანზე გასვლა, ხან — არა. მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მაინც არ მქონდა, მაგრამ ადრინდელთან შედარებით უკეთესობა აქაც იგრძნობოდა.

**— რა უკეთესობა?**

— რა და ადრე თუ თვეობით ვიჯექი სათადარიგოთა სკამზე და მხოლოდ რამდენიმე წუთით გავდიოდი მოედანზე, ახლა მეტი თამაშის საშუალება მომეცა. თუმცა ვიმეორებ, ეს ჩემთვის მაინც არ არის საკმარისი.

**— ეს დათმობა რამ გამოიწვია?**

— ალბათ იმან, რომ იარემჩენკოს გაუჭირდა. ატელკინის წასვლის შემდეგ მას სხვა გზა აღარ რჩება და როგორც კი გაუჭირდება, მაშინვე გამოვყავარ ძირითად შემადგენლობაში ან შეცვლაზე მაინც მიშვებს.

**— წელს რამდენ მატჩში მონაწილეობდი?**

— ოპერაციამდე, მგონი, ხუთი შეხვედრა დამიგროვდა. ორჯერ სასტარტო შემადგენლობაში გავედი, დანარჩენში კი მეორე ნახევარში შევედი შეცვლებზე.

**— მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატის მატჩებს გულისხმობ?**

— არა, უეფაზეც მომიწია თამაშმა.

**— სხვა მხრივ როგორი ურთიერთობა გაქვს იარემჩენკოსთან?**

— ხომ ვთქვი, ჩვეულებრივი, სტაბილური. არც ცუდს მეუბნება რამეს და არც კარგს. მაგრამ ეს კიდევ მირჩევნია იმას, რაც ადრე იყო. პირში კარგს მეუბნებოდა, თავისი მოქმედებით კი საპირისპიროს მიმტკიცებდა. თვალთმაქცობას ისევ ასე ყოფნა მიჯობს.

**— სხვა გუნდში გადასვლაზე აღარ ჩამოგიგდია სიტყვა?**

— არავითარი აზრი არა აქვს. იცი, ერთხელ იარემჩენკომ ასეთი რამ თქვა — ადრე რომ მცოდნოდა, ფოცხვერიას ჩვენთან დარჩენა არ უნდა, აუცილებლად გავუშვებდიო. ისე გამოვიდა, თითქოს მან ეს ახლახან გაიგო. ამაზე მეტი თვალთმაქცობა რაღა გინდათ. თანაც არ მესმის, რაში სჭირდება ყოველივე ეს?

**— ბოლოს და ბოლოს როგორ ფიქრობ, რანაირად შეიძლება შენი პრობლემების მოგვარება?**

— აბა, რა ვიცი. უკვე ყველა ხერხი ვცადე, მაგრამ რაც არ გამოდის, არ გამოდის. ამასობაში კონტრაქტის ვადაც იწურება და ამის შემდეგ იარემჩენკო კი არა, ვინც არ უნდა იყოს, ჩემი დამკავებელი აქ კაციშვილი არ იქნება. როგორც კი შესაფერისი ვარიანტი მექნება, აუცილებლად წავალ.

**— კონტრაქტი როდის გისრულდება?**

— კიდევ ერთი წელი მომიწევს აქ დარჩენა.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ადრე უკრაინელი ჟურნალისტები საკმაოდ აკრიტიკებდნენ იარემჩენკოს შენს გამო და არც „შახტიორის" გულშემატკივრები იყვნენ კმაყოფილნი.**

— ჟურნალისტებისაგან იარემჩენკოს მართლაც არაერთხელ შემთხვევია უსიამოვნება, მაგრამ ფოცხვერია არ არის ისეთი ფენომენი, რომ მის გამო დავა წლების განმავლობაში მიმდინარეობდეს. წერეს, წერეს და ბოლოს, რომ მობეზრდათ, გაჩუმდნენ. აქა-იქ თუ გაიელვებს ხოლმე რამე ფრაზა ჩემს მხარდასაჭერად. ასევე არიან გულშემატკივრებიც. ერთი ეგ არის, ჩვენი ფანკლუბი არ ისვენებს. ისინი ძალიან ერთგული გულშემატკივრები არიან და არავის არაფერს აპატიებენ — მცირე შეცდომასაც კი. ჩემის მხრივ, ძალიან მადლობელი ვარ იმ ხალხის, ვინც მთელი ამ ხნის განმავლობაში გვერდით მედგა და მხარს მიჭერდა.

**— „შახტიორი" როგორი გუნდია, რა მიზნებს ისახავს?**

— უკრაინის კვალობაზე „შახტიორი" ძლიერ გუნდად ითვლება. ჩვენთან უკრაინის ეროვნული თუ ოლიმპიური ნაკრებების ფეხბურთელებიც მრავლად არიან. მიზნებზე რა მოგახსენოთ. ადრე ცხადი იყო, რომ ჩემპიონობისთვის ვერ ვიბრძოლებდით, რადგან პირველი ადგილი კიევის „დინამოსთვის" გარანტირებული იყო. ახლა კი, იარემჩენკოს თქმით, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩარევა ჩვენ და კიდევ რამდენიმე გუნდს ძალგვიძს. თუმცა იმას ვერ გეტყვით, მწვრთნელი რამდენად გულწრფელია, როდესაც ასეთ განცხადებებს აკეთებს.

**— მიგაჩნია, რომ „დინამოს" კონკურენციას ვერავინ გაუწევს?**

— ახლა „დინამოსა" და სხვა გუნდებს შორის სხვაობამ იკლო, მაგრამ მთელი ჩემპიონატის მანძილზე მისი კონკურენტუნარიანი გუნდის დასახელება მაინც მიჭირს. „შახტიორი", „დნეპრი" და სხვები ამას კონკრეტულ შეხვედრაში, ან მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე თუ შეძლებენ.

**— ისევ შენს საქმეებს დავუბრუნდეთ. როგორ მიგაჩნია, სანამ კონტრაქტი არ გაგითავდება, იარემჩენკო არსად არ გაგიშვებს?**

— ჩემი აზრით, ეს უბრალოდ გამორიცხულია.

**— კი მაგრამ, კონტრაქტის ვადა თუ გაგივიდა, მერე ხომ შენ თვითონაც წახვალ და გუნდი კაპიკსაც ვერ მიიღებს?**

— ეს მეც კარგად მესმის და მწვრთნელსაც, მაგრამ იარემჩენკო ძალიან უცნაური პიროვნებაა, თანაც საკმაოდ ჯიუტიც და თავში თუ რაღაც ჩაიდო, იმას ძნელად თუ გადაათქმევინებს ვინმე. ჩემი გაყიდვა მართლაც რომ სდომოდა, როგორც ეს უკვე განაცხადა, ამისთვის შესაფერისი შემთხვევები საკმარისზე მეტი ჰქონდა, მაგრამ არ მოინდომა და, როგორც ვატყობ, არც მომავალში მოინდომებს.

**— რომელ კლუბებს უნდოდათ შენი შეძენა?**

— გინდ დამიჯერე, გინდ არა, მაგრამ ეს ნამდვილად არ ვიცი. მე უბრალოდ არ მეუბნებიან ამას და ყოვლმხრივ ცდილობენ, რომ ჩემამდე ამ ხმებმა არც კი მოაღწიოს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მათ შორის იყვნენ როგორც უკრაინული, ასევე საზღვარგარეთული გუნდები, მაგრამ კონკრეტულად ვინ, ამის თქმა არ შემიძლია. ერთადერთი, რაც შემთხვევით გავიგე, ის არის, რომ ვალერი გაზაევი ყოფილა სერიოზულად დაინტერესებული ჩემი „ალანიაში" გადასვლით, მაგრამ დაუკავშირდა თუ არა იარემჩენკოს და თუ დაუკავშირდა, რაზე ისაუბრეს, ეს არ ვიცი.

**— საქართველოს ჩემპიონატი თავისი დონით ჩამორჩება უკრაინის პირველობას, მაგრამ ვთქვათ თბილისის „დინამოში" თამაშის საშუალება რომ მოგეცეს, რას იტყვი?**

— თუკი „დინამოს" ხელმძღვანელობა ამის წინააღმდეგი არ იქნება, უარს რატომ ვიტყვი? რატომაც არა. სიამოვნებით ვითამაშებდი, [illegible] კედელს ვაწყდებით. ჩემი ღრმა რწმენით, იარემჩენკო „დინამოში" კი არა, საშუალება რომც ჰქონდეს, „ბარსელონაშიც" არ გამიშვებს. ამიტომ ჩემი, ან თუნდაც „დინამოს" ხელმძღვანელობის სურვილი აქ ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგრამ არაუშავს, ერთ წელიწადში უკვე თავად მექნება საშუალება, ჩემი შეხედულებისამებრ ვიმოქმედო და სასურველი კლუბი გამოვნახო.

**— თუნდაც „შახტიორთან" კონტრაქტის გასვლის შემდეგ არ ისურვებდი „დინამოში" დროებით თამაშს? მესმის, რომ შენი დონის ფეხბურთელს, ბუნებრივია, ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონატში უნდა თამაში და იქნებ „დინამო" კარგი ტრამპლინი აღმოჩნდეს.**

— ხომ ვთქვი, რომ თუ „დინამოს" სურვილიც იქნება, მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ნებისმიერ შემთხვევაში ერთი წელი უნდა მოვიცადოთ და მერე უფრო კონკრეტულად შევძლებთ ამ თემაზე საუბარს.

**— ოჯახში რა არის ახალი? ჩვენამდე ხმებმა მოაღწია, თითქოს მეორე ბავშვი შეგეძინა.**

— მეორე ბავშვი? არა, ამდენ პრობლემებში... ჯერჯერობით ასეთი გადაწყვეტილებისგან თავს ვიკავებ.

**— უკრაინაში ქართველი ლეგიონერებიც თამაშობენ. ვის გამოყოფდი მათგან?**

— კალაძეს და დარასელიას. კალაძე უდავოდ საუკეთესოა კიევის „დინამოში" და ამით ყველაფერი ნათქვამია. რაც შეეხება დარასელიას, მე ნანახი მაქვს მამამისის თამაშის ვიდეოკადრები და რომ ვაკვირდები, დარასელია უმცროსი თამაშის სტილით წააგავს მამას. მე ვნახე ცსკა-ს რამდენიმე მატჩი და საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებთა თამაშიც ვიხილე. დარასელია ყველგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ჩინებული გადაცემები, დარტყმები... თანაც ბოლო დროს გოლების გატანაც დაიწყო.

**— რაც არ უნდა იყოს, საქართველოს ნაკრების კანდიდატად ითვლები. როგორ აფასებ ჩვენს შანსებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში?**

— შანსები, რა თქმა უნდა, გვაქვს და თანაც საკმაოდ კარგიც. როგორც მე გავიგე, გულშემატკივრები ცოტა არ იყოს უკმაყოფილონი ყოფილან ნაკრების პირველი თამაშით ალბანეთთან, მაგრამ იგი ხელწამოსაკრავი გუნდი აღარ არის. შარშან ისინი კიევში იყვნენ, როდესაც უკრაინის ნაკრებს შეხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში. უკრაინელებსაც ძალიან გაუჭირდათ. ასეა, ფეხბურთს უკვე ყველა თამაშობს. მე კი ვთვლი, რომ ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად მოვხვდებით.



მიხეილ ფოცხვერია იძულებით ისვენებს

## იარემჩენკო თავს ტაქტიკურად იმართლებს

*მიხეილ ფოცხვერიასთან საუბრის შემდეგ დონეცკის ეპოპეის კიდევ ერთ მთავარ მოქმედ პირს, ჩვენთვის უკვე ასე კარგად ნაცნობ „ქართველთ მოძულე" „შახტიორის" მთავარ მწვრთნელს, ვალერი იარემჩენკოს მივაშურე. მას „ქართველთ მოძულე" რომ ვუწოდე, ამით უფრო ჩვენში გავრცელებული აზრი გამოვხატე, თორემ დონეცკელთა თავკაცი ისე გულთბილად შემხვდა, ვიფიქრე, ეს კაცი ჩემი ახლობელი ხომ არ არის, იქნებ სადმე მინახავს-მეთქი. თანაც იარემჩენკოს სულ რამდენიმე წუთი ჰქონდა თავისუფალი, რადგან გუნდის კრებაზე მიეჩქარებოდა. მიუხედავად ამისა, მან მოკლედ მაინც გამომკითხა ჩვენი საფეხბურთო საქმეების შესახებ და საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური სიტუაციის თაობაზეც კი ჩამომიგდო სიტყვა. შემდეგ ცოტა ხანს გაყუჩდა, „ну, ладно "-ო, თქვა და ჩემი შეკითხვის მოსასმენად მოემზადა*

**— ერთი წლის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ მიხეილ ფოცხვერია „შახტიორის" ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმიტომ ვერ იმკვიდრებს, რომ უფრო ძლიერი და გამოცდილი ატელკინი მყავსო. ატელკინი კარგა ხანია, იტალიაში წავიდა, ფოცხვერიას სიტუაცია კი კვლავ უცვლელია...**

— აჰა, ასეც ვიცოდი. აბა, ქართველი ჟურნალისტი „შახტიორის" პრობლემებზე სალაპარაკოდ ნამდვილად არ მომადგებოდა. რა თქმა უნდა, ფოცხვერია. მართლა, თქვენ ნახეთ იგი?

**— თქვენამდე მას ვესაუბრე.**

— მაშინ, მით უმეტეს, უცნაურად ჟღერს თქვენი კითხვა. ხომ ნახეთ, რომ ოპერაციის შემდეგ იგი ძლივს დადის. ყავარჯნებით ხომ არ გავიყვანდი სათამაშოდ?

**— ახლა, ცხადია არა, მაგრამ მიშამ ოპერაცია სამიოდე კვირის წინ გაიკეთა და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაინცდამაინც არც მანამდე სწყალობდით. მაპატიეთ, თუ თქვენს კომპეტენციაში ვიჭრები, მაგრამ ეს ცოტა უცნაურად მეჩვენება, რადგან თქვენ, რამდენადაც ვიცი, ფოცხვერიას ნიჭს არასდროს უარყოფდით.**

— ადრეც ვთქვი და ახლაც ვამბობ, რომ იგი სწრაფი, ტექნიკური, მებრძოლი და საკმაოდ უნივერსალური ფეხბურთელია, სწორედ ისეთი, ჩვენ რომ გვჭირდება და ძალიან კარგადაც ვიყენებდით ამ კოზირებს. თუ თქვენ ის გაქვთ მხედველობაში, რატომ არ თამაშობდა ფოცხვერია ყველა მატჩს 90 წუთის განმავლობაში, ეს მხოლოდ მწვრთნელების გადასაწყვეტია და ამის მიზეზი ფეხბურთელისადმი უნდობლობა კი არა, გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებები იყო.

**— გაზეთ „უკრაინსკი ფუტბოლისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვენ „შახტიორის" თითო უძლიერესი მოთამაშე დაასახელეთ დაცვის, ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზებში, რის შემდეგაც გაირკვა, რომ უძლიერეს თავდამსხმელად თქვენს გუნდში ფოცხვერია მიგაჩნიათ. რა ტაქტიკური მოსაზრებაა და თანაც ერთ მატჩში, არამედ საკმაოდ ხშირად.**

— ახალგაზრდავ, მე უკვე გითხარით, რომ მსგავსი საკითხები მხოლოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია. თანაც ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ფოცხვერია საკმაოდ უიღბლო ფეხბურთელია და ხშირად ღებულობს ტრავმებს.

**— ასეა თუ ისე, ფოცხვერია აქ ყოფნით დიდად აღტაცებული არ არის. მას გადასვლა უნდა და როგორც ვიცი, ამის შესახებ თქვენთვისაც არაერთხელ განუცხადებია.**

— მას ჩვენთან ჯერჯერობით კონტრაქტი აკავშირებს, ამიტომ ვერსად წავა. ფოცხვერიას გაყიდვისგანაც ჯერ თავს ვიკავებთ, რადგან ატელკინი წავიდა, ეგეც რომ გავუშვათ, ძალიან გაგვიჭირდება.

**— კარგი მყიდველი რომ გამოჩნდეს?**

— თუ ისეთ თანხას შემოგვაძლევენ, რომ სრულფასოვანი შემცვლელის შეძენას შევძლებთ, მაშინ იქნებ გავყიდოთ კიდეც. მაგრამ ჯერჯერობით ყველა დაინტერესებულს თითქმის მუქთად უნდოდა ფოცხვერიას ყიდვა.

**— შეიძლება, მისი მსურველი კლუბები დავასახელოთ?**

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? ისე კი როგორც უკრაინული, ასევე საზღვართგარეთული სოლიდური კლუბები იყო, მაგრამ ჩვენ მაინც თავს ვიკავებთ.

ირაკლი სირაძე
დონეცკიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

UEFA CUP

# ავტობუსში მხოლოდ შალკე ჩაჯდა

## უეფას თასის 1/32 ფინალის საპასუხო მატჩების მიმოხილვა

„სკონტო“ დამარცხდა — 2:3. მას მოსკოვის „დინამომ“ აჯობა. რიგელთა შემადგენლობაში ქართველებს არ უთამაშიათ, ალექსანდრე რეხვიაშვილი ორი ყვითელი ბარათის გამო ტოვებდა შეხვედრას, ლევან სილაგაძე კი თითქმის მოშუშებული ტრავმის გამიზეზებას მოერიდა.

— ჩვენმა გუნდმა აქცენტი პირველი მატჩის ანგარიშის (2:2) შენარჩუნებაზე გააკეთა და შეცდა — გვითხრა სილაგაძემ სატელეფონო საუბრისას.

„სკონტოსგან“ განსხვავებით უეფას თასისთვის ბრძოლას განაგრძობს ციურიხის „გრასჰოპერი“. მიხეილ ყაველაშვილისა და გიორგი ნემსაძის გუნდმა ბელგიურ „ანდერლეხტთან“ შინ 0:0 ითამაშა, მაგრამ „კალიებად“ წოდებულ შვეიცარიელებს ზურგს ბრიუსელში მოგებული 2:0 უმაგრებდათ.

შეხვედრა ერთობ უსიცოცხლო გამოდგა. ორივე მხარემ თითზე ჩამოსათვლელი სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ:

— ყოველგვარი ღელვის გარეშე დავამარცხეთ ბოლო 30 წლის ევროპის რვა საუკეთესო გუნდთაგან ერთ-ერთი — განაცხადა „გრასჰოპერის“ თავკაცმა როლფ ფრინგერმა და მწვრთნელთათვის დამახასიათებელი „დიპლომატიურობით“ გვერდი აუარა იმ ფაქტს, რომ სადღეისოდ „ანდერლეხტი“ არც მეტი, არც ნაკლები, სუსტი გუნდია — პირველ ტაიმში დაუბრკოლებლად შევასრულეთ დასახული გეგმა, მეორეში კი „ანდერლეხტმა“ პრესინგს მიმართა და ორიოდ ეპიზოდში ბედმა გაგვიღიმა, გოლი რომ არ გავუშვით.

ბრიუსელელებმა, რომელთაც ეროვნულ პირველობაზე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვთ მოპოვებული, ციურიხის გუნდთან ჯერ კიდევ პირველ შეხვედრაში დამარცხების გამო დიდი კრიტიკა იწვნიეს ახლა, მეორე მატჩში ნაჩვენები ულიმღამო თამაშის მერე მათ უთუოდ მწარე სიტყვებს უნდა უსმინონ.

1983 წლის უეფას თასის მფლობელმა შეტევაში სიმწვავე ვერ გამოიჩინა. გუნდის ყველაზე დიდი შანსი მისმა ნორვეგიელმა თავდამსხმელმა ოლე მარტინ აარსტმა შექმნა, როდესაც თამაშის ბოლო მონაკვეთში ძლიერი თავური დაარტყა, მაგრამ „კალიების“ მეკარემ პასკალ ცუბერბიულერმა ოსტატური ნახტომით იხსნა კარი.

— ჩვენ თვითრწმენა გვაკლდა. მატჩის ბედი იმ მომენტმა განსაზღვრა, როდესაც პატრიკ ვან დიემენმა ბოძებული შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. ეს პირველ ტაიმში მოხდა — განაცხადა (ანდერლეხტის მწვრთნელმა) ჟან დოქსმა, რომელიც მხოლოდ ერთი რამით კმაყოფილი იყოს შეიძლება: მას ენცო შიფო დაუბრუნდა.

ესპანურმა „ბეტისმა“ ორი კვირის წინ დანიაში „ვეილესთან“ წაგებით თავი ისე შეურაცხყოფილად იგრძნო, რომ საპასუხო მატჩში „თავხედ“ ჩრდილოელებს ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. საგულისხმოა, რომ „ბეტისი“ ესპანეთის პირველობაზე ბოლოსწინა, მეცხრამეტე ადგილზეა.

მასპინძელთაგან სამი გოლი ივან პერესმა გაიტანა. სხვათა შორის, პერესმა ქვეყნის პირველობის ბოლო ტურში, „ესტრემადურას“ კარშიც შეაგდო გოლი (1:1), მანამდე კი ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმოცარული სტოვებდა მოედანს.



ფეიენოორდი — შტუტგარტი. გერმანელმა თომას ბერთოლდმა ჰოლანდიელთა არგენტინელ თავდამსხმელს ხულიო კრუზს ეს ორთაბრძოლაც მოუგო

მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავდამსხმელის მეორე და მესამე გოლებს შორის „ვეილეს“ კარი ხოსე ვალვესმა და ამსტერდამის „აიაქსის“ შემადგენლობაში სახელგანთქმულმა ნიგერიელმა ფინიდი ჯორჯმა დალაშქრეს.

იყოჩაღა „ვალენსიამაც“. მისი მეტოქე „ბეტისისაზე“ ძლიერი, ბუქარესტის „სტიაუა“ გახლდათ. „ვალენსიას“ მოგებული ჰქონდა ორი კვირის წინანდელი დაპირისპირება-1:3. საპასუხო შეხვედრაში ესპანელებმა გამოძებნეს ძალები და ჩემპიონთა თასის 1986 წლის მფლობელს უკვე თვალსაჩინოდ დაუმტკიცეს თავიანთი უპირატესობა.

ცალკარაო, ასე იტყვიან ხოლმე ვალენსიაში ჩატარებულის მსგავს შეხვედრებზე. ესპანური გუნდის მოთამაშეთაგან საგანგებოდ გამოსაყოფი არგენტინელი კლაუდიო ლოპესი გახლავთ. სწორედ მისი მეცადინეობით შეიქმნა ბევრი სახიფათო მომენტი რუმინეთის უძლიერესი კლუბის კართან. თამაშის დაწყებიდან პირველ ნახევარ საათში სტუმრებმა ორჯერ ამოისუნთქეს, როდესაც ბურთი მათი კარის ძელს მოხვდა. მაგრამ შესვენებიდან შვიდ წუთში ძელმა ველარაფერი გააწყო: ლოპესმა ჟოსელინ ანგლომას ჩააწოდა მაღალი პასი, ანგლომამ ფრანგ თანამემამულეს ალან როშს თავით დაუგდო ბურთი და როშმა ანგარიში გახსნა.

მეორე გოლი ლოპესმა თავად გაიტანა. მან უხეიროდ გადალობილ ორ მეტოქეს ჩაურბინა და ისე დაარტყა, რომ „სტიაუას“ მეკარემ ბურთი ვერ მოიგერია, თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი იტალიელმა კრისტიანო ლუკარელიმ ახლოდან მესამე შეაგდო.

ვიგოს „სელტასაც“ რუმინელი მოწინაალმდეგე ჰყავდა — „არჯეში“. ამ ესპანურ-რუმინული წყვილის პირველი შეხვედრის ანგარიში ისევე როგორც „ვალენსია“ — „სტიაუას“ შემთხვევაში, ესპანელთა სასარგებლო იყო — 1:0, მაგრამ საპასუხო მატჩმა ცხადჰყო, რომ ორი კვირის წინანდელის თვლას აზრი არ ჰქონდა.

7:0 — ასე მოიგო „სელტამ“. ბულგარელმა ლუბო პენევმა პირველსავე ტაიმში შეასრულა ჰეთ-თრიკი.

სან სებასტიანში, ადგილობრივი „რეალ სოსიედადის“ სტუმარი ჩეხური „სპარტა“ იყო, რომელიც დარკო კოვაჩევიჩის გოლმა დაამარცხა. ორი შეხვედრის ჯამში ესპანეთის ეს წარმომადგენელი 5:2 მოგებული დარჩა და ისიც მეთექვსმეტედფინალის კენჭისყრას ელის.

ერთადერთი ესპანური გუნდი, რომელმაც სტუმრად ითამაშა, მაგრამ თანამემამულეებს არ ჩამორჩა და შემდეგ ეტაპზე გავიდა, გახლდათ დედაქალაქის, მადრიდის „ატლეტიკო“. იგი ბელგრადში „ობილიჩს“ ესტუმრა. მატჩის ერთადერთი გოლი, მეორე ტაიმის მეათე წუთზე, ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა კიკომ შეაგდო. კიკოს პერსონალურად დარკო ნოვიჩი მეურვეობდა, მაგრამ 90 წუთიდან ერთწამიანი მოდუნებაც საკმარისი აღმოჩნდა მადრიდის ფორვარდს 0:0 0:1-ით რომ შეეცვალა.

გოლიდან ცოტა ხნის შემდეგ სტუმრების მეკარემ ხოსე მოლინამ „ობილიჩის“ გამთამაშებელი ნენად გროზდიჩი საჯარიმო მოედნის გარეთ რომ წააქცია, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს.

ამასობაში, მარსელში, „ოლიმპიკმა“ ევროპულ სარბიელზე დაბრუნება ჩეხური „სიგმას“ 4:0 ძლევით და ორი მატჩის ჯამში 6:2 გამარჯვებით აღნიშნა.

„ველოდრომზე“ თავმოყრილმა 20 ათასმა ქომაგმა გაიხარა 1993 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელის მიერ თითო ტაიმში ორი გოლის გატანით. ოთხი წელიწადია გასული, რაც „ოლიმპიკს“ კონტინენტურ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია და აი...

— საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონობით ვერ მოახდინა ისეთი ეფექტი, „მარსელის“ „სიგმასთან“ გამარჯვებამ რომ შვა. ჩვენ იმ ანგარიშით გავიმარჯვეთ ყველაფერზე რომ მეტყველებს — თქვა თამაშის მერე ჩეხთა კარში ორი გოლის ავტორმა, მსოფლიოს ჩემპიონმა კრისტოფ დაიუგარიმ.

პირველი გოლი დიუგარიმ მცველის, სირილ დომორუდის პასით ახლოდან გაიტანა, მაგრამ სანამ მეორეჯერაც დალაშქრავდა სტუმართა კარს, ეს თავდამსხმელის ფლორიან მორისის პასით რობერ პირესმა გააკეთა.

მეორე ტაიმში დიუგარის იმავე მორისმა გაუწია ასისტენტობა, ბოლოს კი, მას მერე, რაც იტალიელი ფაბრიციო რავანელის დარტყმული ჩეხმა მეკარემ ინდრიხ სკასელმა უკუაგდო, პირესმა იყოჩაღა და მეოთხედ გაახარა ველოდრომელი გულშემატკივარი.

— თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი წყალში — თქვა პირესმა, რომელმაც „მარსელის“ შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გსულ კვირას „ბასტიას“ კარში შეაგდო — მეთექვსმეტედფინალში დიდებულად გავედით, თანაც მე ორი გოლი გავიტანე.

ცნობილ რავანელის ერთი მომენტიც ჰქონდა, რომელიც გოლად ვერ გარდასახა, მორისმა კი ერთხელ ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო მეორედ კი მეკარემ აუღო.

მოკლედ მასპინძელთა უპირატესობა დიდი იყო, მაგრამ სულ თავიდან მათ კინაღამ გოლი გაუშვეს, თან ორჯერ. ორივეჯერ გერმანელმა მეკარემ ანდრეას კიოპკემ გადაარჩინა „ბებერი პორტის“ გუნდი.

გამარჯვებულთა მწვრთნელი როლან კურბისი შედეგით მეტად კმაყოფილი გახლდათ და როდესაც პრესკონფერენციაზე ჰკითხეს, თუ შემდეგ ეტაპზე ვისთან ისურვებდა შეხვედრას, უპასუხა სულ ერთიაო.

„ლიონმა“ ინგლისური „ბლექბერნ როვერსი“ გამოთიშა გათამაშებიდან. მან ორჯერ შეძლო დაწინაურება და მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ანგარიში ორჯერვე გაუთანაბრა, იქ, ორი კვირის წინ მოგებული 1:0-ის ძალით შემდეგ ეტაპზე გავიდა.

თამაში დასასრულს რომ უახლოვდებოდა, სტუმრები მოედანზე ერთით ნაკლებნი დარჩნენ — ჯეისონ ვილკოქსმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

ფრანგებმა ანგარიში მესამე წუთზევე გახსნეს, როდესაც ალენ კაველიამ ჯარიმიდან ბურთი ცოცხალი კედლის მიღმა ისე ჩაახვია, რომ „ბლექბერნის“ გოლკიპერი ტიმ ფლაუერსი ვერ მიწვდა, მაგრამ ერთი ფრანგის ალმა ხნული მეორემ დალმა ფარცხა — ინგლისურ გუნდში მოთამაშე სებასტიან პერესმა 26-ე წუთზე მაღლა ახტომაში თანამემამულე პეტრესების ... დადამიენ დაფის მიერ მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებული მაღალი პასი თავური გოლით დაამშვენა

მერე ისევ „ლიონი“ დაწინაურდა. ანგარიშის გათანაბრებიდან ათ წუთში მასპინძელთა პოლონელი ფეხბურთელი იაცეკ ბაკი (პირველი შეხვედრის ერთადერთი გოლის ავტორი) ჯეფ კენამ საჯარიმოში წააქცია და ამისათვის დანიშნული პენალტით შვეიცარიელმა მარკო გრასიმ დააღონა ფლაუერსი.

მეორე ტაიმის მე-11 წუთზე „ბლექბერნის“ ნახევარმცველმა გერი ფლიტკროფტმა კრისტიან დეილის პასი მიიღო, დაარტყა და მეორედ გაქვითა.

აი, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში ტიმ შერვუდსაც რომ ესარგებლა შექმნილი მდგომარეობით, ახლა კენჭისყრის მოლოდინში „ლიონი“ კი არა, ინგლისის 1995 წლის ჩემპიონი იქნებოდა.

„მეცმა“ კი ვერ მოახერხა „ლიონთან“ და „მარსელთან“ ერთად მეთექვსმეტედფინალისტთა კამპანიაში მოხვედრა. მას გზა ჩემპიონთა თასის ოდინდელმა მფლობელმა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ დაათმობინა, ოღონდ საამისოდ ცხრა პირი ოფლი მოიდინა და პენალტებით 4:3 მიოგო.

„მეცი“ ის გუნდია, ამ სეზონში 11 შეხვედრის განმავლობაში მოუგებლად რომ მიდიოდა და ნავსი „ცრვენა ზვეზდასთან“ 2:1 მოგებით რომ გატეხა, მაგრამ ამით საქმე მხოლოდ და მხოლოდ დამატებით დრომდე მიიყვანა.

შეხვედრის ძირითადი დრო ორივე მხარემ 10 ფეხბურთელით დაამთავრა, თავიდან კი „ცრვენა ზვეზდა“ იგებდა. მე-18 წუთზე ვინკო მარინოვიჩმა უბადლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა. შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე სილვაინ კასტენდეშმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 68-ზე მასპინძელთა გამთამაშებელმა ფრედერიკ მეორემ პენალტით საქმე დამატებით დრომდე მიიყვანა.

ზევით ორი გაძევება ვახსენეთ. ფრანგულ გუნდს 51-ე წუთზე ამერიკელი დევიდ რეჯისი დააკლდა. მან მიოდრაგ პანტელიჩის წინაალმდეგ ზურგსუკნიდან უხეშობისთვის დასტოვა მინდორი, იუგოსლავიელები კი საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე გორან დრულიჩმა დატოვა კაცნაკლულად. დრულიჩი მეორე ყვითელი უხეშობის გამო დაისაჯა.

საინტერესო ის ამბავიც იყო, რომ სტუმართა თანმხლებმა გულშემატკივრებმა მათთვის გამოყოფილ ტრიბუნაზე ხულიგნობა ატეხეს და სანამ პოლიცია ჭკუას ასწავლიდათ, თამაშმა სამი წუთით დაიცადა.

რაც შეეხება პენალტების სერიას, აქ „მეცს“ იუგოსლავიელმა, ოღონდ არა მეტოქემ, არამედ თანაგუნდელმა ნენად იუსტროვიჩმა უღალატა. კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი ბელგიელმა დენი ბოფინმა აცილა მიზანს. სტუმართაგან სიზუსტე დრაგან მიჩიჩს დააკლდა.

„ბორდო“ ვენაში „რაპიდზე“ ძლიერი გამოდგა, მოიგო 2:1 და შინ ნათამაშევი 1:1-ის დამატებით ჯამური უპირატესობა მოიპოვა.

„მონაკომ“ შინ, „ლუი მეორეზე“ პოლონურ ლკს-ს 0:0 დაუმთავრა და მშიდად, პირველ შეხვედრაში მოგებული 3:1-ის შემწეობით მეთექვსმეტედფინალში გავიდა.

იტალიელებს გამოაკლდათ „უდინეზე“, რომელმაც „ლევერკუზენში“ 0:1 წააგო, დანარჩენები, „პარმა“, „რომა“, „ფიორენტინა“ და „ბოლონია“ თასისთვის ბრძოლას განაგრძობენ.

დღის, უფრო სწორედ ეტაპის გმირი კი გახლდათ „შტუტგარტი“. ვინ, თუ არა გერმანელი შეძლებს შინ წაგებული 1:3-ის შეტრიალებას და სტუმრად 3:0 გამარჯვებას. თან შტუტგარტელთათვის ეს შედეგი ერთიორად გასახარი იმიტომაა, რომ მათ ჰოლანდიის გუნდი, „ფეიენოორდი“ გაამწარეს.

მესამე, ყველაფრის გადამწყვეტი გოლი, გერმანული ადათის თანახმად, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში შეაგდო ფრედი ბობიჩმა.

— დღეს დაუვიწყარი გამარჯვება მოვიპოვეთ, ის ისტორიაში შევა — თქვა „შტუტგარტის“ ამაყმა თავკაცმა ვინფრედ შეფერმა.

— როცა გერმანელებს ეთამაშები, გამარჯვებაში დარწმუნებული მხოლოდ მაშინ შეგიძლია იყო, როდესაც ხედავ, რომ ისინი ავტობუსში სხედან და შინ ბრუნდებიან — უთხრა მატჩის წინ სახელოვანმა მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა თავის როტერდამელ ფეხბურთელებს.

— ვულოცავ „შტუტგარტს“. მან ძალიან კარგად ითამაშა — თქვა ბეენჰაკერმა მატჩის შემდეგ.

გერმანული გუნდებიდან შეჯიბრებას პრაღის „სლავიასთან“ პენალტებით დამარცხებული „შალკე“ გამოეთიშა, „ვერდერი“, „შტუტგარტი“ და „ლევერკუზენი“ კი სვლას განაგრძობენ.

**ბაჩუნა კედია**

### უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი
საპასუხო მატჩები. 29 სექტემბერი

UEFA CUP

*სოსიედადი (ესპანეთი)* — სპარტა (ჩეხეთი) 1:0 (4:2)
*პარმა (იტალია)* — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 3:1 (0:1)
*ლიონი (საფრანგეთი)* — ბლექბერნი (ინგლისი) 2:2 (1:0)
სკონტო (ლატვია) — *დინამო (რუსეთი)* 2:3 (2:2)
*სელტიკი (შოტლანდია)* — ვიმარაეში (პორტუგალია) 2:1 (2:1)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — *შტუტგარტი (გერმანია)* 0:3 (3:1)
*სელტა (ესპანეთი)* — არჯეში (რუმინეთი) 7:0 (1:0)
*რომა (იტალია)* — სილკებორგი (დანია) 1:0 (2:0)
*მონაკო (საფრანგეთი)* — ლკს (პოლონეთი) 0:0 (3:1)
*გრაცერი (ავსტრია)* — ლიტექსი (ბულგარეთი) 2:0 (1:1)
ჰაიდუკი (ხორვატია) — *ფიორენტინა (იტალია)* 0:0 (1:2)
სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) — *ასტონ ვილა (ინგლისი)* 0:3 (2:3)
*სლავია (ჩეხეთი)* — შალკე (გერმანია) 1:0, 5:4პ (0:1)
*ცსკა (ბულგარეთი)* — სერვეტი (შვეიცარია) 1:0 (1:2)
მეცი (საფრანგეთი) — *ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)* 2:1, 3:4პ. (1:2)
*ლივერპული (ინგლისი)* — კოშიცე (სლოვაკეთი) 5:0 (3:0)
*ბოლონია (იტალია)* — სპორტინგი (პორტუგალია) 2:1 (2:0)
*ვისლა (პოლონეთი)* — მარიბორი (სლოვენია) 3:0 (2:0)
*ბეტისი (ესპანეთი)* — ვეილე (დანია) 5:0 (0:1)
რაპიდი (ავსტრია) — *ბორდო (საფრანგეთი)* 1:2 (1:1)
ობილიჩი (იუგოსლავია) — *ატლეტიკო (ესპანეთი)* 0:1 (0:2)
მარიტიმუ (პორტუგალია) — *ლიდსი (ინგლისი)* 1:0, 1:4პ (0:1)
*ლევერკუზენი (გერმანია)* — უდინეზე (იტალია) 1:0 (1:1)
*ვალენსია (ესპანეთი)* — სტიაუა (რუმინეთი) 3:0 (4:3)
ანორთოსისი (კვიპროსი) — *ციურიხი (შვეიცარია)* 2:3 (0:4)
*ბრიუგე (ბელგია)* — უიპეშტი (უნგრეთი) 2:2 (5:0)
აეკ (საბერძნეთი) — *ვიტესი (ჰოლანდია)* 3:3 (0:3)
*ვერდერი (გერმანია)* — ბრანი (ნორვეგია) 4:0დ.დ. (0:2)
*მარსელი (საფრანგეთი)* — სიგმა (ჩეხეთი) 4:0 (2:2)
*გრასჰოპერი (შვეიცარია)* — ანდერლეხტი (ბელგია) 0:0 (2:0)

# შეცდომა შეცდომის შემდეგ

„იგი პრემიერლიგის ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც ინგლისში არც მეგობარი ჰყავს და არც გულშემატკივარი. ის ეულია" — წერდა საქვეყნოდ ცნობილი გაზეთი „ტაიმსი" „შეფილდ უენსდეის" იტალიელ ლეგიონერ პაოლო დი კანიოზე.

ძნელი სათქმელია, მართლაც ასეა თუ არა, მაგრამ ერთი რამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება — ბოლო ტურში, „არსენალთან" შეხვედრის შემდეგ, პაოლო დი კანიო უფრო მეტ მტერს გაიჩენდა, ვიდრე კეთილისმსურველს. აპენინელმა მსაჯი პოლ ელკოკი მინდორზე დასცა. გულმოსულმა ფეხბურთელმა ნერვები ველარ მოთოკა და ერთ-ერთი ლონდონელის ჯავრი არბიტრზე იყარა.

ბრიტანეთის სპორტის მინისტრი ტონი ბენქსი ფეხბურთის დიდი ტრფიალია, მაგრამ ჭეშმარიტ ქომაგთა დარად უხეშობას და „სპორტულ აფერისტობებს" ვერც ის იტანს. ყველა გულშემატკივარს კარგად ესმის, რომ ერთხელ შეიძლება ფეხბურთელი ვინმეზე გაბრაზდეს და უმსგავსობა იკადროს, მაგრამ როცა ეს მეორედ, მესამედ ან სულაც მეათედ მეორდება, საქმე თავხედობასთან და ნამუსგარეცხილობასთან გვაქვს. სწორედ ტონი ბენქსი იყო, რომ განაცხადა, დი კანიოსნაირი ფეხბურთის მტრები ინგლისის ჩემპიონატს უნდა ჩამოვაშოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პრემიერლიგას წაგვიბილწავენო.

მთელმა ინგლისმა გაკიცხა დი კანიოს საქციელი. ყველას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფა, როგორც უნდა ცდებოდეს იგი, უბრალოდ, ფეხბურთელის ზნედაცემულობაზე მიუთითებს. ახლა პაოლო დი კანიო სასჯელს ელის. არავინ იცის, როგორ დასჯის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტი შეფილდელთა ლეგიონერს, მაგრამ ქვეყნის ფეხბურთის განვითარებაზე მზრუნველთა განაჩენი მკაცრი რომ იქნება, ამას თქმა არ უნდა.

პაოლო დი კანიო ერთია (და არა უკანასკნელი) იმ ფეხბურთელთა არმიიდან, რომელთა კარიერასაც მსაჯის შეურაცხყოფა და აყალმაყალი მუდმივად თან სდევს. ასეთი ფაქტი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უამრავი ყოფილა. მეტიც, ზოგჯერ საქმე არბიტრის საშინლად ცემასა და სიცოცხლის ხელყოფამდეც მისულა. მომხდარა ასეთი რამ და ამას ვერსად გავექცევით.

ქვემოთ იმ შემთხვევებს გაგაცნობთ, მსაჯებისა და დანარჩენების „ტკბილ ურთიერთობებზე" რომ მეტყველებს. უკლებლივ ყველა მათგანი წლეულს მოხდა და ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველი ფეხბურთელი აქაც ურევია.

რუსეთში, ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდს, ნალჩიკის „სპარტაკს" რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ხუთი საშინაო მატჩის სტუმრად გამართვა მიუსაჯა, რადგან კლუბის შავანმა გულშემატკივარმა მსაჯს მობილური ტელეფონით ცხვირი გაუტეხა. იმავე კლუბის სათადარიგო მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე იმავე კომიტეტმა თანამსაჯის ცემისთვის სამუდამოდ მოკვეთა ფეხბურთიდან.

რუმინეთში პირველი დივიზიონის კლუბ კრაიოვას „უნივერსიტატიას" მწვრთნელი ოლიე ბალაჩი მსაჯ არონ ჰუზუს ფიზიკური შეურაცხყოფისთვის ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. გუნდს აპელაციის შეტანა არც უფიქრია.

იმავე რუმინეთში, კონსტანცის „ფარულის" პრეზიდენტს სადისციპლინო კომიტეტმა ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რადგან მან, მატჩის შედეგით განაწყენებულმა და თანამსაჯის არაობიექტური მოქმედებით აღშფოთებულმა, ამ უკანასკნელს მუჯლუგუნი უთავაზა.

ალბანეთში, ქვეყნის ბოლო პირველობის უკანასკნელ ტურში, სოპოტის „ლიზჟადის" და გროკასტერის „შკიპონიას" მატჩის არბიტრი ფიქრი ჰახია მასპინძელთა გუნდის სამმა მოთამაშემ სასტიკად მიბეგვა. შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა. არადა, ფეხბურთელთა აზრით, მსაჯს სტუმართა კარში პენალტი უეჭველად უნდა დაენიშნა. ალბანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სამივე მოთამაშე ფეხბურთს ხუთი წლით ჩამოაშორა.

ახალ ზელანდიაში „პალმერსტონ ნორსის" მეკარე ენდრიუ ფიჩერი, რომელმაც არბიტრს თავში ჩაარტყა, სამუდამოდ მოკვეთეს ფეხბურთიდან. მან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში აპელაცია შეიტანა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. მეტიც, თავისივე კლუბის ხელმძღვანელთა თხოვნით იგი გარკვეული თანხით დააჯარიმეს.

პორტუგალიის ჩემპიონ „პორტუს" მცველი ფერნანდო მენდესი აპრილში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაში მატჩის კომისრის გალახვისთვის სამი თვით ჩამოაცილეს სარბიელს. კომისარი გაავებული მოთამაშისგან მსაჯის დაცვას შეეცადა და ეს მოახერხა კიდეც, მაგრამ თავად დაზარალდა.

ბრაზილიაში, სადაც არეულობები, მსაჯის ცემა, ფეხბურთელთა ჩხუბი ჩვეულებრივი მოვლენებია, წლის დასაწყისში სულაც სისხლი დაიღვარა. ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ ქვედა ლიგის მორიგი ტურის მატჩის არბიტრმა ვალმირ დოს სანტოსმა დამნაშავე ფეხბურთელი გააძევა. დასჯილი ალექსანდრ როჩა გაძევებისთანავე შინ წავიდა, სტადიონზე დაბრუნდა და მსაჯს ოთხი ტყვია დაახალა. დოს სანტოსი გარდაიცვალა, როჩა კი ალვირახსნილი მოქმედებისთვის ციხეში ჩასვეს.

მსაჯის შეურაცხყოფის ფაქტები ჩვენთან, საქართველოშიც დაფიქსირებულა, ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა სხვა საფეხბურთო ქვეყანაში. ფეხბურთელების, გუნდების ხელმძღვანელებსა და მსაჯების დაპირისპირების ფაქტები ადრეც ყოფილა და უეჭველია, კიდევ იქნება. სამწუხარო ისაა, რომ სხვების შეცდომებზე მოთამაშენი მაინც ვერ სწავლობენ.

დაბოლოს, მაინც პაოლო დი კანიო. საინტერესოა რა სახით დასჯიან?

**ირაკლი ილაშვილი**




ფაქტი ყველაფერზე მეტყველებს: პაოლო დი კანიო ელკოკს ეუხეშება

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

VIII ჯგუფი. იუგოსლავია - ირლანდია; ირლანდია - მალტა

ირლანდიელთა გამარჯვება ხორვატებთან ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში გარკვეულწილად მოულოდნელობა იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორის მარცხს დუბლინში არავინ ელოდა, მაგრამ რაც მოხდა ყველამ კარგად ნახა. მოგებით გახარებული ირლანდიელები ახლა გაცილებით სერიოზულად ემზადებიან მორიგი ორი შეხვედრისთვის, რომელთა გამართვაც მათ ოქტომბრის 10-სა და 14-ში უწევთ.

ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკართიმ ოთხშაბათს გუნდის 20-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელიც იუგოსლავიელებთან სტუმრად და მალტასთან შინ საბრძოლველად მოემზადება. მწვრთნელის რჩეულთა შორისაა ქვეყნის ღირსების 63-ჯერ დამცველი ნილ ქუინი. მან ნაკრებში ბოლოს აპრილში, არგენტინელებთან ამხანაგურ მატჩში ითამაშა. ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „სანდერლენდის" ტანმაღალმა თვადამსხმელმა ნილ ქუინმა „ნორვიჩს" გაუტანა გოლი, რითაც ნაკრებში დაბრუნება გაინაღდა.

რაც შეეხება ირლანდიელთა მთლიან შემადგენლობას, იგი ასე გამოიყურება: შეი გივენი (ნიუკასლი), დინ კილი (ბერი), დენის ირვინი, როი კინი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯეფ კენა, დემიენ დაფი (ბლექბერნი), სტივ სტონტონი, ფილ ბები, ჯეისონ მაკატირი (ლივერპული), იან ჰარტე (ლიდსი), კენი კანინგემი, მარკ კენედი (უიმბლდონი), გარი ბრინი (ქოვენთრი), მარკ კინსელა (ჩარლტონი), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი), ლი კერსლი, როი დელაპი (დერბი ქაუნთი), ტონი კასკარინო (ნანსი), ნილ ქუინი (სანდერლენდი), რობი კინი (ვულვზი).

### ფეხბურთის რუკასთან



**ფრანგულ** „მონპელიეში" მოთამაშე თავდამსხმელი იბრაჰიმ ბაკაიოკო, რომელიც წარმოშობით სპილოს ძვლის სანაპიროდანაა, ამიერიდან კარიერას პრემიერლიგურ „ევერტონში" გააგრძელებს. ინგლისური კლუბის პრესატაშემ ალან მიერსმა განაცხადა, მოლაპარაკებები ფრანგულ მხარესა და თავად ფეხბურთელთან უკვე დასრულებულიაო. „ახლა ისღა დაგვრჩენია სამუშაო ვიზას დაველოდოთ, რომელსაც ბაკაიოკო უახლოეს დღეებში მიიღებს. სხვა ყველა პრობლემა გადაჭრილია" — დაამატა მიერსმა. პოპულარული ფრანგული გაზეთი „ეკიპი" კი იუწყება, რომ 21 წლის ფორვარდი სამშაბათს იმყოფებოდა ლივერპულში, გაიარა სამედიცინო შემოწმება და სავარაუდოდ „ევერტონთან" 7,5 მილიონ დოლარად შეფასებულ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ეს ინფორმაცია „ევერტონის" ხელმძღვანელობამაც დაადასტურა. მერსისაიდელთა თავკაც უოლტერ სმიტს კი დიდი იმედი ჰქონია, რომ საკმაოდ გადახალისებულ გუნდში ბაკაიოკო ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იქნება და ლივერპულელებს ძლიერ დაეხმარება წარსული დიდების დაბრუნებაში.

**შოტლანდიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, დედაქალაქური „რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „კრისტალ პალასს" 800 ათას გირვანქად (1,37 მილიონი დოლარი) ავსტრალიელი მცველი, კრეიგ მური მიჰყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ავსტრალიის ეროვნული გუნდის 25 წლის ფეხბურთელს ლონდონურ კლუბში მისი ყოფილი თავკაცი, ტერი ვენებლზი გაწვრთნის. მური „რეინჯერსში" 18 წლის ასაკიდან, შვიდი სეზონის განმავლობაში ირიცხებოდა, მაგრამ ბოლო დროს ძირითადში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდა და ინგლისში გადასვლა ამჯობინა.**

**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ვინსენ გერენი შესაძლოა თავისი ამჟამინდელი კლუბიდან, „პარი სენ ჟერმენიდან" შოტლანდიის თასის მფლობელ „ჰარტსში" გადავიდეს. შეგახსენებთ, რომ გერენი გასულ სეზონში დოპინგ-კონტროლზე ჩავარდა, ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და პარიზულ კლუბთან ურთიერთობები მეტად დაეძაბა. მის გარდა სტეროიდ ნანდროლონის მიღებაში კიდევ ორი ფრანგი ფეხბურთელი ამხილეს — „ტულუზის" მცველი დომინიკ არიბაჟი და „ოსერის" ნახევარმცველი ანტუან სიბირსკი. მაშინ ფეხბურთელებმა განაცხადეს, არ ვიცოდით, ეს რომ აკრძალული პრეპარატი იყო, ჩვენდა უნებურად ვიღებდითო. შედეგად გერენს და არიბაჟს თვრამეტთვიანი სასჯელი ექვსთვიანით შეუცვალეს, ხოლო სიბირსკის საერთოდ მოუხსნეს. რაც შეეხება პსჟ-ს ნახევარმცველის შოტლანდიაში გადაბარგებას, ამის თაობაზე „ჰართსის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ბილი ბრაუნმა აღნიშნა: „ჩვენ ვესაუბრეთ ფეხბურთელს შესაძლო ტრანსფერის შესახებ, ახლა იგი სამშობლოში გაემგზავრება, გააანალიზებს სიტუაციას და ორიოდ დღეში პასუხს შეგვატყობინებს". თუ მოხდა და საფრანგეთის ნაკრებში 19-ჯერ ნათამაშევი გერენი „ჰართსში" გადავა, იქ მას თავის ორ თანამემამულესთან ერთად მოუწევს ბურთაობა. ესენი არიან — „სოშოს" ყოფილი მეკარე ჟილ რუსე და ახლო წარსულში „მეცში" მოთამაშე თავდამსხმელი სტეფან ადამი.

**რუსეთის ჩემპიონატის ექსლიდერის, სანქტ პეტერბურგის „ზენიტის" სათავეში ცვლილებები მოხდა — მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან საკუთარი ნებით გადადგა რუსეთის ეროვნული გუნდის თავკაცი ანატოლი ბიშოვეცი, რომელმაც განაცხადა, ამას იმიტომ ვაკეთებ, მთელი ყურადღება ნაკრებზე გადავიტანოო. კლუბის დირექტორატის შეხვედრის შემდეგ კი გადაწყდა, რომ ბიშოვეცის ადგილს წარსულში „ზენიტის" ფეხბურთელი, 45 წლის ანატოლი დავიდოვი დაიკავებს. სხვათა შორის, მას ერთი საინტერესო რეკორდი ეკუთვნის — გასულ სეზონში, როდესაც იგი ჯერ კიდევ ფეხბურთელი იყო, დავიდოვი თავის 22 წლის ვაჟთან, დმიტრისთან ერთად თამაშობდა. სანქტ პეტერბურგის გუნდი, მას შემდეგ რაც ბოლო ტურში შინ დაამარცხა ვლადიკავკაზის „ალანია", რუსეთის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე იმყოფება. ჩემპიონატის დასრულებამდე კი მხოლოდ ოთხი ტურიღაა დარჩენილი.**

**ფიჯიმ** და ტაიტიმ ოკეანიის თასის გათამაშების ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს. ექვსგუნდიანი ტურნირის გამარჯვებული ოკეანიის ფეხბურთის კონფედერაციის ღირსების დაცვას შეეცდება კონფედერაციათა თასის გათამაშებაში, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში მექსიკაში გაიმართება. ბოლო ტურში ტაიტის საკმაოდ ძლიერმა გუნდმა შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე ტაიტელებს სძლია 5:1 და პირველ მატჩში ახალ ზელანდიასთან 0:1 დამარცხების შემდეგ ნახევარფინალის საგზური მაინც მოიპოვა. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში ტაიტელთა საუკეთესო თავდამსხმელმა ჯერალდ კინეტმა ჰეთ-თრიქი შეასრულა. A ჯგუფიდან ნახევარფინალის საგზური ფიჯიმ იგდო ხელთ — გადამწყვეტ მატჩში რაგბით უფრო სახელგანთქმულმა ფიჯელებმა დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს კუკის კუნძულების ნაკრები. ანგარიში ამ შემთხვევაში კუკის კუნძულელი ჰათ დიკენსონის ავტოგოლით გაიხსნა. ნახევარფინალებს რაც შეეხება, ორივე მატჩი 2 ოქტომბერს ანუ ხვალ გაიმართება. B ჯგუფის გამარჯვებული ახალი ზელანდიის ნაკრები პირველ ჯგუფში მეორე ადგილზე გასულ ფიჯის შეხვდება, A ჯგუფის უძლიერესი ავსტრალია კი ტაიტის დაუპირისპირდება. მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი 4 ოქტომბერს შედგება.

**ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციას მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ, ფიფამ თხოვნით მიმართა, გაგვარკვიეთ, თქვენი ნაკრების მწვრთნელი რომელიაო. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში შინ პოლონელებთან 0:3 მარცხის შემდეგ ბულგარელთა მთავარი მწვრთნელი ხრისტო ბონევი თანამდებობიდან გადადგა, ახლა კი კიდევ ორი თამაში ახლოვდება ინგლისელებთან სტუმრად და შვედებთან შინ, ნაკრებს კი ხელმძღვანელი ჯერ არ ჰყავს.**

**სამხრეთ აფრიკის** ნაკრებს კონტინენტის თასის შესარჩევ მატჩში, შაბათს, ანგოლას წინააღმდეგ არ ეყოლება მეკარე ჰანს ვონკი, რომელიც ჰოლანდიურ „ჰერენვეენში" თამაშობს, ხვალ, პოლონეთში, „ამიცას" წინააღმდეგ თასების თასის მეთექვსმეტედფინალური პაექრობა ელის და ამიტომ იოჰანესბურგში მხოლობ შაბათ დილას მოახერხებს ჩასვლას. სამხრეთ აფრიკული ფეხბურთის ჩინოსნებმა ბევრი ითათბირეს და გადაწყვიტეს ვონკის გამოძახებაზე უარი ეთქვათ, რადგან ჩათვალეს, რომ ამხელა გზის გავლის შემდეგ ფებურთელი გათანგული იქნება და კარის დასაცავად ჯანი არ ეყოფა. ასეთ პირობებში, გუნდის დროებითი მწვრთნელი, ტროტ მოლოტო ალბათ, საიმონ გოპანეს გაიყვანს მოედანზე, თუმცა მაისურს, რომელსაც პირველი ნომერი ეწერება, სულ სხვა გოლკიპერს ბრაიან ბალოუის ჩააცმევენ, რადგან სადღეისოდ ქვეყნის მეკარეთა შორის ის ყველაზე პატივცემული კაცია.

**ბელგიური** „ეკერენი" აპირებს მესამე დივიზიონის „ბეერსმოტთან" გაერთიანებას. „განზრახვა ორივე კლუბმა დეკლარაციით დაადასტურა. ჩვენ უეჭველად სწორ გზას ვადგავართ, მაგრამ ჯერ რამდენიმე საკითხი მოსაგვარებელია" — განაცხადა „ეკერენის" პრეზიდენტმა, იოს ვერჰაეგენმა. მანვე დასძინა, რომ გაერთიანების შემდეგ მიღებული კლუბი მომავალ სეზონში „ბეერსმოტის" სტადიონზე ითამაშებს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ანტვერპენის მერია ამ სარბიელის რეკონსტრუქციას დათანხმდება. მომავალი, სინთეზური კლუბის სიმბოლიკასა და ფერებზე ჯერ არაფერი უთქვამთ.

# ველით ფსევდოკმაყოფილებას

## თასების თასი. მერვედფინალის საპასუხო მატჩები

„ნიუკასლი" ის გუნდია, ქართველ გულშემატკივარს თასების მფლობელთა თასის მონაწილეთაგან ყველაზე მეტად რომ აინტერესებს. ამის უპირველესი მიზეზი თემურ ქეცბაიაა, ინგლისელი ჯორდების ნახევარმცველ - თავდამსხმელი, რომელიც მწვრთნელად რუუდ გულიტის მისვლის მერე უფრო ხშირადაა ძირითად, თანაც სასტარტო შემადგენლობაში, ვიდრე კენი დალგლიშის დროს იყო. ამის ახსნა გულიტისა და დალგლიშის შეხედულებათა შორის განსხვავებაში უნდა ვეძიოთ. დალგლიში „ნიუკასლს" იმ ფეხბურთს ათამაშებდა, ჩვენში რუსულად „ბეი და ბეგის" რომ ეძახიან, გულიტი კი მოთამაშეებს ბურთთან ურთიერთობას სთხოვს.

მეორე მიზეზი ზემოხსენებული ინტერესისა გახლავთ ჯორდთა მოწინააღმდეგე, ბელგრადის „პარტიზანი", გუ-



ჟანლუკა ვიალიმ კარგად იცის როგორ დამოძღვროს თავისი ვარსკვლავები

ნდი, რომელმაც „ნიუკასლამდე" მისასვლელად ჩვენი თასის მფლობელი ბათუმის „დინამო" დაამარცხა. თითქოს რა შუაშია, მაგრამ ქართველი კაცის გულს შურისძიება სწყურია, ფსევდო, მაგრამ შურისძიება, თან ქართველის ხელით. თ რას ვერჩით „პარტიზანს", ალალად და ვაჟკაცურად მოგვიგო. თუ ვინმესთან სასაყვედურო გვაქვს, საკუთარ თავთან ანუ ამ შემთხვევაში ბათუმელებთან, მაგრამ ქეცბაიამ რომ გაიტანოს და ბელგრადის გუნდი შეჯიბრებიდან გამოთიშოს, გულს მოგვეფონება. ამიტომაც იმ თექვსმეტი წყვილიდან, დღეს რომ თამაშობს, ყურადღება „პარტიზან" — „ნიუკასლზე" გვაქვს გადატანილი.

ორი კვირის წინ, პირველ თამაშში, „ნიუკასლმა" შინ 2:1 აჯობა იუგოსლავიელებს. ფაქტია, უხეირო ანგარიშია, თუმცა მაინც გამარჯვებაა. კარგი იქნებოდა, იმ ორი გოლიდან ერთი თემურის გატანილი რომ ყოფილიყო...

პროგნოზი ძნელი და ტყუილი საქმეა, მაგრამ თუ იმ ლოგიკას მივყვებით, რომ „ნიუკასლი" მაინც პრემიერლიგის გუნდია, თან შვიდი ტურის მერე ცხრილში მეხუთე ადგილზე წერია, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეძლებს მერვედფინალში გასვლას.

კიდევ ერთი წყვილისკენ გარბის ქართველი გულშემატკივრის თვალი. ესაა მოსკოვის „ლოკომოტივისა" და კიევის ცსკას წყვილი, რომელსაც ყველაფერი გარკვეული აქვს. პირველ შეხვედრაში მოსკოველებმა სტუმრად 2:0 მოიგეს. ბუნებრივია, საპასუხო თამაშში ისინი გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებენ, თუმცა მოწინააღმდეგე უბრძოლველად რომ არ დანებდება, ცხადია.

ამ შეხვედრისადმი ჩვენს ინტერესს მოსკოველი ზაზა ჯანაშია განაპირობებს. ზაზა ის ფეხბურთელია, რომლისაც ქართველ კაცს ეიმედება, თამაშში თუ არა, ჩხუბში მაინც. ხუმრობა გვერდით და ჯანაშია „ლოკომოტივის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. კიევში, პირველ მატჩში სწორედ მან გაიტანა ორიდან ერთი გოლი. მისი ყოველი წარმატება იმედს სახავს, რომ ნაკრებში გამოიძახებენ და იგიც, ისევე როგორც იქ, მოსკოვში, აქაც გოლს გაიტანს, მაგრამ ჯერჯერობით, უფრო ხშირად, იმას ვხედავთ, როგორ აძევებენ ნერვებს აყოლილ თავდამსხმელს მოედნიდან.

კიევური შეხვედრის შეფასებისას ორივე გუნდის მწვრთნელი, „ლოკომოტივის" იური სიომინი და ცსკა-ს ვლადიმერ ბესსონოვი, ერთსა და იმავეს ამბობდა — შედეგი ერთი მხარის გამოცდილებამ და მეორეს გამოუცდელობამ განაპირობაო.

თასის მფლობელი, ლონდონის „ჩელსი" შვედეთში „ჰელსინგბორგს" ეთამაშება. ინგლისის დედაქალაქში, „სტემფორდ ბრიჯზე" გამართული პირველი მატჩი ინგლისელების, უფრო სწორედ იტალიელებითა და სხვებით გავსებული ლონდონური გუნდის გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. ის ერთადერთი გოლი ფრანგმა ფრანკ ლებეფმა გაიტანა.

„ჩელსი" პირწმინდად ინგლისური გუნდი რომ იყოს, კაცი იფიქრებდა, ტრადიციისამებრ საპასუხო შეხვედრაში ალალი გულით შეტევას შეეცდებაო, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ „ჰელსინგბორგს" სტუმრად იტალიელი მოთამაშე-მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის ინტერნაციონალური გუნდი ჩაუდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ალბათ დაცვაში სივრცეების შეზღუდვასა და მძაფრი კონტრშეტევების მოწყობას შეეცდება.

თანაც, ლონდონელთა განკარგულებაში ნამდვილი დიდოსტატები არიან, ძოლა, კაზირაგი, ბრაიან ლაუდრუპი, ფლო... გნებავთ, თავად ვიალი.

რომაულ „ლაციოს", გასულ სეზონში უეფას თასის ფინალში რომ იყო, შვეიცარიაში „ლოზანასთან" აქვს საქმე გასარკვევი. შინ, „სტადიო ოლიმპიკოზე" სვენ გორან ერიკსონის გუნდმა ვერ მოიგო, 1:1 ითამაშა, მაგრამ თუ გახსოვთ, იმ მატჩის მერე ერიკსონი ძალიან კმაყოფილი იყო. ის ამბობდა, 1:1 საუცხოო შედეგად მიმაჩნია, რადგან მთელი თამაში ათმა თერთმეტის წინააღმდეგ ჩავატარეთო. მართლაც, ორი კვირის წინ, დაიწყო თუ არა შეხვედრა, მსაჯმა მოედნიდან დეიან სტანკოვიჩი გააძევა.

მართალია, კაცნაკლულობა არგუმენტია, მაგრამ ერთიც არის, „ლაციომ" რაც სეზონი დაიწყო, თამაში ვერ მოიგო. ათი თერთმეტის წინააღმდეგ თუ თერთმეტი თერთმეტთან, რომაელები ფრეს სჯერდებიან და არაა გამორიცხული, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ცუდ ფორმაში ყოფნა იყოს. მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ „ლაციო" „ლოზანაზე" ხმამაღლა ჟღერს, შვეიცარიელების მოგება არ უნდა გამოვრიცხოთ, თუმცა...

შინ 1:1 აქვს ნათამაშევი „პარი სენ ჟერმენსაც". დღეს იგი ისრაელში, ჰაიფას „მაკაბის" დაუპირისპირდება. ადრეც აღვნიშნეთ, რომ პარიზელთა ახალ მწვრთნელს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს ალან ჟირესს ევროშეჯიბრებებზე დებიუტი აქვს და ბევრმა ასეთი შედეგი სწორედ ჟირესის გამოუცდელობით ახსნა, მაგრამ კლასი ხომ მაინც კლასი უნდა იყოს. ამაღამ გამოჩნდება ყველაფერი.

**მიხეილ სურგულაძე**

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩი

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი (შოტლანდია) — ბეითარი (ისრაელი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### თასების თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

1 ოქტომბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვარტექსი (ხორვატია) — რუდარი (სლოვენია) | (1,05-7,5) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ჰაკა (ფინეთი) — პანიონისი (საბერძნეთი) | (5,0-1,1) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მტკ (უნგრეთი) — რიდი (ავსტრია) | (3,1-1,25) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| კოპენჰაგენი (დანია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (1,01-15,0) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ამიცა (პოლონეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) | (5,0-1,1) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| მალიორკა (ესპანეთი) — ჰართსი (შოტლანდია) | (1,01-15,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ჩელსი (ინგლისი) | (7,5-1,05) | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| გენკი (ბელგია) — დუისბურგი (გერმანია) | (1,5-2,0) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სპარტაკი (სლოვაკეთი) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (15,0-1,01) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვალერენგა (ნორვეგია) — რაპიდი (რუმინეთი) | (1,4-2,3) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| იაბლონეცი (ჩეხეთი) — აპოლონი (კვიპროსი) | (1,25-3,1) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ნიუკასლი (ინგლისი) | (3,5-1,2) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ლოზანა (შვეიცარია) — ლაციო (იტალია) | (2,0-1,5) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| მაკაბი (ისრაელი) — პსჟ (საფრანგეთი) | (1,8-1,6) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ბრაგა (პორტუგალია) — ლიეპაია (ლატვია) | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ლოკომოტივი (რუსეთი) — ცსკა (უკრაინა) | (—-25,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **2 ოქტომბერი** | | | |
| ჰერტა — მიონხენ გლადბახი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვოლფსბურგი — შალკე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ბოხუმი — აინტრახტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნიურნბერგი — მიუნხენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფრაიბურგი — ჰამბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ჰანზა — ვერდერი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| დუისბურგი — შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბაიერნი — დორტმუნდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **2 ოქტომბერი** | | | |
| ურდინგენი — კარლსრუე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ობერჰაუზენი — უნტერჰახინგი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| ზანქტ პაული — ულმი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| დიუსელდორფი — არმინია | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| კოტბუსი — ჰანოვერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბერლინი — ფიურტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გიუტერსლო — მაინცი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კიკერსი — ვატენშაიდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| **5 ოქტომბერი** | | | |
| ფორტუნა — კიოლნი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ბლექბერნი — ვესტ ჰემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქოვენთრი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| დერბი — ტოტენჰემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლიდსი — ლესტერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| მიდლსბრო — შეფილდ უენსდეი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნოტინგემი — ჩარლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| საუთჰემპტონი — მანჩესტერი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| უიმბლდონი — ევერტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| არსენალი — ნიუკასლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლივერპული — ჩელსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ბარნსლი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბირმინგემი — ტრანმერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| ბერი — ბრისტოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ქრიუ — ვულვერჰემპტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — ოქსფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| იფსვიჩი — კრ. პალასი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| პორტ ვეილი — ნორვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ქუინზ პარკი — გრიმსბი | 2,0 | 2,9 | 3;4 |
| შეფილდ იუნაიტედი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სანდერლენდი — ბრედფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| სვინდონი — სტოკპორტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| ვესტ ბრომვიჩი — უოტფორდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **4 ოქტომბერი** | | | |
| ბოლონია — პარმა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ფიორენტინა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ინტერი — პერუჯა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| იუვენტუსი — პიაჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| ლაციო — კალიარი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სალერნიტანა — ემპოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სამპდორია — რომა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვენეცია — მილანი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ვიჩენცა — ბარი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ნაპოლი — ატალანტა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| კიევო — ბრეშა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კოზენცა — ფ. ანდრია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კრემონეზე — ვერონა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ლეჩე — ტორინო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლუკეზე — ჩეზენა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მონცა — ტრევიზო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პესკარა — რეჯანა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| რავენა — რეჯინა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ტერნანა — ჯენოა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ვალენსია — ბარსელონა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| ტენერიფე — მალიორკა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ოვიედო — ატლეტიკო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| სოსიედადი — დეპორტივო | 1,8 | 2,9 | 3,6 |
| ესპანიოლი — ვილიარეალი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| სალამანკა — ვალიადოლიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| სელტა — ბილბაო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეალი — ბეტისი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| ესტრემადურა — სარაგოსა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ალავესი — რასინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3-5 ოქტომბერი** | | | |
| მერიდა — მალაგა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლეგანესი — რეკრეატივო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ბადახოსი — ორენსე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ოსასუნა — სევილია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ერკულესი — კომპოსტელა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ბარსელონა B — ნუმანსია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ალბასეტე — ლეიდა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ტოლედო — ლოგრონიესი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ეიბარი — რაიო ვალეკანო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სპორტინგი — ატლეტიკო B | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლას პალმასი — მალიორკა B | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ლე ავრი — სოშო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| რენი — მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მარსელი — ტულუზი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბასტია — ბორდო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ნანტი — ლიონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ოსერი — სტრასბური | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| მონპელიე — ლორიანი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| პსჟ — ლანსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მეცი — ნანსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **2 ოქტომბერი** | | | |
| ბეირა მარი — აკადემიკა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| **3 ოქტომბერი** | | | |
| რიუ ავე — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| ამადორა — კამპომაიორესე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ფარენსე — შავეში | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| მარიტიმუ — სეტუბალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გიმარაეში — ბენფიკა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ალვერკა — პორტუ | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| ლეირია — სალგეირუში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| **5 ოქტომბერი** | | | |
| ბოავიშტა — ბრაგა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ტიუმენი — როტორი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| ბალტიკა — შინიკი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| კრ. სოვეტოვი — ჩერნომორეცი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ურალანი — ზენიტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ალანია — ლოკომოტივი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ჟემჩუჟინა — დინამო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| სპარტაკი — ტორპედო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ცსკა — როსტსელმაში | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| მაასტრიხტი — კამბური | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ეინდჰოვენი — სიტარდი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| ტილბურგი — როდა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| სპარტა — აიაქსი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| უტრეხტი — ნაიმეგენი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ვალვაიკი — აზ 67 | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ჰერენვენი — ბრედა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ტვენტე — ფეიენოორდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| გრააფსხაპი — ვიტესი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ბელგიის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **2 ოქტომბერი** | | | |
| გენტი — მუსკრონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ოსტენდე — ბრიუგე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| სტანდარდი — ვესტერლო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ლოკერენი — სტ. ტრიუდენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლიერსი — ეკერენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| გენკი — ბევერენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| კორტრაიკი — შარლერუა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ჰარელბეკი — ლომელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| აალსტი — ანდერლეხტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3-4 ოქტომბერი** | | | |
| ვისლა — ვიძევი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| რუხი — ბელხატოვი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლკს — ლეგია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| გურნიკი — კატოვიცე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| პოგონი — ამიცა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ოდრა — რაძიონკოვი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| პოლონია — ლეხი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზაგლებე — სტომილი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| ჰართსი — სტ. ჯონსტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მოზერველი — სელტიკი | 4,7 | 8,0 | 1,7 |
| რეინჯერსი — დანდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| დანდი იუნაიტედი — აბერდინი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **2 ოქტომბერი** | | | |
| ზალცბურგი — რაპიდი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| **3 ოქტომბერი** | | | |
| აუსტრია — შტურმი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| გრაცერი — შტაირი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ლუსტენაუ — ლინცერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| რიდი — ტიროლი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **3 ოქტომბერი** | | | |
| გრასჰოპერი — იანგ ბოისი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| სენტ გალენი — ლუგანო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ქსამაქსი — სიონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| სერვეტი — ციურიხი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| **4 ოქტომბერი** | | | |
| ბაზელი — არაუ | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლუცერნი — ლოზანა | 2,9 | 2,8 | 2,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

გამოჩენილ პიროვნებებზე ხშირად იქმნება ლეგენდები. ამ ლეგენდებს ხალხი ასაზრდოებს, მაგრამ არა როგორც ზღაპარში. ეს, თუ გნებავთ, თავისებური ფოლკლორული შემოქმედებაა, რომელიც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა.

რამდენი ლეგენდაა შექმნილი ქართველ სპორტსმენებზე... სხვადასხვა დროს მათი გმირები იყვნენ კანდელაკი, პაიჭაძე, ჭორჭია, მშვენიერაძე და სხვანი. ამ „ხალხურ შემოქმედებაში“ თავისი ადგილი და გამორჩეულიც, უკავია ქართული ფეხბურთის მშვენებას — ავთანდილ ღოღობერიძეს.

ავთანდილ ღოღობერიძე, ბასა. დიდი, უდავოდ დიდი ფეხბურთელი და არანაკლებ დიდი პიროვნება. ვეებერ-

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში

# ავთანდილ ღოღობერიძე



5

გაცეცხლებულა იმავე გუნდის მწვრთნელი და წამსვე გამოუცვლია ის ფეხბურთელი... განა ბევრზე და ბევრს გაიგონებ კაცი მსგავს რამეს?!

კაცი ყოფილა და ქუდიც ხურებია. წაქცევა როგორ შეჰკადრეო — არ დაგვავიწყდეს, ღოღობერიძე მაშინ თამაშობდა, როცა ფეხბურთი მართლა ფეხბურთი იყო, ძალიან ცოტათი ჰგავდა ბალეტს, მის დროს არც მთლად რაინდები აგორებდნენ ბურთს და არც

დილება მრჩებოდა, თითქოს ჩვენ ყველანი ხურჯინში ვისხედით და ამ ხურჯინს კი ბასა მიათრევდაო — ეს ბორის სიჭინავას ალალი სიტყვებია, იმ თაობის წარმომადგენლისა, ტაშკენტური ოქრო რომ გამოუჭედა ქართულ ფეხბურთს. არადა, რომ არ ყოფილიყო ბასა, მისი თავდადება, გარჯა, არც ის ოქრო იქნებოდა, ღოღობერიძეს რომ ის ხურჯინი არ ეთრია, ვინ იცის, ვერც ვერაფერი მოგვემო მაშინ... მაშინ ფეხბურთს სამედიცინო მიღწევები და მანქანები არა, მაშინ ფეხბურთს მართლაც მამაკაცები თამაშობდნენ.

მოედანზე წაქცეული არ გვახსოვსო ბასა — ამასაც ამბობენ მისი მომსწრენი. მსგავსი რამ ერთეულთ თუ რგებიათ ხვედრად ფეხბურთის ისტორიაში.

ყოფილა და არც [illegible] წყაროდ გაუხდიათ ბურთის გორება.

ავთანდილ ღოღობერიძესაც ფეხბურთის, ბურთის სიყვარული აიძულებდა ერბინა თაკარა მზეში. კი გააჩნდა ბასას იმხელა დამსახურება ქართულ ფეხბურთში, რომ ორმოც წელს მიღწეულს სიცოცხლე არ გაენახევრებინა, მაგრამ მაინც თამაშობდა... არ შეეძლო, უყვარდა, საჭირო იყო და იმიტომ.

რა დღიდანაც ჩაისახა, „მოლაპარაკება და ჩაწყობაც“ თან დაჰყვა ფეხბურთს. ანგელოზები მწვანე მინდორზე ბურთს არ თამაშობენ, ისინი, როგორც წესი, ზეცაში არიან და ამიტომ ნებისმიერი დონის ვარსკვლავს უთამაშია მსგავს შეხვედრაში. ერთხელაც სტრელცოვისეულ „ტორპედოს“ შეხვედრია ჩვენი „დინამო“. მაშინ „ტორპედო“ თავისი ვარსკვლავობით მსოფლიოში ქუხდა და ჩვენი გუნდისთვისაც დასაწყისშივე გაუტანიათ სტრელცოვს, ივანოვს და კომპანიას ორი გოლი. დიდი ანგარიშით წაგება, აბა, ვისთვის რა საამოა და ჩვენს ფეხბურთელებს ელოშვილისთვის (სტრელცოვთან ახლო ურთიერთობა ჰქონია) დაუვალებიათ, მიდი და სთხოვე, გაჩერდესო. „სტრელცოვი გულღია, ალალი ბიჭი იყო და ვუთხარი თუ არა, ედიკ კანჩაი-მეთქი, უმალ გაჩერდა. თითქოს ამას ელოდაო, ბურთი ბასამ მოიგდო, თითქმის მთელი მოედანი გადასერა და გოლი შეაგდო, არადა, მანამდე მთელი გუნდი ვეხვეწებოდით, გაჩერდი, ბაწუწი, ბურთი არ გაიტანოო“ — იხსენებს ვოვა ელოშვილი. მისივე თქმით, სწორედ მაშინ დაუძახია ივანოვს სტრელცოვისთვის — ედიკ, ნაჩნიომ, ატო ნამ გრუზინსკიე ნომერა ნაჩალი სდელატ-ო. ჰოდა, სტრელცოვმაც თავი გაიგიჟა თურმე. ის თამაში წააგო „დინამომ“, ავთანდილ ღოღობერიძეს კი დანა პირს არ უხსნიდა, ვერ მითხარით, ასე თუ იყო საქმეო — უსაყვედურებია თანაგუნდელებისთვის მატჩის შემდეგ გასახდელში.

მე კი, იცით, რა მგონია? ბასა იმ გოლს მაინც უსათუოდ გაიტანდა. მისი თაობის ფეხბურთელებიც აღიარებენ ამას. ბასას კომპრომისი, უკანსვლა არ ჩვეოდა. იგი იბრძოდა ბოლომდე, უიმედო სიტუაციებშიც კი... არ შეეძლო, ასე იცოდა, საჭირო იყო და იმიტომ...

ფეხბურთიდან კი უხმაუროდ წავიდა ქართული ფეხბურთის სამი თაობის პატრიარქი. ითამაშა, იომა, ათრია გუნდი, სანამდეც საქმეს სჭირდებოდა და მერეღა ჩამოკიდა ბუცები ლურსმანზე. ერთხანს იმწვრთნელა, გუნდის უფროსიც იყო, თითქოს სულ ფეხბურთში ტრიალებდა, მაგრამ მხოლოდ ოჯახის წევრები ხვდებოდნენ, თუ რა სიცარიელე დარჩა ბასას სულში. ვარჯიშიც ვერ მიატოვა თურმე კარგა ხანს — შინ ბოლთას სცემდა და დრო რითი მოვკლა, რაღა ვაკეთოო, სულ ამას ჯავრობდა — იხსენებს თენგიზ ღოღობერიძე.

ფეხბურთი უყვარდა, მისით ცხოვრობდა, სულდგმულობდა, ფეხბურთი მისთვის სამუშაო არ იყო და იმიტომ...

რაც შეეხება საერთაშორისო არენას, ბევრმა არ იცოდა, ვინ იყო ბასა, არც სსრკ ნაკრებში გამოსვლით დაუმახსოვრებია ვისმესთვის ავთანდილ ღოღობერიძეს თავი, მაგრამ ვინც კი ნახა და სადაც კი ნახეს, მისი უცილო ოსტატობაც უმალ აღიარა ყველამ.

დიდი იყო, ბასა იყო, კაცი იყო და იმიტომ...

მერე კი იყო ტრაგედია, იყო ავარია და ბასა, რომელმაც საათნახევრის განმავლობაში დაღლა არ იცოდა, ლოგინს მიეჯაჭვა.

ერთხელაც მიესალმა უმთავრესი ქართული სტადიონის სავსე ტრიბუნები ქართველ ვარსკვლავთა შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს. ეს მაშინ იყო, თბილისში ახალ სტადიონზე რომ მიიყვანეს საკაცით ბასა და ერთხელაც აგუგუნდა სტადიონი, ერთხელაც აინთო ტაბლოზე ქართველ ქომაგთათვის აგრერიგ ნაცნობი სამი სიტყვა — ავთანდილ ღოღობერიძე. ბასა.

**კონსტანტინე გოგიჩაიშვილი**

# სამი თაობის გამძღოლი

თელა კაცი მინდორზეც და მინდვრის გარეთაც. კაცი, რომლის მხრებზეც გადაიარა სამი ქართული საფეხბურთო თაობის ქარტეხილმა და რომელიც მთელი ცხრამეტი (!) სეზონის მანძილზე ჭირს ქვითკირად ედგა მწვანე მოედანზე.

ძნელია წერო ფეხბურთელზე, ვისი თამაშიც არ გინახავს. ძნელია მხოლოდ მონაყოლით ფონს გასვლა და განსაკუთრებით მაშინაა ავტორი ცუდ დღეში, როცა მკითხველს ბუმბერაზი, გოლიათი კაცის შესახებ უნდა მოუთხროს... მოდი და მოზომე სიტყვა, მოდი და სამანი დაუდე კალამს, როცა ბასაზეა ლაპარაკი. ცოტას იტყვი და ჰაუ, არ გცოდნია, ბასა ვინ იყოო... ბევრი მოგივა და ბასას შენი ქება რად უნდა, არ სჭირდება შენი ქებაო...

ბასა — სინდისი და ნამუსი სრულიად ქართული ფეხბურთისა...

ბასა — ჩვენამდე ლეგენდად მოსული და ლეგენდადვე დარჩენილი...

ბასა — ადამიანი და ფეხბურთელი. ფეხბურთელი და ადამიანი — ბასა.

მაინც როგორ იბადებიან დიდი ფეხბურთელები?

ამ კითხვას ერთ კონკრეტულ პასუხს ვერავინ გასცემს, თუმცა ერთი კი ცხადია — კაშკაშა ფეხბურთელი უთუოდ დიდი ფეხბურთის წიაღმა უნდა შვას. მარტო ხე სასწაულით ხარობს ხოლმე. ბასაც, უთუოდ ქართულ ფეხბურთში უნდა შობილიყო. ქართულ ფეხბურთში, სადაც საფეხბურთო ოსტატობაზე არანაკლებ ფასობს კაცურკაცობა, სადაც არავის პატიობენ „მოედნის გარეთ თუნდაც ყირაზე დგომას“, აქაოდა ფეხბურთელი ხომ მაგარიაო...

ზემოთ ისა ვთქვით, ჩვენამდე ლეგენდად მოაღწიაო ავთანდილ ღოღობერიძის დიდებამ. მაგრამ იცის კი ხალხმა, სმენიათ კი ქომაგთ, რისთვის და რატომ შეუცვალეს მშვენიერი ქართული სახელი მშვენიერსავე დიდოსტატს, ერთი შეხედვით უბრალო, არაფრისმთქმელი თიკუნით?

თენგიზ ღოღობერიძე იხსენებს: „მეტსახელი „ბასა“ ბავშვობიდან შეურქმევიათ მამაჩემისთვის. ეს სოხუმში მომხდარა. თურმე მამას ბავშვობიდან უჭირდა ასო „ზ“-ს გამოთქმა. ჰოდა, ერთხელაც თანატოლებთან მოხვედრილს რუსული აბრა წაუკითხავს, „ოვოშჩნაია ბაზა“ რომ ეწერა ზედ, წაუკითხავს და „ოვოშჩნაია ბასაო“, ასე გამოუთქვამს. „ბასაც“ მაშინ უწოდებიათ“.

ასეც შერჩა ავთანდილ ღოღობერიძე ქართულ ფეხბურთს — უბრალოდ, ბასად. დიდი, ძალიან დიდი ფეხბურთელი ყოფილა. ყველა დროის უდიდესი ავტორიტეტიც კი მწვანე მინდორზე. ერთიც ამშვენებს ავთანდილ ღოღობერიძის კარიერას — ცხრამეტი სეზონის მანძილზე ყვითელი ბარათიც კი არ მიუღია თურმე. აფერუმ მის გაძლებას და მის რაინდობასაც აფერუმ!

ვოვა ელოშვილისგან გამიგონია, იმდენად დიდი პიროვნება იყო ბასა, მეტოქეებიც ერიდებოდნენო მასთან უხეშობას. როგორღაც ერთ-ერთი რუსული გუნდის მცველს წაუქცევია „დინამოს“ კაპიტანი. ეს რა ჩაიდინე, როგორ თუ ბასას წაქცევა შეჰკადრეო,

მსაჯები აფრიალებდნენ მარჯვნივ-მარცხნივ ყვითელ-წითელ ბარათებს (არ ჰქონდათ და იმიტომ). და მაინც არ აქცევდნენ, ერიდებოდნენ, პატივს სცემდნენ... დიდი იყო, კაცი იყო, ბასა იყო და იმიტომ...

ბასას დარი ფეხბურთელები თავისუფლად შეიძლება მოედანზე შექმნილი ატმოსფეროს საზომად ვაღიაროთ. მსგავს მოთამაშეთა გავლენა უდიდესია. ნებისმიერი გუნდის განწყობა, თამაში ბევრადაა დამოკიდებული მისი ლიდერის განწყობასა და თამაშზე. ავთანდილ ღოღობერიძეს კი სამი თაობის ლიდერობამ მოუწია. ალბათ, ესეც ბედის წყალობა იყო, თუმცა უმძიმესი ტვირთიც შეიძლება ეწოდოს ყოველივეს. წლებს ყოველთვის თავისი მიაქვს, მით უმეტეს, ფეხბურთში... იმ დროს მეტად სწრაფად იცვლებოდა სათამაშო სისტემები, ტაქტიკა, სტილი. ხან ერთი გუნდი, ხან მეორე ამბობდა ახალ სიტყვას მსოფლიო ფეხბურთის განვითარების ისტორიაში და თუკი თვითონ ვერას იტყოდი ახალს, სიახლისთვის ფეხი ხომ მაინც უნდა აგეწყო. ერთი სიძნელე კი მუდამ სდევს ახლის ათვისებას — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ქართული ნათქვამია და ამ სიახლეებისთვის ფეხის აწყობაც არ გახლავთ ადვილი რამ, მით უფრო, როცა ცხრამეტი სეზონის მანძილზე უხდება ფეხბურთელს თამაში. ავთანდილ ღოღობერიძემ შეძლო ეს. იგი ისეთივე დიდებულ ფეხბურთელად დარჩა კარიერის ბოლოს, როგორიც საფეხბურთო მოღვაწეობის დასაწყისში იყო — მოუღალავი, უშიშარი, უბადლო, გუნდის სული და გული, ცოცხალი მაგალითი ნამდვილი ფეხბურთელისა მოედანზე და მის გარეთაც.

გავიხსენოთ ისიც, რამდენ კაშკაშა ქართველ ვარსკვლავს მიაჩნდა ბასა თავის კერპად, სათაყვანებელ პიროვნებად — ბარქაია, მესხი, სიჭინავები, მეტრეველი... კიდევ მოიძებნება ხალხი, ვისთვისაც ავთანდილ ღოღობერიძე მარტო პარტნიორი არ გახლდათ და ასეთები ერთეულები არ არიან. განსაკუთრებით „დინამოსათვის“ უძნელეს პერიოდებში იჩენდა ხოლმე თავს ავთანდილ ღოღობერიძის პიროვნების მნიშვნელობა. მოგეხსენებათ, ეს ის დრო იყო, როცა ყველას, ვისაც კი არ ეზარებოდა, შეეძლო ცხვირის ჩაყოფა გუნდის საქმეებში. ამადაც იყო, იცვლებოდნენ მწვრთნელები, იცვლებოდა შემადგენლობა, უშვებდნენ და აბრუნებდნენ ფეხბურთელებს, ერთი სიტყვით, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა და არამკითხე მოჭირნახულეებსაც ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად... სწორედ მაშინ იყო, არნახულად რომ გაუჭირდა „დინამოს“. ერთი ხანობა მესხი, იამანიძე და ძმანი მისნიც კი მოკვეთეს „დინამოდან“, „უპერსპექტივონი არიანო...“ ჰოდა, კვლავ ბასამ ითავა გუნდის აღორძინება — ფეხბურთელიც, მეგობარიც, ლიდერიც და შავი მუშაც ავთანდილ ღოღობერიძე შეიქნა მაშინ. შეიქნა და კაცურადაც გასწია ჭაპანი, უბრალოდ, მაგრამ საიმედოდ, ყოველგვარი გარეგნული სიკაშკაშისა და ეფექტების გარეშე, მაინც ლამაზად, რომ სჩვეოდა, ისე...

— სეზონნახევარი ისეთი შთაბეჭ-



ბასა — იერით და სტილით სუფთა ქართველი

ვემკო დღემდე.

ერთი შეხედვით სუსტი, საშუალო აგებულების კაცი გეგონებოდათ, მაგრამ, აბა, ტ. ნგახძილისთვის შეგეხედათო — ერთიანად დაკუნთული, დაძაგრული მისი ტორსი ირგვლივ მხოლოდ ძალასა და ვაჟკაცობას აფრქვევდაო. შეუჩერებლივ შეეძლოო ერბინა სამი, ოთხი ტაიმის განმავლობაში, ერთხელაც არ ჩაითქვამდაო სულს.

ეს ის დრო იყო, როცა სტადიონებზე განათებები არ ეყენათ, საფეხბურთო შეხვედრები დღისით იმართებოდა ხოლმე და თვითონ წარმოიდგინეთ, თბილისში ან ტაშკენტში საღამოს ხუთ საათზე,? გაგანია, თაკარა მზეში საათნახევარი ბრძოლა და ჭიდილი რა ხეირს დააყრიდა ფეხბურთელს. მზემ წაიღო ჩემი სიცოცხლის ნახევარი, თორემ ასწლიანი ვიქნებოდიო — დანანებით უთქვამს ერთხელ ბასას. ეს ახლა მოდის ერთ ფეხბურთელზე ორი ექიმი, ახლა უდგენენ მოთამაშეებს ათასგვარ მენიუგრაფიკებს, ახლა ჭყიპავენ დოპინგური თუ არადოპინგური აბებით, თო-

— გეგონებოდა, ბურთი მიწებებული ჰქონდა ფეხზე, დაახლოებით კაცის სიმაღლიდან ისე ჩამოხსნიდა ფეხით ბურთს, პირი გვრჩებოდა ღია. მკერდით გააჩერებდა და ვფიქრობდით, ზედ მიიკრაო — ეს სულ ცნობილი ქართველი ფეხბურთელების გამონათქვამებია, დიდოსტატი ქართველი ფეხბურელებისა.

ჰოდა, სწორედ მსგავსი, ბასას დარი ფეხბურთელების ცქერაში იბადებიან სხვა დიდოსტატები. ნიჭს არავინ უარყოფს, მაგრამ დიდი ფეხბურთელი ჯერ უყურებს, სწავლობს, გაითავისებს ხოლმე წინამორბედთაგან, მხოლოდ მერე აკეთებს თავის საკეთებელს. უნიჭობას, აბა, ვინ უსაყვედურებს მესხის, ბარქაია, სიჭინავების, მეტრეველის, იამანიძისა და სხვათა თაობას, მაგრამ მათ იმადაც ითამაშეს დიდი ფეხბურთი, რომ პაიჭაძეს უცქერდნენ, ჯეჯელავას, ღოღობერიძეს, ჭკუასელს (აღარ გავაგრძელებთ) ადევნებდნენ თვალს. მათ ჯერ ცქერით შეიყვარეს ფეხბურთი და მერეღა დაიწყეს ბურთის თამაში. მათთვის ფეხბურთი სამუშაო არასდროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**181. თამაზ ქაჯუბაძე.** თბილისი. ექიმი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. რამაზ შენგელია, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. შოთა იამანიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კუტივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**182. ჯუბა რუსაძე.** ქუთაისი. ინჟინერ-ტექნოლოგი. 26 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. რამაზ შენგელია, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. გივი ჩოხელი
გუნდი: რამაზ ურუშაძე, თამაზ კოსტავა, ჯუმბერ რუსაძე, მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ღოღობერიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

**183. დავით ნატმელაძე.** ამბროლაური. ინჟინერი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. სლავა მეტერველი, 2. მიხეილ მესხი, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. მანუჩარ მაჩაიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**184. ავთანდილ ნატმელაძე.** თბილისი. ინჟინერი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. მიხეილ მესხი, 5. ვლადიმერ გუცაევი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**185. ბადრი ქეთილაძე.** ქუთაისი. ფოტორეპორტიორი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. სლავა მეტრეველი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, თენგიზ სულაქველიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**186. გიორგი ოქრუაშვილი.** თბილისი. — . 27 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ვლადიმერ გუცაევი, 2. მიხეილ მესხი, 3. რამაზ შენგელია, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ შელია, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**187. ზურაბ ფუცხვერია.** თბილისი. ჟურნალისტი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. სლავა მეტრეველი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. ვლადიმერ გუცაევი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**188. გმირო არსოშაშვილი.** ქარელი. ისტორიკოსი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობეირძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**189. იური ვეკუა.** ზუგდიდი. იურისტი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მურთაზ ხურცილავა, 2. მიხეილ მესხი, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. დავით ყიფიანი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: ოთარ გაბელია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, სოსო ჭედია, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, მიხეილ მესხი, დავით ყიფიანი, ვლადიმერ ბარქაია, რამაზ შენგელია

**190. ბაქარ დოლიძე.** ოზურგეთი. სტუდენტი. 21 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ვლადიმერ გუცაევი
ფეხბურთელი: 1. გიორგი ქინქლაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ლევან კობიაშვილი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**191. გურამ ჯინჭველაძე.** ახალციხე. ეკონომისტი. 22 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. შოთა არველაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**192. გაიოზ სილაგავა.** თბილისი. ექიმი. 48 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**193. ზურაბ ქასრაძე.** რუსთავი. მშენებელი. 73 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ალექსანდრე დოროხოვი, რევაზ ძოძუაშვილი, ბორის ფროლოვი, მურთაზ ხურცილავა, ვიტალი დარასელია, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ მესხი

**194. სოლომონ თეიმურაზიშვილი.** თელავი. ინჟინერი. 48 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. გივი ჩოხელი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ჩოხელი, ედუარდ თორაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**195. ლაშა ჭიაურელი.** თბილისი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. შალვა კაკაბაძე, 3. გიორგი მამალაძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. გიორგი ქინქლაძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გიორგი ბალაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ედუარდ თორაძე, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი

**196. ზურაბ ქაჭარავა.** თბილისი. მოსწავლე. 11 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**197. ანა ხიზანიშვილი.** თბილისი. მოსწავლე. 15 წლის. მწვრთნელი: 1. ვლადიმერ გუცაევი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. დავით ყიფიანი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. ალექსანდრე ჩივაძე
გუნდი: მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, თემურ ქეცბაია, ვიტალი დარასელია, კახი ასათიანი, ნოდარ ხიზანიშვილი

**198. გრიგოლ დუმბაძე.** თბილისი. კულტმუშაკი. 72 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ ბუტუსოვი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

**199. შოთა გიორგობიანი.** თბილისი. ინჟინერ-მშენებელი. 70 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. გაიოზ ჯეჯელავა, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ალექსანდრე დოროხოვი, ვლადიმერ ელოშვილი, ნიაზ ძიაპშპა, მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, გაიოზ ჯეჯელავა, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

**200. ალექსანდრე ჯანდიერი.** თბილისი. მშენებელი. 46 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. დავით ყიფიანი, 4. ალექსანდრე ჩივაძე, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, სლავა მეტრეველი, გივი ნოდია, მიხეილ მესხი

**201. ელდარ დვალიშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

**202. აკაკი მოურავიძე.** თბილისი. ინჟინერი. 46 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი

**203. სოსო ნაცვლიშვილი.** თბილისი. მოსამსახურე. 64 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. გაიოზ ჯეჯელავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გიორგი სიჭინავა, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

**204. გურამ ცქიტიშვილი.** თბილისი. ეკონომისტი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**205. ნიკო ერისთავი.** თბილისი. ინჟინერი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**206. დურმიშხან ცინცაძე.** თბილისი. ისტორიკოსი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**207. არჩილ პაპაშვილი.** თბილისი. ექიმი. 72 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**208. ნუგზარ ლომიძე.** თბილისი. ეკონომისტი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ათანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

**209. გივი კახიანი.** თბილისი. ინჟინერი. 65 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტერველი, მიხეილ მესხი

**210. შალვა რადიანი.** თბილისი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ვლადიმერ მარღანია, ვლადიმერ ელოშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები „სარბიელის" მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ____________________
2 ____________________
3 ____________________
4 ____________________
5 ____________________
6 ____________________
7 ____________________
8 ____________________
9 ____________________
10 ____________________
11 ____________________

სახელი - - - - - - - - - - - -
გვარი - - - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - - - -
მისამართი - - - - - - - - - - - -

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ფოთი მარტო პორტი არ არის ფოთი კრივის ქალაქია

გუშინ ქართველი მოკრივეები თბილისს დაბრუნდნენ და ჩვენც მათთან შესახვედრად კრივის ფედერაციას ვეწვიეთ. საბერძნეთში გუნდს გენერალური მდივანი **თემურ კუტივაძე** ახლდა და საუბარი ჯერ მასთან გავაბით. მოგვიანებით კი **კობა გოგოლაძე** და **ვლადიმერ ჭანტურიაც** შემოგვიერთდნენ.



ევროპის თასის ფინალი: გოგოლაძეს მეტოქე უბრძოლველად დანებდა

— ევროპის თასის გათამაშება პირველად გაიმართა. ათენში ოცი ქვეყნის მოკრივეები ჩამოვიდნენ, საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი და ბევრი საინტერესო ბრძოლაც ვიხილეთ. საქართველო საბერძნეთში 5 სპორტსმენით წარსდგა. 51 კგ-ში გორელი რამაზ გაზაშვილი ასპარეზობდა, დავით ხურცილავა (57), კობა გოგოლაძე (60), ზაზა კუჭავა (75) და ვლადიმერ ჭანტურია (91) კი ფოთელები არიან. ამათგან ხურცილავას და კუჭავას ევროპის თასზე მონაწილეობის ფინანსური მხარე სწორედ ფოთმა იკისრა. ათენში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, ფოთელი ზურაბ ტიბუაც იმყოფებოდა, რომელმაც ბევრი ორთაბრძოლა იმსაჯა კიდეც.

**— ალბათ კმაყოფილი იქნებით ჩვენი ბიჭების გამოსვლით.**

— რა თქმა უნდა, ბიჭებმა მართლაც ჩინებულად იკრივეს, მხოლოდ რამაზ გაზაშვილი დაგვირჩა უმედლოდ, ისიც იმიტომ, რომ აშკარად დაგვიჩაგრეს მსაჯებმა. დავით ხურცილავამ მხოლოდ ნახევარფინალში წააგო ბერძენ ბორის გეორგიადისთან და ბრინჯაოს დასჯერდა. ნახევარფინალშივე დამარცხდა ზაზა კუჭავა. მასაც ბერძენმა კოსტას მოურატიდისმა მოუგო და საბოლოოდ კუჭავამაც ბრინჯაო ირგუნა. კობა გოგოლაძე და ვლადიმერ ჭანტურია კი აქ არიან და უკეთ მოგითხრობენ ჩატარებულ ბრძოლებზე

**— კობა, ფინალში შენთან შეხვედრას რუსმა სახატ საინმა თავი აარიდა. ეტყობა, წინა ბრძოლებში დამაჯერებლად მოიგე და რუსიც გვარიანად შეაშინე.**

— ჩემი შეეშინდა თუ არა, საინს ეგ არ ვიცი. ერთი კია, რინგზე გამოვიდა და გამარჯვების ნიშნად ხელი თავად ამიწია. მანამდე კი ორჯერ ვიკრივე. პირველად უკრაინელ ალექსეი სერდიუკს შევხვდი, რომელიც ჭკვიანი, ტექნიკური ბიჭია და დიდი წინააღმდეგობაც გამიწია, თუმცა მისი დამარცხება მაინც შევძელი. შემდეგ წრეში კი ესტონელს მოვუგე. ფინალზე კი უკვე გითხარით.

**— ძველ მეტოქეებს არ გადაყრიხარ, იქ არ იყვნენ თუ სხვებმა აჯობეს და შენამდე ვეღარ მოაღწიეს.**

— გერმანელი ჰუსტე, რომელთანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალი წავაგე, ათენში არ ჩამოსულა. დღესაც მწარედ მახსოვს ის ბრძოლა და იმ დღიდან ჰუსტესთან ჩხუბი მწადია, მაგრამ გერმანელი არც ჩინეთში, მსოფლიოს თასზე გამოსულა, აგერ ახლა, საბერძნეთსაც უგანა. სომეხმა გევორქიანმა კი ათენის რინგზე იჩხუბა და იმ ესტონელთან დამარცხდა, რომელსაც მერე მე მოვუგე ნახევარფინალში.

**— 60 კილოში მსოფლიოს პირველ მოკრივედ გაღიარეს, მეტოქენი ალბათ კბილებს ილესავენ და შენს დამარცხებაზე ოცნებობენ.**

— კი, ბატონო, იოცნებონ, მე კი თავს ვერავის გავალახვინებ, გაისად მსოფლიოს ჩემპიონატია და იქ გამოჩნდება, ვინ რისი მაქნისია.

მას შემდეგ, რაც გიორგი კანდელაკი პროფესიონალებში გადავიდა, 91 კგ-ში სანაკრებო ადგილი ოცი წლის ვლადიმერ ჭანტურიამ დაიკავა. ათენში ვოვას თავი არ შეურცხვენია და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

— ნახევარფინალში მძიმე ბრძოლა გადამხდა ლატვიელ რომანას კუკლინსთან, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ბიჭია და რიგიანადაც ჩხუბობდა, მაგრამ არაფერი დავუთმე და დავამარცხე, მაგრამ მარჯვენა ხელიც ძლიერ დავიზიანე.

**— ფინალში ნატკენი ხელით იჩხუბე?**

— სხვა რა ძალა იყო. ევროპის თასის მოგება ძალიან მინდოდა და ცალი ხელით ვეჩხუბე რუს ანდრეი დერევცოვს. იგი ორჯერ მყავს ნაცემი და თანაბარ პირობებში ათენშიც მოვუგებდი, მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო და, რუსმაც ქულებით 11:5 მომიგო.

**— 91 კილოში უპირობო ლიდერი კუბელი ფელიქს სავონია, მასთან შეხვედრას ბევრი სახელოვანი მოკრივე გაურბის.**

— სავონი დღესდღეობით მართლაც უძლიერესია. მისი დამარცხება თითქოს შეუძლებელია, მაგრამ გამორიცხული არაფერია. ისე კი, თუ რამის მიღწევა გინდა, არც სავონის უნდა გეშინოდეს და არც ტაისონის.

ათენში გუნდური პირველობაც გაუთამაშებიათ. ჩვენი ბიჭების შედეგებმა საქართველოს მეოთხე ადგილი მოუტანა, პირველი კი რუსეთის ნაკრები იყო. მეორე და მესამე კი, შესაბამისად, უკრაინა და საბერძნეთი.

ერთიც ვთქვათ: ათენში ქართულ საკრივო სკოლას გორელი გაზაშვილის გარდა ფოთელები წარმოადგენდნენ და ღირსეულადაც წარმოჩნდნენ ევროპულ რინგზე. ზღვისპირა ქალაქში კრივს დიდი ხანია სათანადო ყურადღებას უთმობენ და შედეგებსაც საკადრისს იმკიან. სხვა რა გვეთქმის: ყოჩაღ, ფოთელ კრივის მწვრთნელებს და აფერუმ, ქალაქის სპორტის თავკაცს, მართლაც გამოცდილ და საქმის მცოდნე სპორტის მოჭირნახულე ოთარ ხომერიკს!



ხელმტკივანი ჭანტურია (მარცხნივ) მეორე ადგილს დასჯერდა

მაშინ, როცა საქართველოს რჩეული მოკრივეები საბერძნეთს კრივობდნენ, მათი ახალგაზრდა კოლეგები ირანის საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობდნენ. უფროსთა დარად ისინიც მედლებით დახუნძლულნი დაგვიბრუნდნენ თეირანიდან.

ახალგაზრული გუნდი თეირანში საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ გუნიამ წაიყვანა. წესით და რიგით, გუნია საბერძნეთს უნდა ყოფილიყო და საუბარიც ამით დავიწყეთ.

— ნოემბერში ჩვენს ახალგაზრდებს არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატი ელით და ირანის ტურნირი მოსამზადებლად ძალიან წაადგებოდათ. მეც ამიტომ ვარჩიე მათთან ერთად თეირანს წასვლა. ირანამდე სევასტოპოლში ვიყავით მიწვეულნი, მაგრამ იქ გამგზავრება აღარ მოხერხდა და ჩვენც თეირანს მივაშურეთ.

**— როგორი დონის ტურნირი იყო?**

— ირანში სომხეთის, აზერბაიჯანისა და მასპინძელთა გუნდები მონაწილეობდნენ. ამათ ჩვენი ახალგაზრდული გუნდიც დაემატა. ტურნირი მაღალი დონისა იყო და ამითაცაა ჩვენი ბიჭების ნაჩვენები შედეგები უფრო დასაფასებელი.

**— მართლაც კარგად გამოსულხართ. 12 კაციდან 10 მედლით დაგვიბრუნდა.**

— ალალად გეტყვით და, ასეთ შედეგს მეც არ ველოდი. პირველ დღეს ბიჭები შებოჭილები იყვნენ. თითქოს ერიდებოდათო ასაკით უფროსი მოკრივეებისა, მაგრამ მერე კი გაიხსნენ და გამარჯვებმაც არ დააყოვნა. ოქროს მედალი თბილისელებმა დავით ადამაშვილმა (51), დავით გეგეშიძემ (81) და მესტიელმა ლაშა იოსელიანმა (57) მოიპოვეს. ვერცხლი მამუკა გორდეზიანმა (54) და ზუგდიდელმა ლევან ჯანჯღავამ (71) ირგუნეს. კიდევ ხუთი მოკრივე, გურჯაანელი ზაზა ლაზაშვილი (51), ფოთელი ზურაბ უჩანეიშვილი (91), თბილისელები უშანგი რურუა (60), ზურაბ ბაზაძე (67) და ზურაბ ქებაძე (75) ბრინჯაოს დასჯერდნენ. სამი ოქრო, ორი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო, მგონი, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

**— არგენტინას გუნდი როდის გაემგზავრება?**

— ვიდრე ფინანსების საკითხი არ გადაწყდება, ვერაფერს გეტყვით. უნდა ვიცოდეთ, თანხას რამდენს გამოგვიყოფენ და იმის მიხედვით გადავწყვეტთ, რამდენი მოკრივე წავიყვანოთ. არადა, ამ ბიჭებს მსოფლიოს ჩემპიონატზეც ძალუძთ წარმატებით გამოსვლა.

თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს, გასული კვირა ბარაქიანი რომ იყო ქართული კრივისთვის. ეტყობა, ქართველ კაცს მუშტის მარჯვედ მოქნევა ჯერ კიდევ ეხერხება, მწვრთნელებიც შეგირდებს რიგიანად წვრთნიან და აჰა, ბატონო, მედალ-თასებიც ჩვენებურთა ნადავლი ხდება.

**სოსო ქოტორეიშვილი**



გოგოლაძემ (მარჯვნივ) ათენში პირველად უკრაინელი სერდიუკი გალახა



# ავცდებით თუ არა ტონგას?

როგორც იცით, რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატები ოდენ 1987 წლიდან იმართება და დღემდე ჩატარებულ სამ პირველობაზე თითოჯერ ავსტრალიელებმა, ახალზელანდიელებმა და სამხრეთაფრიკელებმა იმარჯვეს. მეოთხე და ამ საუკუნეში უკანასკნელი მსოფლიოს თასი 1999 წელს უელსში გათამაშდება. მასზე პირდაპირ, ყოველგვარი შესარჩევი მატჩების გარეშე მხოლოდ სამი გუნდია დაშვებული — სამხრეთაფრიკელი „ქურციკები“, ზელანდიის „ოლ ბლექსი“ და ფრანგი „მამლები“. მათ ეს პატივი 1995 წელს სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში შესაბამისად პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასვლით ირგუნეს. ყველა დანარჩენი ქვეყნის ნაკრები კი შესარჩევ ტურნირებში ჩაება. რა თქმა უნდა, ზოგს ნაკლები გზა ჰქონდა გასავლელი, ზოგსაც — მეტი.

საქართველოს ნაკრები რომ ნოემბერში ირლანდიაში მასპინძლებსა და რუმინელებს შეეცილება უელსის ორ საგზურს, გეცოდინებათ. ნოემბერშივე გაიმართება ევროპის ორი დანარჩენი ჯგუფის მატჩებიც. მეორე ჯგუფი ინგლისს, იტალიას და ჰოლანდიას აერთიანებს, მესამე — შოტლანდიას, ესპანეთსა და პორტუგალიას. ამ სამ ჯგუფში მესამე ადგილზე გასულნი კი სხვა შესარჩევი ზონების ხელმოცარულებთან შეხვედრებში ეცდებიან დარჩენილი საგზურების მოპოვებას.

თუ ევროპა ნოემბერში თამაშობს, სამაგიეროდ, სხვამ ყველამ მოითავა საქმე. პირველებმა ამერიკის კონტინენტის წარმომადგენლებმა გაარკვიეს უელსში თავიანთი წარსაგზავნების ვინაობა. ხუთეტაპიანი შეჯიბრის ბოლოს არგენტინა, კანადა, აშშ და ურუგვაი გაეჯიბრნენ ერთმანეთს. დიდებმა პატარა ურუგვაი დაჩაგრეს და ბოლო ადგილზე დატოვეს, სამივემ კი უელსში წასვლა დაიბევა. ურუგვაი გადათამაშებაში აღმოჩნდა.

12-19 სექტემბერს კი მაროკომ ოთხთა ტურნირს უმასპინძლა. მასპინძლები, კოტ დივუარი, ნამიბია და ზიმბაბვე ერთ პირდაპირ და ერთ გადათამაშების საგზურს შეედავენ ერთმანეთს. სპეციალისტები ამ შეჯიბრს ყველაზე სუსტად მიიჩნევდნენ და წარმატებას ზომბაბვესა და მაროკოს უწინასწარმეტყველებდნენ. პირველ ტურში ჩვენი ნაკრების ფრანგი კონსულტანტის კლოდ სორელის დამოძღვრილმა მაროკოელებმა ზიმბაბველებს 2 ლელო გაუტანეს და 15:9 დაამარცხეს, ნამიბიამ კი დივუარელები დაჯაბნა 22:10. ნამიბიელებმა შემდეგაც კარგად იბურთავეს და ირველი ადგილიც დამსახურებულად დაიკავეს. მეორეზე მასპინძლები გავიდნენ.

18-26 სექტემბერს კი უკვე ოკეანეთის ზონის ოთხი გუნდი — ავსტრალია, დასავლეთ სამოა, ფიჯი და ტონგა შეიკრიბნენ ყველაზე პატარა კონტინენტზე ურთიერთობების გასარკვევად. მათგან სამი საუკეთესო პირდაპირ უელსში ხვდებოდა, მეოთხე კი ევროპის I ჯგუფის მესამე გუნდთან გადათამაშებაში, სადაც გამარჯვების შემთხვევაში ევროპის II ჯგუფში ბოლოსა და აზიის მეორეს შორის გამარჯვებულთან უნდა გაეთამაშებინა უელსის საგზური. ალბათ უკვე მიხვდით (სათაურიდან გამომდინარე), რომ მეოთხე და უანასკნელ ადგილზე ტონგა გავიდა.

პირველ ტურში, რომელსაც სიდნეიმ უმასპინძლა, სამოამ გაჭირვებით მოუგო ტონგას 28:20. ტონგელები შუახაზელმა სემ ალატინმა დაალალატა, რომელიც ბრაიან ლიმასთან უხეშობისთვის გააძევეს. ამის მიუხედავად ტონგელებს თავიანთი უპირატესობისას ცოტა უფრო ფხიანად რომ ეთამაშათ, მატჩის შედეგი ალბათ სხვა იქნებოდა. ტურის მეორე თამაშში „ვოლაბებმა“ შანსი არ დაუტოვეს ფიჯელებს და უკვე პირველი ორმოცი წუთის შემდეგ 20:6 აგებდნენ. მეორეში კი სულ აიწყვიტეს და 66:20 გაიმარჯვეს.

კანბერაში გამართულ მეორე ტურში ყველას გასაოცრად ფიჯიმ შეძლო დასავლელი სამოელების დამარცხება, რითაც 22 სექტემბერსვე დაიბევა მე-2 ადგილი. ეს გამარჯვება მით უფრო დასაფასებელია, რომ 75-ე წუთზე ფიჯელები 9:18 აგებდნენ, მაგრამ შეხვედრის თავის სასარგებლოდ შემოტრიალება სასწაულებრივ მოახერხეს და ორ გარდასახულ ლელოს ერთი საჯარიმოც მიაყოლეს. ავსტრალიელებმა კი ტონგელები დაიბრიყვეს და ურთიერთშეხვედრების ისტორიაში ყველაზე მძიმე მარცხიც აგემეს — 74:0.

ბრისბენში, უკანასკნელ ტურში, ავსტრალიას სამოას დამარცხებაც აღარ გასჭირვებია, თუმცა ანგარიში უფრო მოკრძალებული დაფიქსირდა. ტონგელებს კი, ფიჯის თუ გაუმკლავდებოდნენ, უკანასკნელი შანსი ჰქონდათ უელსში პირდაპირ მოხვედრისა. თავიდან ფიჯი დაწინაურდა 16:3. შესვენების წინ ტონგამ მოახერხა ერთი ლელოს გატანა და მისი გარდასახვის მერე სხვაობა ექვს ქულამდეც შეამცირა. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა, მაგრამ აქ უკვე ფიჯელებმაც გამოიღეს ხელი და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ.

**გაიოზ თალაკვაძე**

აფრიკის და ოკეანეთის ჯგუფების საბოლოო ცხრილები

ოკეანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 3 | 0 | 0 | 165:33 | 6 |
| ფიჯი | 3 | 2 | 0 | 1 | 78:99 | 4 |
| სამოა | 3 | 1 | 0 | 2 | 59:71 | 2 |
| ტონგა | 3 | 0 | 0 | 3 | 35:134 | 0 |

აფრიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნამიბია | 3 | 3 | 0 | 0 | 78:32 | 6 |
| მაროკო | 3 | 2 | 0 | 1 | 29:29 | 4 |
| ზიმბაბვე | 3 | 1 | 0 | 2 | 55:54 | 2 |
| კოტ დივუარი | 3 | 0 | 0 | 3 | 13:60 | 0 |

# მართლა ფალავანი რომელიც გროშებს გადავაყოლეთ

საქართველო ფალავნების ქვეყანააო — ამ სიტყვებს, ჩვენ რომ არ ვთქვათ, უცხოელებიც არ დაგვამადლებენ და საეჭვოა, ამის თაობაზე ვინმემ დავა ატეხოს. ასეა, ფალავნების ქვეყანა ვართ, თუმცა დროებით დავრდომილი და დაჩაჩანაკებული. უმდიდრესი ტრადიციების მქონეთ არც ახლა გვაკლია ხალასი ნიჭით დაჯილდოებული მოჭიდავენი. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ უცხოელნი სიამოვნებით იკედლებენ ჩვენს ჯიბეგაფხეკილ და ბედის მაძიებელ პერსპექტიულ ბიჭებს



ზაზა ზოზიროვი

დაიბადა 1972 წლის 25 აპრილს გორში

სიმაღლე 175 სმ

წონითი კატეგორია 69 კგ

ევროპის სამგზის (1988, 1989, 1990) ჩემპიონი ახალგაზრდებში

ევროპის ორგზის (1992, 1993) ჩემპიონი

ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი (1996, 1997, 1998)

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1998)

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1997)

ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი (1996)

*პერსპექტიულ ბიჭებს-მეთქი, ზემოთ გითხარით, თუმცა, როცა გორელი ზაზა ზოზიროვი უკრაინაში წავიდა, პერსპექტიული აღარ ეთქმოდა. ჯერაჰ ახალგაზრდა კი იყო, მაგრამ უკვე დსთ-სა და ევროპის ჩემპიონი გახლდათ და, აბა, „ხახოლებსაც" რა ღმერთი გაუწყრებოდათ, ასეთი კაცი უარით გამოესტუმრებინათ? მიიღეს, შეიკედლეს და ამით ბევრიც მოიგეს, რადგან შიდა ქართლში, გორში დაბადებულმა, გაზრდილმა და დავაჟკაცებულმა ბიჭმა სხვადასხვა შეჯიბრებათა ორგანიზატორებს უკრაინის სამფეროვანი დროშა არაერთხელ ალამართვინა და, როგორც თავად ირწმუნება, მალე ჰიმნსაც აჟღერებინებს. ასე რომ, ნუგზარ სხირელის შევირდი, რომელსაც თავის პირველ დამრიგებელთან ახლაც საუკეთესო ურთიერთობა აქვს, უკრაინის ნაკრების საუკეთესო ფალავანი და, როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ ხარაჩურამ მითხრა, გუნდის სული, გული და მისი კოლორიტია.*

*პირადად მე არც უკრაინელთა გამარჯვების საწინააღმდეგო მაქვს რამე და არც მათი ჰიმნისა, მაგრამ როგორც ქართველი, ცხადია, საქართველოს ჰიმნის აჟღერების ნატრული ვარ და არც ის მგონია, რომ ზაზას მიერ მოპოვებული მედლები ვინმეზე ნაკლებად წაგვადგებოდა, მით უმეტეს დღეს, როდესაც ერთი კინკილა ვერცხლისა ან ბრინჯაოს გამო ლამისაა, სიხარულით ცას ვეწიოთ.*

*ზაზა ზოზიროვს რომ ველაპარაკე უკრაინელი ფალავნები მსოფლიოს თასისთვის ემზადებოდნენ და კიევის მახლობლად შეკრებილიყვნენ. თუმცა ზაზას მაინც მის ბინაში ვესაუბრე, რადგან მწვრთნელები მას ნამდვილ პროფესიონალად თვლიან და არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, ზაზამ ინდივიდუალური გეგმით ივარჯიშოს.*

**— საქართველოდან 20 წლისა წამოხვედი. მაშინაც 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდი და ახლაც ასეა. წონის შეცვლას ხომ არ აპირებ?**

— არა, არც დამძიმებას ვაპირებ, არც შემსუბუქებას. 69 ჩემთვის ოპტიმალური წონაა.

**— მაინც რა იყო საქართველოდან შენი წამოსვლის მიზეზი?**

— განსაკუთრებული თითქოს არაფერი, მიზეზი იგივე იყო, რამაც არაერთი ჩვენებური უცხოეთის გზას გაუყენა. ძალიან ცუდ, თითქმის გაუსაძლის პირობებში მიწევდა ვარჯიში. მიუხედავად ამისა, 1993 წელს გამართულ ევროპის ჩემპიონატში მაინც შევძელი ოქროს მედლის მოპოვება. ამ ევროპის პირველობამდე არაერთხელ დაგვპირდნენ, პირველ ადგილზე გასულები 1000, მეორეზე 500, მესამეზე კი 300 დოლარს მიიღებთო პრემიის სახით, მაგრამ შენც არ მომიკვდე, დაპირება დაპირებადვე დარჩა. რომ შევახსენებდით, იქნება-იქნებაო, გაიძახოდნენ. იქნებათი რამდენ ხანს უნდა გამეძლო? თანაც, არც თანხა იყო იმხელა, მის გადახდაზე ამხელა ამბავი ატეხილიყო. ერთი სიტყვით, რაც მერგებოდა, არ მომცეს და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, კიდევ კარგა ხანს ან საერთოდ ვერ მივიღებდი. მეც ავდექი და აქეთ გამოვწიე, მით უმეტეს, უკრაინელებმა თავად შემომთავაზეს, ჩვენთან წამოდიო.

**— ცოტა ხანსაც რომ მოგეცადა და შენი მოგეთხოვა?**

— ეჰ, ვისთვის მომეთხოვა? ხომ გახსოვს, როგორი არეული, საშინელი დრო იყო მაშინ, ჩვენთვის ვინ მოიცლიდა, როცა ქვეყანა ინგრეოდა.

**— კონკრეტულად ვინც გპირდებოდა, იმასთან მისულიყავი.**

— ვინ აღარ მპირდებოდა, რომელი ერთი ჩამოვთვალო: მწვრთნელები, ფედერაცია, სპორტის დეპარტამენტი. თუმცა მწვრთნელებს რას ვერჩი, მათაც ჩემსავით ატყუებდნენ.

**— უკრაინაში ჩამოსვლამდე რა ტიტულები გქონდა?**

— ვიდრე საქართველოს ღირსებას ვიცავდი, საერთაშორისო სარბიელზე ორი ოქრო მოვიგე: პირველი დსთ-ს ჩემპიონატზე, მეორე ევროპისაზე.

**— შენს მედლებს აქ ბევრი დაუმატე?**

— სამჯერ ევროპაზე გავხდი პრიზიორი, ორჯერ მსოფლიოზე და ოლიმპიადაზეც ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. აი, ოქრო კი ჯერ ვერ მოვიხელთე. უკრაინის ჩემპიონობას არ ვთვლი, ეს ყოველ წელს გარანტირებული მაქვს.

**— ახლახან ირანში დასრულებულ მსოფლიოს პირველობაზეც ვერცხლის მედალი მოიგე — ოქრო კვლავ სხვას დარჩა.**

— ასეა, თითქოს დათარსული ვიყო. არადა, საწყენი ის არის, რომ არცერთი ფინალური ორთაბრძოლა არ წამიგია წმინდად და არცერთ მეტოქეს არ ჰქონია აშკარა უპირატესობა. ყოველთვის ნახევარი ნაბიჯილა მაკლდება ჩემპიონობამდე. ირანშიც ფინალამდე დიდად არ გამჭირვებია, თუმცა, ცხადია, რამდენიმე ძლიერი მეტოქე მაინც შემხვდა და ყველა დავამარცხე. ფინალში სომეხი გევორქიანი დამხვდა. ძალიან კარგი მოჭიდავეა. ერთმანეთის ჭიდაობის სტილი საკმაოდ კარგად გვაქვს შესწავლილი. ძალიან დაძაბული ბრძოლა გამოვიდა, რომელიც მინიმალური უპირატესობით, 0:1 დავთმე. დაჯილდოებამდე მეტოქემ და მისმა მწვრთნელმაც მითხრეს, ოქროს მედალს ნაკლებად არც შენ იმსახურებდიო, მაგრამ აბა, ეს რა ნუგეშია... არა უშავს, ჩემს ჯერს დაველოდები, ვარჯიშსაც განვაგრძობ და საწადელსაც აუცილებლად ავისრულებ.

**— ირანში ქართველთა ჭიდაობას თუ ადევნებდი თვალს?**

— როგორ არა. საქართველოში რომ უამრავი ძლიერი ფალავანია, ამას რა დიდი მტკიცება უნდა, მაგრამ მათ თეირანში ბედმა უმტყუნა. საერთოდ, ჩვენებურ მოჭიდავეებს შეძლებისდაგვარად ყველა შეჯიბრებაზე ვუყურებ და ვგულშემატკივრობ. რა არის ამაში გასაკვირი, ერთად არ ვართ გაზრდილები...

**— ბოლოხანს საქართველოდან კიდევ ვინმე ხომ არ ჩამოსულა უკრაინაში?**

— ხმები დადიოდა, რომ ვილაცეები უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ არავინ გამოჩენილა.

**— ნაკრებში ძლიერი კონკურენტები გყავს?**

— ჩემს წონაში დიდ კონკურენციას ვერავინ მიწევს. 69 კგ-ში ამჟამად მაინცდამაინც ძლიერი მოჭიდავე არ არის. ასე რომ, ჯერჯერობით ნაკრებში ადგილი გარანტირებული მაქვს, მერე რა იქნება, ვნახოთ.

**— კიევში სხვა ჩვენებური სპორტსმენებიც არიან, მაგალითად, კახა კალაძე, ვიტალი დარასელია... მათთან ხომ არ გაქვს ურთიერთობა?**

— მათ თამაშებს რამდენჯერმე დავესწარი, მაგრამ პირადად ჯერ არ გამიცვნია.

**— ფეხბურთი და კალათბურთი რომ უკრაინელებს ძალიან უყვართ, ცნობილი ამბავია. ჭიდაობის მიმართ როგორ არიან განწყობილნი?**

— ჭიდაობაც არანაკლებ უყვართ და მოჭიდავეებსაც ძალიან გვაფასებენ. საერთოდ, უკრაინელები ძალიან სპორტული ხალხია და პრაქტიკულად ყველა სახეობას დიდ ყურადღებას აქცევენ. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეკრება რომ გვქონდა, ჩვენთან ერთად ტანმოვარჯიშეებიც ემზადებოდნენ. ერთი იაპონელი ჟურნალისტი იყო საგანგებოდ ჩამოსული, ისიც იქვე ცხოვრობდა და უკრაინულ ტანვარჯიშზე წიგნს წერდა.

**— აქაური პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— ვერ ვიტყვი, დიდ ფუფუნებაში ვარ-მეთქი, მაგრამ მთლიანობაში ჩემს ყოფას ნორმალური ეთქმის. სავარჯიშო პირობები, საქართველოში რომ მქონდა, იმაზე ბევრად უკეთესი მაქვს. თუმცა ახლა, შეჯიბრებებზე რომ ვხვდები ჩვენს ბიჭებს, მეუბნებიან, ამ მხრივ ჩვენთან უკეთესობააო. მაშინ სხვა დრო იყო. ანაზღაურებასაც არ ვუჩივი. ძალიან ბევრს არ მაძლევენ, მაგრამ რასაც მპირდებიან, შეუფერხებლად ვიღებ. პრემიის სახით მანქანაც მომცეს, „მერსედესი". ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლისთვის ბინაც მივიღე. მოკლედ, თავი გამაქვს.

**— საქართველოდან რუსეთში წასულთაგან ხშირად მსმენია, ხალხს არ ვუყვარვართ, რადგან „კავკასიური ეროვნების პირები" ვართო...**

— ასეთი რამ აქ არ მიგრძნია და რომ მეგრძნო, მაშინ აღარ გავჩერდებოდი. კიევში სულ სხვანაირი, გულთბილი ხალხი ცხოვრობს. პირიქით, დიდ სითბოს და სიყვარულს ვგრძნობ მათგან.

**— ხომ არ დაოჯახებულხარ?**

— ჯერ არა.

**— მშობლებიც აქ გყავს?**

— არა, ისინი ვლადიკავკაზში ცხოვრობენ.

**— კარიერის დასრულებას ხომ არ აპირებ?**

— რა დროს ეგ არის, ოქრო ხომ უნდა მოვიგო. ყველანაირად ვეცდები, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე ხალიჩაზე, თუმცა...

**— რაიმე პრობლემაა?**

— კარგა ხანია, ბეჭები და ხერხემალი მაწუხებს, პირდაპირ გამტანჯა კაცი.

**— ექიმებმა, რაო?**

— მათი პასუხი ხელს არ მაძლევს, რამდენ ექიმსაც გავესინჯე, ყველა ერთს მეუბნება, აუცილებლად უნდა დაანებო ჭიდაობას თავიო, მე კი ამას ჯერ ვერ გავაკეთებ. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე მაინც უნდა მივაღწიო როგორმე.

**— ეგეც არაა, გორში დაბადებულ და გაზრდილ კაცს მშობლიური ქალაქი ძალიან გენატრება. უკან დაბრუნებას არ ფიქრობ?**

— ძნელია ეს. აქეთ რომ წამოვედი, თავიდან ძალიან გამიჭირდა. ადვილი ხომ არ გგონია, ასე უცებ სულ სხვა ხალხსა და გარემოს შეეჩვიო. მერე და მერე აქაურობას მივეჩვიე. კარიერას ალბათ უკრაინაში დავასრულებ, მერე კი ვიფიქრებ, რა გზას ვეწიო. ისე კი... კიევში ნამყოფი ხარ?

**— რამდენჯერმე.**

— ხომ ხედავ, რა ქალაქია! შეუძლებელია, არ მოგეწონოს, მაგრამ ჩემი სიყრმის წლები და გორი რომ გამახსენდება ხოლმე...

*ზაზა გაჩუმდა. მეტს აღარც მე მივძალებივარ. მით უმეტეს, მითხრა, ხვალ ჩიკაგოში მივფრინავ მსოფლიოს თასზეო. წყნარად დავემშვიდობე და თავის ფიქრებთან დავტოვე. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ზოზიროვების, კახიაშვილების და სხვათა გამარჯვების ამბებს რომ შევიტყობთ, სევდიანად ვთქვათ, ეჰ, ეს კაცი ხომ ოდესღაც ჩვენი იყო...*

**ირაკლი ხუციშვილი კიევიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის"**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართველები დღეიდან მანასლუს შეუტევენ

როცა საქართველოს მთამსვლელთა მეორე ჰიმალაური ექსპედიცია გია თორთლაძის მეთაურობით ნეპალში დედამიწის 14 რვაათასიანი ერთ-ერთის მანასლუს დასალაშქრად მიდიოდა, იმთავითვე უარს ამბობდა შერპ ალპინისტებზე. მათ გეგმაში ჰქონდათ მხოლოდ ორი შერპის დაქირავება, რომლებსაც მზარეულის მოვალეობა უნდა შეესრულებინათ.

— საბაზო ბანაკის ზემოთ არც მებარგებულებს გამოვიყენებთ, არც შერპ მთამსვლელებს. მათი დახმარებით ასვლა კარგა ხანია, პრესტიჟულად აღარ ითვლება. თავმოყვარე, ძლიერი მთამსვლელები დღეს საკუთარი ძალებით ადიან რვაათასიანებზე — გვითხრა გია თორთლაძემ.

მაგრამ ჰიმალაის მთებში მთამსვლელები იშვიათად „ჯდებიან" თავდაპირველ გრაფიკსა და გეგმაში. ასე დაემართათ ჩვენს მთამსვლელებსაც, რომლებიც უამინდობამ ხან სად შეაფერხა და ხან სად. თუმცა, მერე დაკარგული დროის ანაზღაურებას მაინც ახერხებდნენ, რადგან სხვა ქვეყნების მთამსვლელებიც ლამობენ მანასლუს დამორჩილებას და მეტ-ნაკლებად ისინი ერთმანეთის დამუშავებულ მარშრუტს მიუყვებიან. ერთ მომენტში ქართველმა მთამსვლელებმა ამ საქმეში სხვა ექსპედიციის მიერ დაქირავებული შერპებიც გამოიყენეს.

ასეა თუ ისე, ჩვენებმა საბაზო ბანაკის ზემოთ სხვადასხვა სიმაღლეზე სამი ბანაკი დადგეს. კვირას ისინი მესამე ბანაკიდან საბაზოში დაეშვნენ დასასვენებლად და სულის მოსათქმელად. დღეს კი, თუ მანასლუმ თავს ქარაშოტი არ დაიტეხა, მწვერვალზე იერიში აქვთ განზრახული.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში დღესვე თავს ამოყოფენ მწვერვალზე. მათ ბანაკ-ბანაკ უნდა აიწიონ ზემოთ და იქ თითო ღამეც გაათენონ. სავარაუდოდ, ისინი მწვერვალს ოთხ-ხუთ დღეში მიაღწევენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

საბერძნეთი — საქართველო
14 ოქტომბერი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში
750 დოლარად გთავაზობთ 4-დღიან მოგზაურობას
საბერძნეთში ფეხბურთზე დასასწრებად.
თქვენი მხარდაჭერა ჩვენების გამარჯვების საწინდარია
ფირმა „ჰებე"
თავისუფლების მოედანი 7. ტელ: 92-15-59, 99-79-35.

ისწავლეთ ინგლისური ინგლისში!
რუსთაველის №17. ტ: 98 37 10
① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა
④ მისაღები ფასები

# საქართველოს ჩემპიონატი 1 ტური

## ანონსი

**1 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი**

### კოლხა—აზოტი

**მსაჯები: გ. მოლოდინაშვილი, ლ. თოიძე**

საქართველოს მერვე საკალათბურთო ჩემპიონატის პირველ მატჩში ერთმანეთს სოხუმის „კოლხა“ და ვიცე-ჩემპიონი რუსთავის „აზოტი“ დაუპირისპირდებიან. „აზოტი“ წინა ჩემპიონატებში სტაბილურად ასპარეზობდა და ბოლოს, „ვითასთან“ ფინალში, ცოტაღა დააკლდა პირველობამდე. რუსთაველებმა შარშანდელი ევროტურნირების გამოცდილებას, მარცხის მიუხედავად, წლევანდელიც შემატეს და გუნდის ჩამოყალიბების კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს.

„კოლხა“ კი ახალგაზრდული კლუბია და პერსპექტიული კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული. წინა ჩემპიონატში მისი შედეგი მოკრძალებული გახლდათ. წლეულს კი გუნდი გაიზარდა, ასაკი მოემატა, შეკრებაც გაიარა და, რაღა თქმა უნდა, მისგან პროგრესს უნდა ველოდოთ.

გამოცდილ რუსთაველებთან „კოლხას“ რთული მატჩი ელის, თანაც, თუ გავითვალისწინებთ პირველი შეხვედრის ფაქტორს, კოლხი ახალგაზრდებისთვის არ უნდა იყოს იოლი ძლიერ მეტოქესთან თამაში. თუ „აზოტის“ შემადგენლობას გადავხედავთ, კალათბურთში ჩახედული კაცი მიხვდება, რომ რუსთაველებს წლეულსაც ლიდერთა შორის ვიხილავთ. აქ ხომ ეროვნული ნაკრების წევრები — რამაზ გოგობერიშვილი და წინა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე ირაკლი ჯაფარიძე თამაშობენ. დაცვაც თვალშისაცემია: არჩილ ქლენტი და ზაზა გაბისონია უკანა ხაზზე დიდ ძალას წარმოადგენენ. მართალია, ბოისას სახით „აზოტს“ დიდი ძალა დააკლდა, მაგრამ მის ადგილას ზვიად ბაბიაშვილი ითამაშებს. თუ ყოველივე ამას მიხეილ ბერუაშვილის გამოცდილებასაც დავამატებთ, დამეთანხმებით, ამ შეხვედრაში ფავორიტი სწორედ რუსთავის „აზოტია“, თუმცა ვიმედოვნებთ, არც „კოლხა“ დათმობს არაფერს. პირველმა გამარჯვებამ ხომ შეიძლება გუნდს ფრთები შეასხას და მომავალი წარმატებების მოსაპოვებლად განაწყოს.

**2 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 15 საათი**

### სდასუ—სტუ

პირველი ტურის ცენტრალურ მატჩად უდავოდ ორი სტუდენტური გუნდის პაექტრობა უნდა მივიჩნიოთ. სდასუ — სტუ ბევრ საინტერესოს ჰპირდება მაყურებელს.

სტუდენტური შეხვედრები გულშემატკივართა სიუხვითაც გამოირჩევა. ერთგული ფანები საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად დილიდანვე იჭერენ თადარიგს. ნაკად-ნაკად მოედინებიან ვერის ბაღისკენ და არის ერთი ჟრიამული, საყვირებისა თუ დაფდაფების გამაყრუებელი ხმაური. ეს განსაკუთრებით სდასუ-ს სტუდენტობაზე ითქმის. ამ მხრივ მათ ბადალი არ ჰყავთ და ჩვენში რომ გულშემატკივრობაში რჩეულთ ავლენდნენ, უეჭველია, ამ პატივს არავის დაანებებდნენ.

ახლა კი დროა, იმაზეც ვთქვათ, რაც ამ მატჩს დამატებით ინტრიგად უნდა ექცეს. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ წლეულს ამ გუნდებმა როქი გააკეთეს — სდასუელთა ყოფილი მწვრთნელი თამაზ ოქრუაშვილი ამიერიდან სტუ-ს გაწრთვნის, მისი კოლეგა ნუგზარ კანდელაკი კი, მას შემდეგ, რაც წინა პირველობზე სტუ-ს დაეხმარა, ორწლიანი განშორების მერე ისევ სდასუ-ში დაბრუნდა და ახლა ამ გუნდისთვის ილვწის.

მწვრთნელთა ცვლას, ბუნებრივია, გუნდების გადახალისება დაერთო და ნუ გაგიკვირდებათ, თუ სახეშეცვლილი შემადგენლობებით ვიხილავთ მოედანზე. შარშანდელი შემადგენლობიდან სდასუ-ში მხოლოდ ჩხეიძეს, აბულაძესა და ახობაძეს თუ ვნახავთ. სტუ-ში კი „ძველებად“ მხოლოდ ნოზაძე და სუხიშვილი მოგვევლინებიან.

საგრძნობლად გათანაბრდა ამ გუნდების სათამაშო დონეებიც. თუ ბოლო წლებში საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი ყოველგვარი სირთულეების გარეშე ამარცხებდა მეტოქეს და მატჩის ბედის წინასწარ განსაზღვრაც შეგვეძლო, ახლა პროგნოზის გაკეთება მეტისმეტად გართულდა.

სტუ წლეულს ძალიან მოძლიერდა და, რა თქმა უნდა, ამბიციაც გაუჩნდა. ექსსდასუელები — ჩერქეზიშვილი, ოთიურიძე და ნაცვლიშვილი სტუ-სთვის მართლაც რომ დიდი ძალაა. ამას დავუმატოთ „ვითას“ შემადგენლობაში გაჩემპიონებული ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელები: მიქაძე, ტულუში, ლოსაბერიძე და თსუ-დან გადმობირებული, გამოცდილი შალვა ცხვედიანი. ამ გუნდმა მოსამზადებელი პერიოდიც საკმაოდ ნაყოფიერად განვლო. ეგ კი არა, ზაფხულში გერმანიაში მოემზადა.

სდასუ-მ „შევარდენიდან“ მიიღო თამაზ გიგაური და დუდუ ორჯონიკიძე. „დინამოდან“ დაბრუნდა ცენტრი ლევან ქევხიშვილი, ამავე გუნდში ითამაშებს 205-სანტიმეტრიანი გიგი ხარაძეც. აქვეა ასევე ტანმაღალი გიგაშვილიც. ასე რომ, სდასუელებს სიმაღლეში უპირატესობის გამოყენება მართებთ.

**2 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი**

### თსუ—მაკაბი

არანაკლებ საინტერესოა კიდევ ერთი სტუდენტური გუნდის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „მაკაბის“ მატჩი. გასულ წელს თსუ-მ გამორჩეულად სანახაობრივი კალათბურთით დაგვამახსოვრა თავი და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ფლეიოფშიც შეაღწევდა. თუმც ახალშექმნილი გუნდისთვის არც მეხუთე ადგილი უნდა ჩაითვალოს ურიგოდ და, თქმა არ უნდა, წლეულს სტუდენტები მხოლოდ შედეგის გასაუმჯობესებლად იბრძოლებენ.

გუნდმა შარშანდელი შემადგენლობიდან ორი წამყვანი კალათბურთელი — არჩილ ქლენტი და ზვიად ბაბიაშვილი მოისაკლისა. ეს ბიჭები ნებისმიერი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ძალაა და არც თსუ აპირებდა მათ ხელიდან გაშვებას, ბოლო მომენტამდე იბრძოლა, მაგრამ ვერაფერი გააწყო — მოთამაშეები „აზოტს“ დაანება. თუმცა შევსებაც შთამბეჭდავია: წლების მანძილზე საზღვარგარეთ მოთამაშე ოდისეი დიმიტრიადი და მრავალ კლუბგამოვლილი ლევან მგალობლიშვილი ისევ თავიანთ კერას დაუბრუნდნენ. ამან გუნდში მეორე ნომრების მოზღვავება გამოიწვია და ამ მხრივ თსუ ერთ-ერთ საუკეთესოდაც უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ თუ განაცხადის მიხედვით ვიმსჯელებთ, ყველაზე დიდი საფიქრალი მწვრთნელებს გამოკვეთილი გამთამაშებლის არყოლამ უნდა შეუქმნათ. ქლენტის სრულფასოვანი შემცვლელი ჯერ გუნდს არ გამოსჩენია და სავარაუდოა, რომ ამ ფუნქციასაც მგალობლიშვილი შეასრულებს. წინა ხაზში კი ალბათ გამოცდილი არჩილ ხელაშვილი და პერსპექტიული ნიკა ცქიტიშვილი შეამხანაგდებიან, [illegible] წყდეს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი გოჩა წოწელიაც. მას თუ თამაში წაუვიდა, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს თავსატეხს გაუჩენს.

რა ითქმის „მაკაბიზე“ — გამოცდილ მოთამაშეთა მთელ გუნდს — ფერიაშვილს, ტალაბაძეს, ანდღულაძეს — წლეულს ქუთათური მერაბ ნაცვლიშვილიც დაემატათ. მთავარმა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ კლუბის გაახალგაზრდავებისკენ აიღო გეზი და ახალ სახელებსაც უნდა ველოდოთ. არის დანაკარგიც — გულივერ ახალკაცი „ვითას“ შემადგენლობაში ჩაირიცხა. სავარაუდოა, რომ მის ნაცვლად ფერიაშვილს ახალგაზრდა გიორგი მჭედლიშვილი შეუწყვილდეს.

მოკლედ, ამ გუნდების შანსებიც დაახლოებით თანაბარია და ვის დარჩება გამარჯვება, თავად მატჩი გაარკვევს.

**1 ოქტომბერი. ვერის ბაღი. 17 საათი**

### დინამო—შევარდენი

**მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ა. როსტომაშვილი**

წინა ჩემპიონატზე „დინამო“ — „შევარდენის“ შეხვედრებში „დინამოს“ უპირატესობასა და უფრო მეტიც, გამარჯვებაში ეჭვი არავის შეეპარებოდა. ახლა კი ვერავინ იტყვის, რომელი იმარჯვებს. ყოველივე ამის მიზეზი გუნდებში მომხდარი ძირეული ცვლილებებია.

წლევანდელი „დინამო“ ახალგაზრდულია და „შევარდენთან“ ადრინდელივით იოლად ველარ გაისეირნებს. მოსეშვილის გუნდმა მერვე ჩემპიონატში დიდი დანაკლისი განიცადა: რუსეთის სუპერლიგას მიაშურეს ვლადიმერ ბეჟანიშვილმა და ვალერი კილაძემ. კახა შენგელიას დისკვალიფიკაცია კვლავაც ძალაშია და მას მხოლოდ უცხოეთში ასპარეზობის უფლება აქვს. ასევე დისკვალიფიცირებულია ირაკლი ხოშტარია.

„დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელი ირაკლი მაისურაძე კი დაშავებულია და „შევარდენთან“ მისი თამაში საეჭვოა. გუნდში „აზოტიდან“ მოვიდა ლევან წიკლაური.

ცვლილებებია „შევარდენშიც“. სდასუ-ში გადავიდნენ დუდუ ორჯონიკიძე და თამაზ გიგაური. გუნდი დატოვა გოგიტა ისაკაძემ. წამყვან მოთამაშეებად კი ისევ კახა მაჭავარიანი, გია კაზანჯიანი და წლევანდელი ჩემპიონატის ყველაზე ხანდაზმული მონაწილე მალხაზ ლვინეფაძე იქნებიან.

„შევარდენს“ ზუსტი სამქულიან სროლები გამოარჩევს. ალბათ, გახსოვთ, წინა ჩემპიონატში ამ გუნდის შთამბეჭდავი გამარჯვება თსუ-სთან, ვფიქრობ, შევარდენელები წლეულსაც ბევრ სიურპრიზს შემოგვთავაზებენ. „დინამოსა“ და „შევარდენის“ მატჩში ფავორიტის დასახელება ძნელია და იმედი გვაქვს, შეხვედრა დაძაბული და საინტერესო იქნება.

**საპორტას თასი**
**აპოელი — სპარტაკი**

## ვაშაკიძემ მოგებით დაიწყო

საპორტას თასის წლევანდელ გათამაშებაში პირველი გამარჯვება მოიპოვა ჩვენებური ირაკლი ვაშაკიძის „სპარტაკმა“. გუშინ ირაკლის შინ, მოსკოვში შევეხმიანეთ:

— პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია. ვერცერთმა გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება, რაშიც მსაჯებსაც მიუძღვით ბრალი. მერე ტაიმი კი მთლიანად ჩვენი იყო. მთელი ძალით ავმოქმედდით და სულ მალე მატჩის ბედიც გადავწყვიტეთ. კვიპროსული გუნდიდან მხოლოდ ორი ამერიკელი ლეგიონერი გამოირჩეოდა, დანარჩენები კი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივები იყვნენ. მე თითქმის ტაიმნახევარი დავყავი მოედანზე და გუნდს ათი ქულითაც შევეწიე.

**საპორტას თასი**
**შოლე — სლოვაკოფარმა**

## ბერძენიშვილს საბო ამჯობინეს

მორიგი მარცხი იწვნია უბერძენიშვილო „სლოვაკოფარმამ“. დათოს გვარი ვერც ამჯერად ამოვიკითხეთ მატჩის ოქმში.

— სლოვაკებმა ამერიკელი, ადრე თურქულ ლიგაში მობურთალი საბო მამჯობინეს. ეს ბიჭი „სლოვაკოფარმას“ ახლახან შემოუერთდა და თავისი წარმომავლობიდან გამომდინარე დიდი რეპუტაციითაც სარგებლობს. საბოს ნადავლი სულ მხოლოდ 3 ქულა იყო, რისთვისაც გუნდის ხელმძღვანელობამ გულისტკივილი გამოთქვა და აღიარა, რომ ფრანგულ „შოლესთან“ ბერძენიშვილი გაცილებით მეტს შეძლებდაო. მორიგი მატჩი ბადალონაში, „ხუვენტუდთან“ გვიწევს და, იმედია, მწვრთნელები ამჯერად მაინც მენდობიან.

**საპორტას თასი.** ჯგუფური ეტაპი. II წრე. 28-29-30 სექტემბერი

### A ჯგუფი

სონი (იტალია) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 86:63; პოლზელა (სლოვენია) — ეშტრელა (პორტუგალია) 80:68, კალევი (ესტონეთი) — ატლეტასი (ლიტვა) 81:63

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოლზელა | 2 | 2 | 0 | 147:134 | 4 |
| სონი | 2 | 1 | 1 | 152:130 | 3 |
| ეშტრელა | 2 | 1 | 1 | 150:156 | 3 |
| კალევი | 2 | 1 | 1 | 157:145 | 3 |
| ჩერნო მორე | 2 | 1 | 1 | 140:156 | 3 |
| ატლეტასი | 2 | 0 | 2 | 133:158 | 2 |

III ტური. 6.10: ჩერნო მორე — ეშტრელა, კალევი — პოლზელა, ატლეტასი — სონი

### B ჯგუფი

შოლე (საფრანგეთი) — სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) 85:64, სპლიტი (ხორვატია) — მზტ (მაკედონია) 85:74, მლეკარნა (ჩეხეთი) — ტელეკომი (თურქეთი) 77:67.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოლე | 2 | 2 | 0 | 169:121 | 4 |
| სპლიტი | 2 | 1 | 1 | 142:158 | 3 |
| მზტ | 2 | 1 | 1 | 174:159 | 3 |
| მლეკარნა | 2 | 1 | 1 | 151:167 | 3 |
| ტელეკომი | 2 | 1 | 1 | 144:143 | 3 |
| სლოვაკოფარმა | 2 | 0 | 2 | 130:162 | 2 |

III ტური. 6.10: ტელეკომი — შოლე, მლეკარნა — სპლიტი, სლოვაკოფარმა — მზტ

### C ჯგუფი

ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ბროცენი (ლატვია) 87:84, სენტ პიოლტენი (ავსტრია) — პამესა (ესპანეთი) 58:74, ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) — ცეპტერი (პოლონეთი) 75:83.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 2 | 2 | 0 | 172:131 | 4 |
| ცეპტერი | 2 | 2 | 0 | 152:132 | 4 |
| ჰაპოელი | 2 | 1 | 1 | 155:158 | 3 |
| ბუდუჩნოსტი | 2 | 1 | 1 | 162:164 | 3 |
| ბროცენი | 2 | 0 | 2 | 157:145 | 2 |
| სენტ პიოლტენი | 2 | 0 | 2 | 115:143 | 2 |

III ტური. 6.10: პამესა — ბუდუჩნოსტი, ბროცენი — ცეპტერი, 7.10: ჰაპოელი — სენტ პიოლტენი

### D ჯგუფი

პარტიზანი (იუგოსლავია) — ატომერომუ (უნგრეთი) 92:85, ზაგრები (ხორვატია) — პივოვარნა (სლოვენია) 78:80, ტოპო (ფინეთი) — აეკ (საბერძნეთი) 71:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 2 | 2 | 0 | 142:130 | 4 |
| პარტიზანი | 2 | 2 | 0 | 168:149 | 4 |
| პივოვარნა | 2 | 2 | 0 | 172:157 | 4 |
| ატომერომუ | 2 | 0 | 2 | 144:158 | 2 |
| ზაგრები | 2 | 0 | 2 | 142:156 | 2 |
| ტოპო | 2 | 0 | 2 | 150:168 | 2 |

III ტური. 6.10: აეკ — პარტიზანი, ატომერომუ — პივოვარნა, 7.10: ტოპო — ზაგრები

### E ჯგუფი

სტატიბა (ლიტვა) — კიორმენდი (უნგრეთი) 92:89, ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — შარლერუა (ბელგია) 71:60, ბოსნა (ბოსნია) — თოფაში (თურქეთი) 50:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი | 2 | 2 | 0 | 160:133 | 4 |
| თოფაში | 2 | 1 | 1 | 143:133 | 3 |
| კიორმენდი | 2 | 1 | 1 | 172:164 | 3 |
| შარლერუა | 2 | 1 | 1 | 125:134 | 3 |
| სტატიბა | 2 | 1 | 1 | 165:178 | 3 |
| ბოსნა | 2 | 0 | 2 | 113:136 | 2 |

III ტური. 6.10: კიორმენდი — შარლერუა, თოფაში — სტატიბა, 7.10: ბოსნა — ჰაპოელი

### F ჯგუფი

შიროკი (ბოსნია) — არისი (საბერძნეთი) 53:89, ლიმოჟი (საფრანგეთი) — პლანია (შვედეთი) 61:58, ტრირი (გერმანია) — ანტვერპენი (ბელგია) 72:75

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არისი | 2 | 2 | 0 | 181:113 | 4 |
| ლიმოჟი | 2 | 2 | 0 | 143:118 | 4 |
| ანტვერპენი | 2 | 2 | 0 | 155:147 | 4 |
| ტრირი | 2 | 0 | 2 | 132:157 | 2 |
| პლანია | 2 | 0 | 2 | 118:153 | 2 |
| შიროკი | 2 | 0 | 2 | 128:169 | 2 |

III ტური. 6.10: არისი — ლიმოჟი, პლანია — ანტვერპენი, შიროკი — ტრირი

### G ჯგუფი

აპოელი (კვიპროსი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 72:82, ულმი (გერმანია) — მაზოვშანკა (პოლონეთი) 88:75, ვენტსპილსი (ლატვია) — ხუვენტუდი (ესპანეთი) 83:91.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხუვენტუდი | 2 | 2 | 0 | 174:149 | 4 |
| ულმი | 2 | 2 | 0 | 174:152 | 2 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 159:158 | 3 |
| ვენტსპილსი | 2 | 1 | 1 | 167:172 | 3 |
| მაზოვშანკა | 2 | 0 | 2 | 156:172 | 2 |
| აპოელი | 2 | 0 | 2 | 138:165 | 2 |

III ტური. 5.10: ვენტსპილსი — ულმი, ხუვენტუდი — სპარტაკი, აპოელი — მაზოვშანკა

### H ჯგუფი

ოვარენსე (პორტუგალია) — ბიპა მოდა (უკრაინა) 78:67, ბენეტონი (იტალია) — ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) 82:45, უნიქსი (რუსეთი) — შტალბაუ (ავსტრია) 82:67.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 2 | 2 | 0 | 166:113 | 4 |
| უნიქსი | 2 | 2 | 0 | 156:119 | 4 |
| ოვარენსე | 2 | 1 | 1 | 130:141 | 3 |
| ბიპა მოდა | 2 | 1 | 1 | 131:136 | 3 |
| შტალბაუ | 2 | 0 | 2 | 135:166 | 2 |
| ჰანს ფერკერკი | 2 | 0 | 2 | 103:146 | 2 |

III ტური. 6.10: ბენეტონი — უნიქსი, ჰანს ფერკერკი — ოვარენსე, შტალბაუ — ბიპა მოდა

# მერვედ, ოღონდ ახლებურად!

...და ჰა 1 ოქტომბერიც. სწორედ დღეს იწყება ჩვენში საკალათბურთო სეზონი და დიდი ციებ-ცხელებაც. ჩემპიონატში მონაწილე ცხრა გუნდი მერვედ შეეტოქება ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონის ტიტულისთვის. მერვედ, მაგრამ ისე, როგორც არასდროს. ამის თქმის საფუძველს სულ მთლად ახლებური სისტემა გვაძლევს. სისტემა, რომელიც ფედერაციამ ქართული კალათბურთის სამყაროს. შესთავაზა, ჩვენთვის ჯერაც არნაცადი და უცნობია.

თუმცა ჯობს, რომ ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, **როლანდ ხომერიკის** საუბარს მოვუსმინოთ:

— ჩემპიონატის ჩატარების სისტემაში ძირეულ ცვლილებებს წინ უძღოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. დავიწყოთ იმით, რომ თუ ადრე მთელი სეზონის მანძილზე გუნდი მაქსიმუმ 22-23 თამაშს ატარებდა, რაც არაფრით არ შეესაბამება თანამედროვე ევრო სტანდარტებს, ახლა თითოეულ მათგანს 40-მდე მატჩის გამართვა მოუწევს. ეს კი თავისთავად ამოავსებს იმ სამთვიან დეფიციტს, ზამთრის პერიოდში რომ უდგებოდათ კლუბებს. აბა, წარმოიდგინეთ: გუნდი მთელი ზამთარი არ თამაშობს, ამას დაუმატეთ კიდევ ოთხი თვე პირველობის დამთავრებიდან ახალი სეზონის დაწყებამდე. გამოდის, რომ 7-8 თვის განმავლობაში კლუბები უმოქმედოდ არიან.

წლეულს პირველობა ოთხ წრედ ჩატარდება, წრეებიც თავის მხრივ ტურებად დაიყოფა. თუ ადრე გუნდებს 5-6 თამაში ზედიზედ უწევდათ, ახლა ესეც გამოირიცხა და ყოველი მატჩის შემდეგ გუნდებს საშუალება ეძლევათ, მომდევნო თამაშისთვის უკეთ მოემზადონ, ის ნაკლოვანებები აღმოფხვრან, რაც წინა შეხვედრისას წარმოჩინდა.

**— ამას, რომ ამბობთ, ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვერის დარბაზში, რომელიც ზამთრობით თამაში წარმოუდგენელია, წლეულს აუცილებლად გათბება.**

— ამის წინაპირობა დიახაც რომ არსებობს, ახლახან დარბაზში ინდივიდუალური გათბობა დამონტაჟდა. ფედერაცია უკვე ზრუნავს საწვავის მომარაგებაზეც. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ ელექტროენერგია შეუფერხებლად მოგვეწოდება, რაც უკვე ამ ნაგებობის ხელმძღვანელთა პრეროგატივაა, ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ თამაშები ნორმალურ, სტაბილურ ვითარებაში ჩავატაროთ.

**— გავიგეთ, თითქოს ფედერაციას ამ დარბაზის შარშანდელი ვალი ჰქონია და ჩემპიონატის დაწყებას საფრთხეც ემუქრებოდა...**

— დავალიანება მართლაც გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ, როცა ფედერაციის ანგარიშზე კაპიკი ფული არ დევს? ეს თანხა ჩვენთვის სპორტის დეპარტამენტს უნდა გადმოეცა, რაც დღემდე არ მიგვიღია. გამოდის, რომ დეპარტამენტს ჩვენი ვალი აქვს, ჩვენ კი ვერის ბაღის. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშ ჩემპიონატს რაღა ვუყოთ? ჩავშალოთ და ეგაა. ამით კი მხოლოდ კალათბურთი იზარალებს. მინდა ამ საკითხზე ჩემი მოსაზრებაც გაგიზიაროთ: თავის დროზე, როცა ეს დარბაზი აშენდა, ითქვა, რომ ეს არის რესპუბლიკური მნიშვნელობის სადემონსტრაციო ნაგებობა, რომელიც გადაეცემა დეპარტამენტს და მოხმარდება ქვეყანაში კალათბურთის განვითარებას. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ დარბაზი დატვირთული უნდა იყოს ჩემპიონატის თამაშებით და ეროვნული პირველობების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.

არადა, ამ შენობას ქალაქის განათლების სამმართველო კურირებს და ყველა პასუხისმგებლობასაც ის კისრულობს. მაშინ, როცა ეროვნულ ნაკრებს ბაზა არა აქვს, დარბაზი მთლიანად ნორჩი თაობების აღზრდას ხმარდება. ისე არ გაიგოთ, თითქოს ამის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ ქვეყნის პირველი გუნდის ინტერესები, ვფიქრობ, ყველა დანარჩენს გადაწონის.

**— ლაპარაკია, თითქოს ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება წლეულს ფასიანი იქნებაო.**

— ჩვენ შევთავაზეთ ვერის ბაღის დირექციას, რომ თამაშებზე ბილეთები გაეყიდათ. რას იზამენ, ნამდვილად არ ვიცი.

**— ბოლოს ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხზეც, მსაჯებზე მინდა გკითხოთ.**

— სამწუხაროდ, ჩვენში ტენდენციად დამკვიდრდა, რომ მსაჯი ყოველთვის ტყუის, მწვრთნელები და მოთამაშეები კი მართლები არიან. სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება. პირველ რიგში ეს მწვრთნელებს ეხებათ, რადგან მათ მაგალითი უნდა მისცენ თავიანთ შეგირდებს. აქ კი რა ხდება? ყველაფერს კადრულობენ თამაშის მოსაგებად. გინება და მსაჯებზე ზეწოლა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა. არადა, რა ქნან მსაჯებმა, ისინიც ხომ ადამიანები არიან და შეცდომისგან არავინაა დაზღვეული.

ალბათ აჯობებს, რომ მწვრთნელებმაც და მოთამაშეებმაც მეტი ყურადღება თავიანთ თავზე მუშაობას დაუთმონ. საქმე აკეთონ და კლასი აიმაღლონ. პირდაპირ გაოცებული ვარ, ზოგი მოვა, გედავება, გამტყუნებს და საქმე-საქმეზე რომ მიდგება, ელემენტარული წესები არ იცის.

ჩვენ ჩავუტარეთ სემინარები მსაჯებსაც და მწვრთნელებსაც. ავუხსენით, რომ მათ გაცილებით მეტი მოეთხოვებათ, უფრო მეტი ჯაფაა საჭირო, ვიდრე მათ წარმოუდგენიათ, რომ ქართულმა კალათბურთმა უნდა იარსებოს და ყველამ მაქსიმუმი უნდა გაიღოს ამ მართლაც უმნიშვნელოვანესი საქმისთვის.

**გიორგი ბიძაშვილი**

CARTU & TBILISI LADIES OPEN

# გამორთეთ მობილურები!

გალინა კოპიაშვილის ფოტო



ლეილა მესხს ტელეკომენტატორობაც უწევს

გუშინ თბილისის ღია პირველობაზე პირველი წრის შემორჩენილი შეხვედრები ჩატარდა.

ბუნებრივია, უმთავრეს ინტერესს ბოლო წლების საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელის, ნინო ლუარსაბიშვილის მატჩი იწვევდა, რომელსაც პირველ წრეში საკმაოდ ძლიერი მეტოქე, ტურნირზე მეოთხედ განთესილი ბელგიელი დაფნა ვანდეზანდე ჰყავდა.

შეხვედრის დასაწყისი ცუდს არაფერს მოასწავებდა — თუ ერთ კატასტროფულ გეიმს არ ჩავთვლით, რომელიც ზედიზედ ოთხი ორმაგი შეცდომით მეტოქეს თავად ნინომ აჩუქა, იგი შესამჩნევ უპირატესობას ფლობდა და გრძელ გათამაშებებს ხშირად ეფექტური დარტყმებითაც ასრულებდა.

მონასტერი 4:1-ზე აირია — გვერდითი მსაჯის შეცდომით გაღიზიანებულმა ბელგიელმა ტურნირის რეფერის მოყვანა მოითხოვა, მჩაგრავენო, რასაც კარგა ხანი დასჭირდა, მერე კი ჩოგბურთელებმა მობილური ტელეფონებისა და გეიმებს შორის მაყურებელთა მისვლა-მოსვლის ალაგმა მოინდომეს. მოსიარულეთა დაშოშმინება კიდევ მოხერხდა, მაგრამ ბოლო ორი წლის განმავლობაში თბილისში ასე მომრავლებული ტექნიკური პროგრესის ნიმუშის წკრიალი, მსაჯის არაერთი მოთხოვეს მიუხედავად, შეხვედრის ბოლომდე არ მიმწყდარა.

შესვენება ბელგიელს აშკარად წაადგა — ვანდეზანდემ მდგომარეობა თანდათან გამოასწორა და ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო, რაშიც მას ქართველმა ჩოგბურთელმაც არანაკლებ შეუწყო ხელი. ის ოთხი ორმაგი შეცდომა, ლუარსაბიშვილმა მატჩის მესამე გეიმში რომ დაუშვა, სამწუხაროდ, შემთხვევითობა არ გამოდგა, მოწოდებაზე შეცდომები შემდეგაც გაგრძელდა, რამაც ჩვენებურს თავდაჯერება დააკარგვინა და გაანერვიულა.



ნინო ლუარსაბიშვილი

გალინა კოპიაშვილის ფოტო



დაფნა ვანდეზანდე

საქმეს ვერც ნაკლები სიჩქარით მოწოდებამ უშველა და 5:5-დან ბელგიელმა ზედიზედ 7 გეიმი მოიგო, ასე რომ, მეორე სეტშიც ანგარიში საგანგაშო გახდა — 5:0.

ნინო უბრძოლველად არ დანებდა, საკუთარ მოწოდებაზე ორი მატჩ-პოინტი გადაარჩინა და ანგარიშის სხვაობა შეამცირა, მაგრამ გამოცოცხლება ნაგვიანები გამოდგა: ბელგიელის ძლიერმა მოწოდებამ მატჩს მაინც მალე დაუსვა წერტილი — 7:5, 6:2.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისის პირველობას ერთადერთი ქართველი — მაკა ჩახნაშვილი შემორჩა, რომლის ქომაგობის მსურველებს ლეილა მესხის აკადემიაში დღეს, დაახლოებით პირველის ნახევარზე ელიან. მაკა მერვედ განთესილ ფრანგ კაროლინა იაგინიაკს შეხვდება, რომელმაც პირველ წრეში ავსტრიელ ნიკოლ რემისს მოუგო 6:3, 6:1.

ტურნირის მთავარი ფავორიტების — ელენა მაკაროვასა (1) და ევგენია კულიკოვსკაიას (2) მატჩები მეზობელ კორტებზე თითქმის ერთდროულად დაიწყო და ერთდროულადაც დასრულდა: მათ შესაბამისად ბულგარელ მარია გუშევასა და რუს ანასტასია როდიონოვას აჯობეს — 6:3, 6:1 და 7:5, 6:1.

პირველი წრე: ჟანგ-ქუან ი (3, ჩინეთი) — ტატიანა კოვალჩუკი (უკრაინა) 6:3, 6:2; ოლგა გუშენკო (ბელარუსი) — ლუსი ალი (5, ინგლისი) 7:6(7:5), 6:4; ანკე ბარნა (გერმანია) — ადრიანა ბაზარიჩი (ბოსნია) 6:2, 6:0; ადრიანა ბარნა (გერმანია ) — ანა ზაპოროჟანოვა (უკრაინა) 3:6, 6:3, 6:3; ოლგა ტეპლინსკაია (უკრაინა) — ლი ლი (ჩინეთი) 6:4, 1:6, 6:3.

# დოლარების ზღვა

მიუნხენი. გერმანია.
„დიდი სლემის თასი".
ტარდება ხალიჩაზე
საპრიზო 6,7 მილიონი $

„დიდი სლემის თასის" დაარსებიდან დღემდე არ წყდება მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, რომ ეს ტურნირი არავის სჭირდება, ყველაზე უპრიანი მისი გაუქმება იქნება, რომ ზედმეტი ფული ჩოგბურთს მხოლოდ ავნებს, მაგრამ საბოლოოდ საქმე საუბარს მაინც არასოდეს სცილდება და რაკილა მწვანეების მოყვარულები ჩოგბურთელთა შორისაც საკმაოდ მოიძებნებიან, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ტურნირიც აგრძელებს არსებობას, ის კი არა, კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს.

1990-დან 97 წლამდე „დიდი სლემის თასზე" მხოლოდ კაცები ასპარეზობდნენ, წლეულს კი ორგანიზატორებმა ქალების მიტყუებაც მოახერხეს. ამის შედეგად ძლიერი სქესის მოთამაშეთა რაოდენობა 16-დან 12-მდე შემცირდა, სამაგიეროდ, მიუნხენს დიდი სლემის ტურნირებზე გამორჩეული 8 დიაცი ეწვია.

6,7 მილიონ დოლარს ისინი შემდეგნაირად გაინაწილებენ:

| | კაცები | ქალები |
|---|---|---|
| გამარჯვებული | 1,3 მლნ. | 800 000 |
| ფინალისტი | 650 000 | 400 000 |
| 1/2 | 325 000 | 200 000 |
| 1/4 | 175 000 | 100 000 |
| 1/8 | 100 000 | |

წლეულს დიდი სლემის ტურნირების გამარჯვებულმა კაცებმა ტურნირს რაღაც ბოიკოტის მაგვარი მოუწყვეს — პიტ სამპრასს (უიმბლდონის ჩემპიონი) ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში ნატკენი ფეხი არ მორჩენია, კარლოს მოიამ (როლან გაროსი) მშობლიურ მალიორკაში მიმდინარე ტურნირზე ასპარეზობა არჩია, პატრიკ რაფტერმა (აშშ-ის ღია პირველობა) გასულ უქმეებზე გამართულ დევისის თასის შეხვედრაში მუხლი დაიზიანა, თუმცა მანამდეც განაცხადა, ფულს შინ დასვენება მირჩევნიაო. ამას რიჩარდ კრაიჩეკის ბოლო მომენტში ნათქვამი უარი და ბორის ბეკერის არყოფნა დაემატა და სიტუაციის გადასარჩენად ორგანიზატორებს ანდრე აგასის „უაილდ ქარდით" მიწვევა მოუხდათ, განთესილები კი პეტერ კორდა, გორან ივანიშევიჩი, მარკ ფილიპუსისი და მარსელო რიოსი დარჩნენ.

ზემოთქმულის გამო მაყურებელთა სატყუარა წლეულს უფრო ქალების ტურნირი იქნება, სადაც მონიკა სელეშის გარდა მთელი მძიმე არტილერიაა თავმოყრილი — ჰინგისი, ნოვოტნა, დევენპორტი, უილიამსი, სანჩეს-ვიკარიო.

ასპარეზობის პირველ დღეს სამი მატჩი გაიმართა. ინგლისელმა ტიმ ჰენმანმა პირველ სეტში 5:1 დაწინაურების შემდეგ იანას ბიორკმანთან ზედიზედ ექვსი გეიმის წაგება მოახერხა და შეხვედრაც დათმო — 5:7, 4:6, რაც მერე გადატვირთულ კალენდარსა და გადაღლილობას დააბრალა, 20 ივლისიდან მოყოლებული შინ ერთადერთი დღე გავატარეო.

ტურნირის ყველაზე „არავარსკვლავურ" პაექრობაში როლან გაროსის ნახევარფინალისტმა ფელიქს მანტიამ ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტი ნიკოლა ესკუდე დაჩაგრა 6:3, 6:3.

ქალების ტურნირის პირველი მატჩი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის განმეორება გამოდგა — ერთმანეთს მარტინა ჰინგისი და კონჩიტა მარტინესი შეხვდნენ.

მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის ეს არასრულწლოვნის რანგში გამართული უკანასკნელი შეხვედრაც იყო — მას ოთხშაბათს 18 წელი უსრულდებოდა: „17 წლისად თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, თუმცა ყველაფერს თავისი დადებითი მხარე აქვს — როგორც იქნა, მართვის მოწმობას ავიღებ და სპორტული მანქანების ტარებას მოვახერხებ. ჩემი ორი „პორშე" აქამდე სულ ავტოფარეხში იდგა".



REUTERS მიუნხენიდან

მარტინა ჰინგისი 18 წლის გახდა

ეს ისტორიული შეხვედრა ჰინგისმა საკმაოდ იოლად მოიგო — ესპანელი მხოლოდ მეორე სეტში გაძალიანდა, როდესაც 2:5-დან ანგარიში გაათანაბრა, თუმცა მეტის გაკეთება ველარ შეძლო — 2:6, 5:7.

ჰინგისმა თავის ახალ სტატუსზე მატჩის შემდეგაც ისაუბრა: „ტურნირებზე მაინც დედაჩემთან ერთად ვივლი (მელანი მოლიტორი თან ქალიშვილის მწვრთნელიცაა). რა თქმა უნდა, უფრო დამოუკიდებელი ვიქნები, მაგრამ რაკი 18 წლის გავხდი, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერს დედაჩემის დაუკითხავად გადავწყვეტ".

**ავთანდილ სვანიძე**



# ლინდროსმა კიდევ დიდხანს უნდა იფრინოს

ფილადელფიის გულშემატკივრები გასულმა ზაფხულმა ერთობ აალელვა. თუმცა, მანამდეც, ჯერ კიდევ პლეი ოფის პირველივე რაუნდში, ბუფალოსგან მარცხის შემდეგ გავრცელდა ჭორი, გუნდის ლიდერსა და კაპიტანს ერიკ ლონდროსს სხვა გუნდში უპირებენ გაცვლასო. ეს თავად ფილადელფიის გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა დაადასტურა, რომელმაც კლუბის უილბლობაში სწორედ ფორვარდი დაადანაშაულა.

აურზაური მხოლოდ ივლისში ჩაწყნარდა, როცა „მფრინავთა" მესვეურები და ლინდროსი ერთწლიან და 8,5-მილიონიან კონტრაქტზე შეთანხმდნენ, მაგრამ ის კი არავის სჯეროდა, რომ მერე ერიკი ხანგრძლივ ხელშეკრულებას დაყაბულდებოდა და ფილადელფიელებს სულითა და გულით დაეხმარებოდა. ამ მითქმა-მოთქმამ სექტემბრის დასაწყისამდე გასტანა. როგორც თავად 25 წლის ვარსკვლავმა განაცხადა, მას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდებოდა გარანტია, რომ კლუბის მესვეურები არსად გაცვლიდნენ. თავის მხრივ, „მფრინავთა" პრეზიდენტი ელ სნაიდერი, რომელსაც საწვრთნელი ბანაკების გახსნამდე სურდა ამ საკითხის მოგვარება, ლინდროსს დაჰპირდა, ამას არ გავაკეთებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ლიგის წესებს ეწინააღმდეგება და შესაძლოა, ამის გამო სოლიდურ ჯარიმას გამოვკრათ ხელიო.

და მაინც, 8 სექტემბერს ჰოკეისტმა და კლუბმა მოილაპარაკეს იმის თაობაზე, რომ ფორვარდი 2000 წლამდე დარჩება გუნდში, ხოლო მისი ხელფასი დაახლოებით 8,5 მილიონი დოლარი იქნება, რასაც მრავალრიცხოვანი ბონუსები დაემატება. ერიკის თქმით, მან შვებით ამოისუნთქა და ახლა მთელ ყურადღებას ჰოკეის დაუთმობს.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება მხოლოდ სიტყვიერი და ჯერჯერობით არაოფიციალურია, „მფრინავთა" ხელმძღვანელები მეტად კმაყოფილნი არიან და იმედოვნებენ, რომ შლევანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ ერიკ ლინდროსთან ახალ, 5-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებენ.

# რობ ბლეიკი: რით ვარ თავდამსხმელზე ნაკლები?!

როგორც იქნა, რობ ბლეიკმა მიაღწია საწადელს და ლოს ანჯელესის ხელმძღვანელობასთან დიდი ხნის დავის შემდეგ კლუბისა და ნჰლ-ის ყველაზე ძვირადღირებულ მცველად იქცა. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონი უაღრესად იღბლიანი აღმოჩნდა „მეფეთა" ლიდერისთვის, რომელიც თავისი ამპლუის ჰოკეისტთა შორის 23 გოლით საუკეთესო სნაიპერი გახდა და დამსახურებულად მოიპოვა სეზონის საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი „ნორის ტროფი". ამის შემდეგ სრულიად სამართლიანი იყო მისი მოთხოვნა — ხელფასი მომიმატეთო. პაველ ბურესგან განსხვავებით, რობი არ მალავდა, რომ სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებდა. ბლეიკის აგენტის რონ სალსერის თქმით, ჰოკეისტს მხოლოდ დრომოჭმული ტრადიციის დარღვევა სურდა, რომლის თანახმადაც ფორვარდი ყოველთვის ძვირად ფასობდა, ვიდრე მცველი. ამის გამო ბლეიკმა კლუბის მიერ შეთავაზებულ 5-წლიან და 25-მილიონიან კონტრაქტზე უარი თქვა და გუნდის საწვრთნელ ბანაკშიც არ გამოცხადდა. მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ შეფიქრიანდნენ ლოს ანჯელესის მესვეურები და გაფიცული მცველი 3-წლიანი და 15,8-მილიონიანი ხელშეკრულებით შეირიგეს. ეს თანხა 0,8 მილიონით მეტია, ვიდრე სენტლუისელი ელ მაკინისის გასამრჯელო. გახარებული მცველი ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ უსაქმოდ ყოფნა მობეზრდა და ამიერიდან მთელ ძალ-ღონეს ჰოკეის მოახმარს.

**სამველ ღარიბიანი**



# თასი არ დაკარგულა

კუბის ფრენბურთის თავკაცებმა გამოაცხადეს, რომ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ტყუილად ატეხა ხმაური კუბელთაგან გარდამავალი ვერცხლის თასის დაკარგვის გამო. ეს თასი კუბელ ფრენბურთელ ქალებს გადაეცათ მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვების აღსანიშნავად 1994 წელს.

ორი დღის წინ კი საერთაშორისო ფედერაციამ ლოზანიდან გაავრცელა ცნობა, რომ თასი დაიკარგა და კუბას 300 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

გუშინ ლოზანელებს გაეპასუხა კუბის ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეონელ მარშალი: „თასი არ დაკარგულა, ის კარგადაა შენახული, უბრალოდ კარიბის აუზის კუნძულებზე იმოგზაურა ნაკრებთან ერთად."

მარშალმა განმარტა, რომ თასი, რომელიც კუბელებმა 1994 წელს მოიგეს ბრაზილიაში, მთელს კუბაში ცნობილი ჯილდოა. თავის დროზე ის ნაკრების ყოველი წევრის მშობლიურ პროვინციაში იყო გამოფენილი, ახლა კი ლოზანაში გაიგზავნება.



## ინგლისი

პირველი დივიზიონი

მე-9 ტურის ბოლო მატჩი

**კრისტალ პალასი 4:2 ბერი**

0:1 დავსი (8), 1:1 უორშორსტი (12), 1:2 პრისი (44), 2:2 დაიერი (48), 3:2 მორისონი (63), 4:2 ლომბარდო (66პ)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიჩაიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29